





ევროკავშირი
საქართველოსთვის
Skills4Jobs



Save the Children

ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკული სახელმძღვანელო



საქართველოს
ახალგაზრდულ
მუშაკთა ასოციაცია



ახალგაზრდობის
სააგენტო



KONRAD
ADENAUER
STIFTUNG

ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკული სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო ახალგაზრდული
საქმიანობით დაინტერესებული ადამიანებისთვის

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის მიერ

სახელმძღვანელოს ავტორები:
მკა სარტანია, თათია გოგიშვილი

საბოლოო რედაქცია:
გუბაზ კობერიძე

სახელმძღვანელო შექმნილია „საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის“ მიერ პროექტის „უნარები წარმატებისთვის“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით Save the Children International -ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები არიან: „საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია“, „კონრად ადენაუერის ფონდი“ და „ახალგაზრდობის სააგენტო“. პროექტი მიზნად ისახავს NEET ახალგაზრდების (ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმების, განათლების ან ტრენინგის სერვისში ჩართულები) დასაქმების ხელშეწყობას მობილური ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს პრაქტიკოს ახალგაზრდულ მუშაკებს. ასოციაცია მიზნად ისახავს ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდულ მუშაკთა განვითარებისა და აღიარების ხელშეწყობას საქართველოში.

ამ პუბლიკაციის მასალის გამრავლება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული, საგანმანათლებლო მიზნებით და წყაროს სათანადოდ მითითებით.

პუბლიკაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირება უნდა გაეგზავნოს „საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციას“:

საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

<https://youthworkers.ge>
info@youthworkers.ge

სახელმძღვანელოს ავტორები: მაკა სართანია, თათია გოგიშვილი
გრამატიკული რედაქტირება: მარიამ ბერძული
საბოლოო რედაქცია: გუბაზ კობერიძე
სახელმძღვანელოს დიზაინი: ანანო რაზმაძე

This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of The Youth Workers' Association of Georgia and do not necessarily reflect the views of the European Union.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი	1
ახალგაზრდული საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა	2
ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია	13
თანამედროვე რეალობა საქართველოში	21
ახალგაზრდული საქმიანობის სახეები და ტიპები	24
ახალგაზრდული საქმიანობის მეთოდები და მათი შერჩევის კრიტერიუმები	30
მოზარდებისა და ახალგაზრდების საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებანი	34
სწავლის სტილები	44
დეილის კონუსი	50
გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება - კოლების ციკლი	51
კიშ-ის მოდელი	56
გუნდი და მისი განვითარების სტადიები	58
ზონების თეორია	62
ხარისხი	65
ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი ღირებულებები	69
პრაქტიკული რჩევები ახალგაზრდული მუშაკებისთვის	73
გენდერული ასპექტების ინტეგრირება ახალგაზრდულ საქმიანობაში	75
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები და შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი	78
ტერმინთა განმარტებები	79
გამოყენებული ლიტერატურა	88

შესავალი

ახალგაზრდული საქმიანობა, დროთა განმავლობაში, სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი სულ უფრო მეტი და უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელი ხდება, რაც მეტი სიმძაფრით აყენებს დღის წესრიგში სამოქალაქო საზოგადოების, სხვადასხვა სახელისუფლებო რგოლის, ფართო საზოგადოების მხრიდან ახალგაზრდული საქმიანობისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, მისი, როგორც ახალი თაობის, წარმატებული მომავლის მყარი წინაპირობის აღიარებას. დღეს უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხი და მასში ჩართული აქტორების კომპეტენცია.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, მთელ მსოფლიოში, არაერთი ინიციატივა ხორციელდება. ხდება ფინანსური, მატერიალური, ადამიანური რესურსების ინვესტირება, ხარისხის სტანდარტების, ნორმების, ინდიკატორების შემუშავება, იქმნება ახალი მეთოდები და სახელმძღვანელოები, თუმცა მნიშვნელოვანია, აქვე აღვნიშნოთ, რომ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ზომებისა, ახალგაზრდული საქმიანობის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებასა და უწყვეტ სენსიტიურობაზე საქმიანობის განხორციელების პროცესში.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, მოქმედმა და მომავალმა ახალგაზრდულმა მუშაკებმა, ახალგაზრდული სფეროს თეორია და პრაქტიკა ქართულ რეალობასთან ადაპტირებული ფორმით გაიცნონ.

მოცემული სახელმძღვანელო საქართველოში არსებული რეალობის, სოციალური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით შექმნილი პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოა. იგი მიზნად ისახავს ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართული და ჩართვის მსურველი პირების ცნობიერების ამაღლებას ახალგაზრდული საქმიანობის სხვადასხვა თეორიულ თუ პრაქტიკულ ასპექტებზე.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკული სახელმძღვანელო საქართველოში ყველა ახალგაზრდული მუშაკის სამაგიდო წიგნებს შორის დაიმკვიდრებს ადგილს და გარკვეულ წვლილს შეიტანს ახალგაზრდული საქმიანობის ეფექტიან განხორციელებასა და განვითარებაში.

ახალგაზრდული საქმიანობა

ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდების გაძლიერებისკენ მიმართული მრავალფეროვანი ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის განათლების, ცნობიერების ამაღლების, განვითარების, მონაწილეობის, თვითრეალიზების შესაძლებლობებზე წვდომის უზრუნველყოფას, მათი ფსიქო-ემოციური კეთილდღეობის, ჯანსაღი ჩვევების გამომუშავებისა და წარმატების მიღწევისთვის აუცილებელი უნარების შეძენის პროცესში ხელშეწყობას.

ახალგაზრდული საქმიანობა, როგორც წესი, არაფორმალურ და ინფორმალურ სასწავლო პროცესს ეყრდნობა. იგი შეიძლება მოიცავდეს განსხვავებული მიზნის მატარებელ, სხვადასხვა ტიპისა და ხასიათის ღონისძიებებს.



რატომ არის მნიშვნელოვანი ახალგაზრდული საქმიანობა:

თანამედროვე გლობალურ და მუდმივად ცვალებად სამყაროში წარმატება ბევრად უფრო კომპლექსურ კომპეტენციებს მოითხოვს ახალგაზრდებისგან, ვიდრე ამა თუ იმ კონკრეტული პროფესიის ფლობაა, ამისთვის კი, არ არის საკმარისი მხოლოდ აკადემიური სასწავლო დაწესებულების ფარგლებში მიღებული ცოდნა. გარდა ამისა, ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან ეტაპებზე, როგორებიც არის მოზარდობა, ადრეული ზრდასრულობა, პიროვნული და პროფესიული კუთხით თავის დამკვიდრების პერიოდი, ახალგაზრდები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ფსიქოლოგიური, სოციალური, ფინანსური გამოწვევებით წარმოქმნილი სირთულეებისადმი. ასეთ გადამწყვეტ პერიოდში, მათ კარგად ნაფიქრი, ფრთხილი და, ამასთანავე, ძლიერი მხარდაჭერა სჭირდებათ, ადგილი, სადაც მათი ესმით, ალტერნატიული სივრცე, სადაც ისინი მიღებულნი არიან, მათი აზრი კი ფასეულია.

„ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი მიზანია, შევუქმნათ ახალგაზრდებს შესაძლებლობები, რათა შეძლონ საკუთარი მომავლის გამოძერწვა“ - ახალგაზრდული საქმიანობის მიზნის ასეთ შთამავგონებელ განმარტებას გვთავაზობს ევროპის საბჭო თავის ერთ-ერთ გამოცემაში (The Council of Europe Youth Work Portfolio, 2015) ¹.

და მართლაც, ახალგაზრდული საქმიანობის არსი სწორედ ახალგაზრდების ჰარმონიული განვითარების, თვითრეალიზების, მათი წარმატებული და ბედნიერი მომავლის ხელშეწყობაში მდგომარეობს.

1 <https://rm.coe.int/council-of-europe-youth-work-portfolio/16809eaa04>

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, რა სახით უწყობს ხელს ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდების წარმატებული მომავლის ფორმირებას, შეგვიძლია არსებული კვლევებისა და ახალგაზრდული საქმიანობის მრავალწლიან პრაქტიკაზე დაყრდნობით შევაჯამოთ ის დადებითი შედეგები, რომლებიც ახალგაზრდულ საქმიანობას მოაქვს ახალი თაობისთვის:

- სხვადასხვა კომპეტენციების განვითარება;
- კავშირებისა და სოციალური კავშირების გაძლიერება;
- კონკრეტული ქცევების შეცვლა (მაგალითად, რისკ-ქცევების);
- პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

ზემოთ ჩამოთვლილი ინდივიდუალური გავლენის გარდა, ახალგაზრდული საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთ სოციალურ პროცესებზე, როგორებიცაა ახალგაზრდების შორის კავშირების დამყარება, ახალგაზრდების ჩართულობა, თაობათა ურთიერთობა. იგი გაზიარებულ სახალისო და შემეცნებით გამოცდილებას წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულების მატარებელი პროცესია.

ევროპის ახალგაზრდულ სტრატეგიაზე დაყრდნობით შექმნილი ცხრილი გვაძლევს შესაძლებლობას, დეტალურად გავეცნოთ ახალგაზრდული საქმიანობის დადებით ეფექტებს ახალგაზრდების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე (ცხრილი 1)



განათლება და წვრთნა:

- აუმჯობესებს არაკომუნიკურ უნარებს და უზრუნველყოფს ახალგაზრდების მიერ უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევას;
- უზრუნველყოფს ალტერნატიულ გზებს იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც გამოეთიშნენ სწავლას;
- რეკომენდაციებით უზრუნველყოფს ახალგაზრდებს განათლებისა და კარიერის საკითხებში.
- უზრუნველყოფს ახალგაზრდებს განვითარების უკეთესი შესაძლებლობებით.



დასაქმება და მენარმეობა:

- ავითარებს შრომის ბაზარზე მოთხოვნილ გამჭოლ უნარებს;
- ქმნის შეძენილი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას;
- ხელს უწყობს ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციას;
- შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სამუშაო ბაზარზე სამუშაო ადგილებისა და სამსახურის მაძიებელი ახალგაზრდების თანხვედრაში.



ჯანმრთელობა:

- ზრდის წვდომას ინფორმაციასა და სანდო რეკომენდაციებზე;
- ხელს უწყობს დამოკიდებულებებისა და ქცევების ცვლილებას;
- ზრდის თვითშეამოწმების ხარისხს;
- ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.



მონაწილეობა:

- ზრდის დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხს;
- ამაღლებს ახალგაზრდების ცნობიერებას;
- ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- აძლიერებს ახალგაზრდების შესაძლებლობას;
- უზრუნველყოფს ახალგაზრდებს თვითგამოხატვის შესაძლებლობებით.



მოხალისეობა:

- ახალგაზრდული საქმიანობა ხშირად მოხალისეობრივად ხორციელდება;
- ხელს უწყობს სოლიდარობის განცდის განვითარებას;
- ადრეული ასაკიდან ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართულობა დადებით კავშირშია ცხოვრების მომდევნო ეტაპებზე მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვასთან.



სოცალური ინკლუზია:

- უზრუნველყოფს ახალგაზრდების სოციალიზაციას უსაფრთხო გარემოში;
- ახდენს ახალგაზრდების გარიყვის პრევენციას;
- უზრუნველყოფს კონკრეტულ რიკს ჯგუფებთან მუშაობას;
- ამცირებს სპეციფიური ჯგუფების ნეგატიურ აღქმას ფართო საზოგადოების მიერ.



ახალგაზრდობა და მსოფლიო:

- ავითარებს მნიშვნელოვან უნარებსა და დამოკიდებულებებს, როგორებიცაა საკუთარ თავზე დაყრდნობის, გლობალური ცნობიერების, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარები;
- ამაღლებს ახალგაზრდების ცნობიერებას ადამიანის უფლებების, განვითარების, გლობალური საკითხების კუთხით;
- უზრუნველყოფს ახალგაზრდების განათლებას მდგრადი განვითარების თემაზე.



კულტურა:

- ზრდის კულტურულ მონაწილეობას;
- ქმნის თვითგამოხატვისა და შემოქმედებითობის შესაძლებლობებს;
- ახდენს კულტურათაშორისი ურთიერთგაგების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კოჰულარიზაციას;
- ახდენს მნიშვნელოვან გავლენას პიროვნული განვითარების კუთხით.

ცხრილი 1

(European Commission, 2009) ²
(European Union, 2014) ³

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება, ცხადია, მჭიდროდ უკავშირდება ახალგაზრდული საქმიანობის ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას, თუმცა, როგორც ყველა დანარჩენ სფეროში, ახალგაზრდულ საქმიანობაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებას.

ახალგაზრდობის საჭიროებების ამსახველ კვლევებსა და ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარებასთან ასოცირებულ ეროვნულ და საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით, საქართველოში ახალგაზრდული სფეროს აქტორებმა შეადგინეს კომპეტენციების ჩარჩო-დოკუმენტი. იგი მიზნად ისახავს იმ საკვანძო კომპეტენციების განსაზღვრას, რომლებიც საქართველოში ახალგაზრდებს ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად უნდა განუვითარდეთ.

² <https://www.salto-youth.net/downloads/4-17-2444/Investing%20and%20Empowering.pdf>

³ https://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/study/youth-work-report_en.pdf

ახალგაზრდული საქმიანობის კომპეტენციათა ჩარჩო

ახალგაზრდული საქმიანობის კომპეტენციათა ჩარჩო წარმოადგენს საკვანძო კომპეტენციების მონახაზს, რომელთა განვითარებისკენაც არის მიმართული ახალგაზრდული საქმიანობა. კომპეტენციათა ჩარჩო შემდეგ ცხრა საკვანძო კომპეტენციას მოიცავს:

- მოქალაქეობრივი კომპეტენცია - კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდას სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებაში, ასევე კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვაში;
- გარემოსდაცვითი კომპეტენცია - კომპეტენცია, რომელიც განაპირობებს ახალგაზრდას მიერ ბუნებრივი გარემოს დაცვისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელებას;
- ანალიტიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სამეცნიერო კომპეტენცია - კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზში, ასევე ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების ეფექტიანად გამოყენებაში პირადი, პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრების საკეთილდღეოდ;
- სამეწარმეო და ინიცირების კომპეტენცია - კომპეტენცია, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდას მიერ საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვას, იდეების გენერირებასა და განხორციელებას, პრობლემების ანალიზსა და მათ ეფექტიან გადაწყვეტას როგორც საქმიან, ასევე პირად სივრცეში, რაც დაეხმარება მას, იდეა აქციოს საქმედ;
- შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია - კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდას უკვე არსებული გამოცდილებისა და მიღწევების გამოყენებაში ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;
- დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია - კომპეტენცია, რათა მან შეძლოს საკუთარი სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა, საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება

მთელი ცხოვრების განმავლობაში;

- ურთიერთობის კომპეტენცია - კომპეტენცია ინდივიდებსა და ჯგუფებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დასამყარებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
- კულტურული გამოხატვისა და კულტურათშორისი ურთიერთობის დამყარების კომპეტენცია - კომპეტენცია, რომელიც ახალგაზრდას დაეხმარება კულტურულ გამოხატვაში, კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიურ აღქმაში, დაფასებაში, დაცვასა და განვითარებაში;
- ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია - კომპეტენცია, რომელიც ახალგაზრდას საშუალებას მისცემს, იზრუნოს საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია).⁴



⁴ <http://www.youthworkers.ge/assets/uploads/Organizational%20Structure.pdf>

ზოგიერთ ქვეყანაში ახალგაზრდული საქმიანობა აღიარებული პროფესიაა და ახალგაზრდული მუშაკები სერტიფიცირებულ/დიპლომირებულ სპეციალისტებს წარმოადგენენ. რიგ შემთხვევებში, ახალგაზრდული საქმიანობა მოხალისეობრივ სანჯისებს ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რამდენად ფორმალურად არის ინდივიდი ჩართული ახალგაზრდულ საქმიანობაში, აუცილებელია ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების პროცესში დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, ღირებულებების, გამოცდილების გაცნობა და გათვალისწინება, რათა მოხდეს ახალგაზრდული საქმიანობის მაქსიმალურად ეფექტიანად წარმართვა და, უპირველეს ყოვლისა, დაცული იქნას ახალგაზრდული სფეროს უზენაესი პრინციპი - „არ ავნო“.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა და გაძლიერება კანონმდებლობით, ახალგაზრდული სფეროს ფუნქციონირებისა და განვითარების ხედვის ამსახველი პოლიტიკის დოკუმენტებითა და კონკრეტული სამოქმედო გეგმებით, ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერისა და აღიარებისკენ მიმართული სქემებითა და პროგრამებით. სწორედ ახალგაზრდების მიერ ეფექტიან სამთავრობო პოლიტიკასთან სინერგიაში განხორციელებული ახალგაზრდული საქმიანობა ქმნის მათი წარმატებისა და ჩართულობისთვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამომუშავებისთვის საუკეთესო ნიადაგს.

ახალგაზრდული სფეროს აქტორები:

ნებისმიერი წარმატებული ჩარევა სხვადასხვა ქმედებაში სფეროს აქტორების (დაინტერესებული მხარეების) განსაზღვრასა და ანალიზს მოითხოვს. იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდობის ჰარმონიული განვითარება, მონაწილეობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, წარმატებისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარება სხვადასხვა სექტორთა აქტიურ ჩართულობას მოითხოვს, ახალგაზრდული სფერო დარგობრივ სფეროდ მიიჩნევა და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აქტორის ჩართულობას მოიხრებს. მნიშვნელოვანია, რომ აქტორების განსაზღვრა მოხდეს ყველა კონკრეტული ჩარევის ფარგლებში, თითოეულ მიზნობრივ მდებარეობაზე.

თავად ახალგაზრდების გარდა, ახალგაზრდული სფეროს აქტორები შეიძლება იყვნენ:

- | | |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> • ცენტრალური ხელისუფლება • რეგიონული/ადგილობრივი ხელისუფლება • სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები • ახალგაზრდული მუშაკები • საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები, კოლეჯები, განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრები) • კულტურული და სპორტული დაწესებულებები | <ul style="list-style-type: none"> • თემატური წრეები • ახალგაზრდული საბჭოები • ახალგაზრდების ოჯახები • კერძო სექტორი • მედია • ადგილობრივი თემი და სხვა |
|---|---|

ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია და პირველი ახალგაზრდული მუშაკები

კონკრეტულ მდებარეობაზე სფეროს აქტორების განსაზღვრის შემდეგ, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რა სახით და რა ხარისხით ახდენს თითოეული მათგანი გავლენას ახალგაზრდებსა და მათ კეთილდღეობაზე და პრიორიტეტულად დავალაგოთ მათი თანმიმდევრობა. ეს ინფორმაცია დაგვეხმარება, ყველა კონკრეტულ სიტუაციაში განვსაზღვროთ პროექტში აქტორების ჩართულობის მიზანშეწონილობა, ხასიათი და ხარისხი, შედეგად, მაქსიმალურად ეფექტიანად განვახორციელოთ დაგეგმილი ჩარევა.

ჩვენთვის, თანამედროვე ახალგაზრდული მუშაკებისთვის, უადრესად მნიშვნელოვანია ვფიქრობდეთ ინფორმაციას ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების შესახებ, ვიცნობდეთ იმ ისტორიულ კონტექსტს, რომელშიც წარმოიქმნა მოზარდებსა და ახალგაზრდებზე ზრუნვის მძაფრი საჭიროება და ვიცოდეთ, ვინ იყვნენ ის პირველი ახალგაზრდული მუშაკები, რომლებმაც, XIX საუკუნეში მიმდინარე ეპოქალური ცვლილებების კვალდაკვალ, შექმნეს ახალგაზრდული საქმიანობის პირველი პრეცედენტები.



ძველ ცივილიზაციებში (ძველი საბერძნეთი, ძველი რომი) ახალგაზრდების მენტორებთან მიზარების პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებული იყო - ამ გზით ისინი იღებდნენ განათლებას და ივითარებდნენ საჭირო უნარ-ჩვევებს; თუმცა მოგვიანებით დამოკიდებულებები საგრძნობლად შეიცვალა - საუკუნეების განმავლობაში ბავშვები და მოზარდები საზოგადოების უფუნქციო, უუფლებო, ნაკლებად მნიშვნელოვან სეგმენტად ითვლებოდნენ. მხოლოდ XVII საუკუნეში, განმანათლებლების ეპოქაში აღიარეს, რომ ბავშვები და მოზარდები განსხვავდებოდნენ ზრდასრულებისგან და ეს ფაქტი გასათვალისწინებელი იყო მათი აღზრდა-განათლებისა და განვითარების პროცესში (ჯონ ლოკი - “tabula rasa”, ჟან ჟაკ რუსო - “კეთილშობილი ველური”).

XIX საუკუნეში განხორციელდა დიდი სოციალური ძვრები, რასაც მოჰყვა მასშტაბური მღელვარებები და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი: გაუქმდა ბატონ-ყმობა, დაიწყო შრომის ინდუსტრიალიზაციის ეტაპი და მუშახელის მზარდი საჭროების გამო, განხორციელდა მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია სოფლიდან ქალაქში; მომრავლდნენ უმეტესად დასუსტებული მოზარდები და სამუშაოს ძიებაში სახლს მოწყვეტილი ახალგაზრდები. საზოგადოების წინაშე მთელი სიმწვავეით დადგა ისეთი რთული პრობლემები, როგორებიცაა:

- მზრუნველობას მოკლებული და კრიმინალისკენ მიდრეკილი მოზარდები და ახალგაზრდები;
- არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაცია;
- არასრულწლოვანთა პროსტიტუცია.

ასეთი იყო ისტორიული მოცემულობა XIX საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც ევროპაში, კონკრეტულად კი ჯერ იტალიასა და მალევე დიდ ბრიტანეთში, გამოჩნდნენ პირველი ახალგაზრდული მუშაკები - დონ ბოსკო და ჯორჯ უილიამსი. დონ ბოსკო იყო იტალიელი სასულიერო პირი, ხოლო ჯორჯ უილიამსი - ღრმადმორწმუნე ბრიტანელი ფილანტროპი და მათ საკუთარი ქრისტიანული მრწამსის რეალიზება სწორედ ახალგაზრდებზე ზრუნვაში ჰპოვეს.

ეკლესია-მონასტრებთან მანამდეც არსებობდა მზრუნველობას მოკლებულ მოზარდთა თავშესაფრები. მაშ, რა იყო ის განსაკუთრებული მახასიათებლები, რის გამოც ახალგაზრდული საქმიანობის მემკვიდრე ამ ორი გამორჩეული მოღვაწის სახელი შემოგვინახა, როგორც ახალგაზრდული მუშაკების პირველი მაგალითები?

მომდევნო თავებში („არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის პრინციპები“) ჩვენ დეტალურად გავცნობით ახალგაზრდული საქმიანობის მეთოდოლოგიას და იმ პრინციპებს, რომლებზეც დგას ახალგაზრდებთან მუშაობის ეს მიდგომა და დავრწმუნდებით, რომ დონ ბოსკოსა და ჯორჯ უილიამსის მიერ შექმნილი სივრცეები, ის, თუ როგორი იყო მათი დამოკიდებულება ახალგაზრდებთან მიმართებაში და ის, თუ რა მიზნების მიღწევას ცდილობდნენ ისინი ახალგაზრდებთან მუშაობისას, სრულად ეხმიანება და ასახავს იმ პრინციპებს, რომლებიც თანამედროვე ახალგაზრდული საქმიანობის ფასეულობრივ ქვაკუთხედად არის მიჩნეული - ახალგაზრდები კეთილი ნებითა და საკუთარი სურვილით იყრიდნენ თავს აღნიშნულ სივრცეებში, სადაც მათთვის შექმნილი იყო მათ საჭიროებებზე მორგებული, უსაფრთხო, ნდობით სავსე, არაკონკურენტული გარემო, რომელშიც მათი უშუალო ჩართულობით, ჰოლისტიკური მიდგომისა და ჯგუფზე ორიენტირებული და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების საშუალებით ზრუნავდნენ მათ განვითარებაზე.

დონ ბოსკო (ჯოვანი ბოსკო, GIOVANNI BOSCO)

ჯოვანი ბოსკო 1815 წელს დაიბადა იტალიაში, ტურინთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ბეჩიში. მან ჯერ კიდევ ადრეულ ბავშობაში დაკარგა მამა და საკუთარ თავზე გამოსცადა ობლობის მძიმე ტვირთი. მისი გადანაცვეტილება, გამხდარიყო სასულიერო პირი, 1841 წელს, ტურინში, მოძღვრად კურთხევით დაგვირგვინდა. იმავე წელს, დონ ბოსკომ დაარსა პირველი ახალგაზრდული ცენტრი „ორატორიუმი“, სადაც თავს იყრიდნენ მზრუნველობას მოკლებული მოზარდები და ახალგაზრდები. სულ მალე პირველ „ორატორიუმს“ სხვა სივრცეები მოჰყვა - სტუდენტების პანსიონი, მუშა ახალგაზრდების დახმარების საზოგადოება, სემინარია მღვდლობის მსურველი ახალგაზრდებისთვის ხელმოკლე ოჯახებიდან, ტიპოგრაფია და ექვსი სხვადასხვა ტიპის სახელოსნო. ბენეფიციართა რიცხვი წლიდან წლამდე სწრაფად იზრდებოდა და 1854 წელს დონ ბოსკომ, ახალგაზრდებთან მუშაობის გაფართოების მიზნით, თანამოაზრეებთან ერთად დააარსა საზოგადოება „დონ ბოსკოს სილუბიელები“. პირველი



„ორატორიუმის“ შექმნიდან 20 წლის თავზე, დონ ბოსკოს მიერ ახალგაზრდებისთვის შექმნილ სივრცეებში 1200 ახალგაზრდა იყრიდა თავს, საიდანაც 600-მდე ახალგაზრდა იქვე ცხოვრობდა კიდევ. დონ ბოსკოს მიერ გაჩაღებული საქმიანობის მასშტაბები მართლაც შთამბეჭდავი იყო და მისი ახალგაზრდებთან მიდგომის უაღრესად მაღალი ეფექტიანობა ხშირად მის ღვთიურ ნიჭსაც კი მიეწერებოდა, თუმცა თავისი „სასწავლმოქმედი“ უნარის საიდუმლო დონ ბოსკომ სულ მალე გაამჟღავნა თავისსავე ნაშრომში „ჭაბუკთა აღზრდის პრევენციული სისტემა“, სადაც ისაუბრა ორ ფუნდამენტურ პრინციპზე, რომლებზეც მისი აღმზრდელიობითი სისტემა იყო დაშენებული - აღმზრდელის თავდადებული ერთგულება აღსაზრდელისადმი და სადამსჯელო ზომების სრული უგულებელყოფა. დონ ბოსკომ ასევე შექმნა საგანმანათლებლო სახელმძღვანელოების სერია „იტელიელ ჭაბუკთა ბიბლიოთეკა“. მისი სიცოცხლის მიწურულს „დონ ბოსკოს სილუბიელებში“ გაერთიანებული იყო 773 ბერი, მათი საქმიანობა გასცდა იტალიის საზღვრებს და მოიცავდა საფრანგეთს, ესპანეთს, არგენტინას, ბრაზილიასა და ჩილეს.

დონ ბოსკო გამოირჩეოდა თავისი ღიაობით სიახლეებისა და ტექნოლოგიებისადმი - ის იყო პირველი მოძღვარი, რომელმაც მოამზადა და წარადგინა ექსპოზიცია სამრეწველო გამოფენაზე, პირველი მოძღვარი, რომლის ინტერვიუც დაიბეჭდა გაზეთში.

მართალია, დონ ბოსკო მხოლოდ ბიჭებთან მუშაობდა, თუმცა მალევე, 1872 წელს, მერი მაცარელოს მიერ (რომელიც დღეს წმინდანადაა შერაცხული) დაარსდა „დონ ბოსკოს სიღვრიელი დების“ გაერთიანება, რომელმაც იგივე მიზნებითა და ფასეულობებით გადანაცვალა გოგონებთან მუშაობა, რათა მათი გაძლიერებისთვის შეეწყოთ ხელი.

დონ ბოსკო გარდაიცვალა 1888 წელს. 47 წლის დაუღალავი მოღვაწეობის განმავლობაში მან თავის თანამოაზრეებთან ერთად შეძლო ეზრუნა 100 000-მდე ახალგაზრდის განვითარებასა და კეთილდღეობაზე. ამ ადამიანის მოღვაწეობა, მართლაც, სამაგალითო იყო და მისი ცხოვრება პედაგოგიკის მოდელი გახდა. ამ მოდელის საძირკველში ჩადებული იყო საღი აზროვნების, რწმენისა და კეთილგანწყობის მიდგომები, რაც ახალგაზრდებისთვის გონიერი თავისუფლების მიცემისა და ხალისიანი და საინტერესო ცხოვრების წინაპირობა გახდა, ხოლო მკაცრი დასჯისა და უპატივცემულო დამოკიდებულების ადგილი დონ ბოსკოს მიერ შექმნილ სივრცეში არ იყო.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დონ ბოსკო მუდმივად გამოკვეთდა აღმზრდელის (ახალგაზრდებთან მომუშავე პირის), როგორც როლური მოდელის მნიშვნელობას აღმზრდელობით საქმიანობაში. მას ღრმად სწამდა, რომ ახალგაზრდებთან ურთიერთობისას, აღმზრდელი ვერ გაუღვივებდა და განუვითარებდა მათ ისეთ დამოკიდებულებასა თუ ფასეულობას, რომლის მატარებელიც თავად არ იყო და ვერ ასწავლიდა ისეთ ქცევას, რომლის მაგალითსაც თავად არ იძლეოდა. მოზარდის აღზრდის მთავარ ინსტრუმენტად დონ ბოსკო არა სააღმზრდელო მეთოდებს, არამედ აღმზრდელის პიროვნებას მოიაზრებდა.

დონ ბოსკოს საქმიანობას დაეფუძნა არაერთი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომლებიც დღესაც ფუნქციონირებენ - მათ შორისაა „ახალგაზრდული ქსელები“, რომელიც დღესაც აქტიურად ზრუნავს ახალგაზრდების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და მათ სოციუმში ინტეგრაციაზე.


მისი განუზომელი ღვაწლის აღიარებისა და დაფასების ნიშნად, 1934 წელს, კათოლიკურმა ეკლესიამ დონ ბოსკო წმინდანად შერაცხა და მისი მოხსენიების დღედ 1 აპრილი გამოაცხადა. დონ ბოსკო ახალგაზრდების მფარველ წმინდანად ითვლება.

სერ ჯორჯ უილიამსი (SIR GEORGE WILLIAMS)

ჯორჯ უილიამსი იყო ბრიტანელი საზოგადო მოღვაწე, ფილანტროპი და განმანათლებელი. იგი 1821 წელს დაიბადა დელვერტონში, სომერსეტი.

უილიამსების რამდენიმე თაობა ფერმერობას ეწეოდა და ჯორჯიც 13 წლიდან ამ საქმიანობით დაკავდა, თუმცა სულ მალე ოჯახმა ის ბრიჯუოტერსში გააგზავნა ქსოვილების მაღაზიის მფლობელის შეგირდად. რამდენიმე წელში უილიამსი ლონდონში სამუშაოდ ერთ-ერთ ცნობილ ქსოვილებით მოვაჭრესთან - ჯორჯ ჰიჩკოკთან გადავიდა, მალევე მის ქალიშვილზე დაქორწინდა, ხოლო ჰიჩკოკის გარდაცვალების შემდეგ კომპანიის მფლობელიც გახდა.

ჯორჯ უილიამსი, გარდა ალლოიანი და საქმიანი მენარმისა, მაღალი მორალური და რელიგიური ფასეულობების მქონე ადა-




მიანიც იყო და დედაქალაქში საცხოვრებლად გადასული ძლიერ წუხდა, როდესაც ხედავდა, როგორ გაუსაძლის პირობებში უწევდათ შრომა ახალგაზრდებს და რამდენად რთული გამოწვევების წინაშე იდგნენ ისინი - თავის გამოსაკვებად ქურდობა და ძალადობა მათი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო.

ამ რეალობის შესაცვლელად და ახალგაზრდებისთვის მინიმალური, საბაზისო საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით, 1844 წელს უილიამსმა თავის 11 კოლეგა/თანამოაზრესთან ერთად დააფუძნა „ახალგაზრდა ქრისტიან მამაკაცთა ასოციაცია“ (Young Men's Christian Association- YYMCA). შეკრების სივრცეში იგეგმებოდა სხვადასხვა ღონისძიება, სადაც თავს იყრიდნენ დასაქმებული ახალგაზრდები და უსაფრთხო და მშვიდ, არაფორმალურ გარემოში ურთიერთობდნენ. ამ დროისთვის ფაბრიკა-ქარხნებში ძირითადად მამრობითი სქესის ახალგაზრდები იყვნენ დასაქმებულნი. მძიმე სამუშაოს გამო, მათი საზრუნავი და სალაპარაკო თემები მკვეთრად განსხვავდებოდა მათი თანატოლი ახალგაზრდა ქალების პრიორიტეტებისაგან, რის გამოც ერთმანეთის მიმართ დიდ გაუცხოებას განიცდიდნენ, შესაბამისად, ერთმანეთთან ურთიერთობაც სტრესის გამომწვევი უფრო იყო, ვიდრე სასიამოვნო ემოციების. ჯორჯ უილიამსის მიერ შექმნილი სივრცე კი ორივე სქესის ახალგაზრდებს აძლევდა საშუალებას „ახალგაზრდულ გარემოში თავისუფალი დროის გასატარებლად, რომელსაც თან ახლდა უფროსების მხრიდან კეთილგანწყობილი და მზრუნველობითი მხარდაჭერა“.

1894 წელს, დედოფალმა ვიქტორიამ საზოგადოების გავნითარებაში შეტანილი წვლილისა და გაწეული ფასდაუდებელი საქმიანობისთვის, ჯორჯ უილიამსს სერის წოდება მიანიჭა. ეს არაჩვეულებრივი, ნოვატორი ბიზნესმენი, რომელიც მოწოდებით ახალგაზრდული მუშაკი აღმოჩნდა, დონ ბოსკოსთან ერთად მსოფლიო ახალგაზრდული საქმიანობის ფუძემდებლად ითვლება. მის მიერ დაარსებული პირველი და უძველესი ახალგაზრდული ორგანიზაცია „ახალგაზრდა ქრისტიან მამაკაცთა ასოციაცია“ (Young Men's Christian Association- YMCA) დღესაც ფუნქციონირებს და ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური, ახალგაზრდობის სეგმენტზე ორიენტირებული საქველმოქმედო ფონდია მსოფლიოში, რომლის მთავარ მიზანსაც ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით.

მოდ სტენლი (MAUDE STANLEY)


XIX საუკუნის 70-იან წლებამდე ევროპულ საზოგადოებაში ითვლებოდა, რომ ახალგაზრდა ქალების ერთადერთი საზრუნავი კარგი დიასახლისობა უნდა ყოფილიყო, ამის სწავლას კი ისინი სახლებშიც მშვენივრად ახერხებდნენ. თუმცა ნელ-ნელა მწიფდებოდა იდეა თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ და ევროპაში იწყებოდა ქალთა განვითარების ხელშეწყობის მოძრაობები. ბრიტანეთში 1878 წელს დიდგვაროვანმა ქალმა, მოდ სტენლიმ (Maude Stanley), რომელიც წლების განმავლობაში იბრძოდა ქალთა უფლებებისთვის, შეიცვალა საქმიანობის ფოკუსი და კონცენტრირდა ახალგაზრდა ქალებთან მუშაობაზე. თავის დებთან ერთად, იგი გამოირჩეოდა პროგრესული იდეებით ქალთა საზოგადოებრივი ჩართულობის საკითხებთან მიმართებაში, დაკავებული იყო სოციალური სამუშაოთი და ქველმოქმედებით, თუმცა სტენლი მიხვდა, რომ მთავარი, რაც უნდა შეეცვალა ქალებში, ეს იყო დამოკიდებულებები საკუთარ საზოგადოებრივ როლთან მიმართებაში. მან დაიწყო ახალგაზრდა ქალებისთვის ღამის სკოლებისა და კლუბების გახსნა, ასევე ქმნიდა ღია სივრცეებს, სადაც ახალგაზრდა ქალები და მამაკაცები შეძლებდნენ საუბრითა და სამაგიდე თამაშებით თავის შექცევას და ერთმანეთთან კომუნიკაციას.



1880 წელს, მოდ სტენლიმ შექმნა გოგონათა კლუბების გაერთიანება, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში, ხოლო 1890 წელს მან თავის წიგნში „კლუბები დასაქმებული გოგონებისთვის“ პირველად აღწერა ახალგაზრდა ქალებთან საკლუბო საქმიანობის პროცესი.

ერნესტ ტომპსონ სეტონი (ERNEST THOMPSON SETON)

ამერიკაში ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება XX საუკუნის პირველი წლებიდან იღებს სათავეს და პირველი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც 1902 წელს ერნესტ ტომპსონ სეტონმა შექმნა, იყო Woodcraft League of America. სეტონის ამოცანას წარმოადგენდა განეფიქრებინა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამ მიზნის მიღწევას იგი ღია სივრცეებში ახალგაზრდების მცირე ჯგუფებისთვის საინტერესო სათავედასაველო ღონისძიებების გამართვით ცდილობდა, რაც, ფაქტიობრივად, არაფორმალური განათლების მეთოდის გამოყენების მაგალითი იყო. თავდაპირველად ეს ჯგუფები დაკომპლექტდა მხოლოდ ბიჭებით, თუმცა სულ მალე მათ გოგონებიც შეუერთდნენ.



ერნესტ ტომპსონ სეტონი ითვლება ამერიკული სკაუტინგის მამად, რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო სკაუტინგის შემქმნელმა - ბრიტანელმა სამხედრომ, რობერტ ბადენ-პაუელმა.

რობერტ ბადენ-პაუელი (ROBERT BADEN-POWELL)

რობერტ ბადენ პაუელი დაიბადა 1857 წელს ლონდონში. მამისი იყო ანგლიკანური ეკლესიის მოძღვარი და, იმავდროულად, თეოლოგიისა და გეომეტრიის პრფესორი ოქსფორდის უნივერსიტეტში, დედა კი - ჰენრიეტა გრეისი, ბრიტანელი ადმირალის ქალიშვილი, რომელმაც ქმრის ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ, საკუთარ თავზე აიღო შვიდი ვაჟიშვილის აღზრდის პასუხისმგებლობა. ჰენრიეტა იყო ძლიერი და თავდაჯერებული ქალი და რობერტი აღნიშნავდა: „ყველა ჩემი წარმატების საიდუმლო დედაჩემს ეკუთვნის“. რობერტი სწავლობდა ჩერტერჰაუზის პრესტიჟულ კერძო სკოლაში და ყოველთვის გამოირჩეოდა საბუნებისმეტყველო საგნების სიყვარულით. იგი ასევე იყო სკოლის საფეხბურთო გუნდის მეკარე. ამ პერიოდშიდან შეარქვეს თანატოლებმა მას B-P (Baden-Powell) და სწორედ ასე მოიხსენიებდნენ და მოიხსენიებენ მსოფლიო სკაუტები მას დღესაც. საზაფხულო არდადეგებს რობერტი ყოველთვის ექსპედიციებში, იალქნიანი ნავით ნაოსნობასა და ბუნებაში ატარებდა.



19 წლის რობერტ ბადენ-პაუელმა სამხედრო სამსახური დაიწყო დიდი ბრიტანეთის სამეფო არმიაში, ხოლო 26 წლის უკვე კაპიტანი იყო. 1887 წლიდან B-P მონაწილეობას ღებულობს სახრეთ აფრიკაში ადგილობრივი ტომების წინააღმდეგ გამართულ არაერთ ბრძოლასა თუ ექსპედიციაში. თავისი წარმატებული სამხედრო კარიერა მან გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაასრულა და 1901 წელს სამშობლოში დაბრუნდა. თუმცა ამით მას აქტიური მოღვაწეობა არ დაუსრულებია. ბადენ-პაუელმა შექმნა „მზვერავის დამხმარე სახელმძღვანელო“, რომელშიც დეტალურად აღწერა ის უნარები, რომელთა განვითარებაზეც უნდა ეზრუნა მზვერავს. სულ მალე ეს წიგნი სკაუტინგის პირველ სახელმძღვანელოდ იქცა, რადგან სწორად მაშინ აღწერილი უნარების განვითარება გახდა ბიჭი სკაუტების მიზანი.

1906 წელს ბადენ-პაუელი სიღრმისეულად გაეცნო პესტალოცის და სხვათა ნაშრომებს აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით - მისთვის ეს იყო მოსამზადებელი სამუშაოები წიგნზე - „სკაუტინგი ბიჭებისთვის“ მუშაობის დასაწყებად. თუმცა სანამ წიგნი დაიბეჭდებოდა, მასში

დეკლარირებული იდეების დასატესტად, ბადენ-კაუელმა 1907 წელს შეკრიბა 22 ახალგაზრდისგან შემდგარი ჯგუფი და წაიყვანა ისინი კუნძულ ბრაუნსიზე, საკარვე საგანმანათლებლო ბანაკში საინტერესო თავგადასავალში მონაწილეობის მისაღებად.

ეს ბანაკი ითვლება პირველ სკაუტურ ღონისძიებად, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო სკაუტურ მოძრაობას. იქ მოხდა სკაუტური საქმიანობის მთავარი სქემის ფორმირება - მონაწილეთა აღზრდა მათი აქტიურ მოქალაქეებად ფორმირების მიზნით, მათ მცირე ჯგუფებად - პატრულებად დაყოფით, რომლებსაც ხელმძღვანელობენ უფროსი ასაკის მოზარდები და პროცესი მიმდინარეობს ზრდასრულთა მეთვალყურეობის ქვეშ. ამ მოვლენიდან სულ მცირე ხანში, დიდ ბრიტანეთში, სკაუტინგმა საოცარი ტემპებით იფეთქა და მთელი ქვეყანა დაიფარა პატრულების ქსელებით. 1909 წელს ასევე თავი იჩინეს გოგონა სკაუტების პატრულებმაც და უკვე 1910 წელს რობერტ ბადენ-კაუელის და მისი დის - აგნესის ხელმძღვანელობით დაარსდა გოგონა-სკაუტებისა და გოგონა-გაიდების ასოციაცია. 1910 წელს ევროპასა და ამერიკაში უკვე 123 000-ზე მეტი სკაუტი ირიცხებოდა.

სკაუტინგის ასეთი პოპულარობა და ეფექტიანობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

1. სკაუტინგი მუშაობს შვიდი პროგრამული მიმართულებით და ამ პროგრამებში მიღწეულ წარმატებებს სკაუტები „ბეჭების სისტემით“ აღრიცხავენ. აღნიშნული პროგრამული მიმართულებები მთლიანად მიესადაგება კომპეტენციათა ჩარჩო დოკუმენტში მოცემულ კომპეტენციათა ჩამონათვალს, რომელთა განვითარება თითოეული ახალგაზრდული მუშაკის საქმიანობის მთავარი ამოცანაა.
2. სკაუტური შეხვედრები ატარებს სისტემატურ, სტაბილურ ხასიათს - კვირაში ერთხელ იკრიბება რაზმი თავის ლიდერთან ერთად და ისინი ერთბლივად ატარებენ თავის სამუშაო დროს ნდობითა და ტოლერანტობით სავსე გარემოში.
3. სკაუტური შეხვედრები ტარდება ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ, სადაც ლიდერი ეხმარება მონაწილეებს სანდო და უსაფრთხო გარემოს შექმნაში, ხოლო შეხვედრების შინაარსი მონაწილეები თავად აყალიბებენ.
4. სკაუტინგი ხელმისაწვდამია ყველასთვის! სკაუტები ლახავენ ბარიერებს და საზღვრებს, ერთიან თავგადასავალში ებმებიან და მსოფლიო მასშტაბით ამყარებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას.
5. სკაუტინგი ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ორგანიზებული ნიმუშია და დღესდღეობით ეს მოძრაობა მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით ახალგაზრდას აერთიანებს.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე ...

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოს წინაშე მწვავედ დადგა საკითხი იმის შესახებ, რა ზომები უნდა გატარებულიყო განვითარებული ქვეყნების მიერ მესამე მსოფლიო ომის საფრთხის პრევენციისთვის. ამოსავალი დებულება, რომელზეც ყველა მხარე თანხმდებოდა, ერთი იყო - მსგავსი დამანგრეველი და გამანადგურებელი გამოცდილება ადამიანებს აღარ უნდა დაეშვათ!

ამ მიზანზე მუშაობისას, ბევრ სხვა კომპონენტთან ერთად, ერთ-ერთ სტრატეგიულ თემად გამოიკვეთა მსოფლიო ახალგაზრდების ერთმანეთთან კომუნიკაციის, მათ შორის კავშირების დამყარების, კულტურული გაცვლების წარმოებისა და ნეთვორქინგის ხელშეწყობა, რისი უზრუნველყოფაც სხვადასხვა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციების შექმნით უნდა მომხდარიყო. ერთ-ერთი პირველი ასეთი ორგანიზაცია UNESCO-ს მიერ 1956 წელს შეიქმნა - ბუნების კონსერვაციისა და შესწავლის საერთაშორისო ახალგაზრდული ფედერაცია, რომელიც დღესაც აქტიურად მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციაა (YEE- Youth Environment Europe).

ამ პერიოდის საქართველოში, რომელიც საბჭოთა მარნუხებში იყო მოქცეული, ახალგაზრდული საქმიანობის მხოლოდ დამახინჯებული, ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი, პოლიტიკური შინაარსით დატვირთული და დიქტატორული სახელმწიფოს მექანიზმს მორგებული, ფიქტიური ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდებოდა პიონერული საქმიანობის სახით. იმავდროულად, საქართველოში მუდმივად ფიქსირდებოდა იატაკქვეშა ახალგაზრდული მოძრაობები. ზუსტად ახალგაზრდების არაფორმალური დაჯგუფებების აქტიურობის დამსახურებაა, რომ 1978 წელს, როდესაც დღის წესრიგში დადგა საქართველოში ქართული ენისთვის კონსტიტუციური სტატუსის შეცვლის საკითხი, ელვის სისწრაფით დაორგანიზდა და 14 აპრილს დაიწყო მრავალათასიანი საპროტესტო გამოსვლების სერია. ამ გამოსვლებმა საბჭოთა ხელისუფლებას დაანახა ახალგაზრდების ძალა და ღირებულებები, რომლის წინაშეც მან უკან დაიხია და დათმო თავისი პოზიცია. ეს იყო უმნიშვნელოვანესი გამარჯვება, რის აღსანიშნადაც 1990 წელს, 14 აპრილი ქართული ენის დღედ გამოცხადდა.

საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსვლის შემდეგ, ეროვნული თვითგამორკვევის პერიოდში, 90-იანი წლების საქართველოში იწყება პირველი ახალგაზრდული ორგანიზაციების შექმნა, თუმცა ახალგაზრდული საქმიანობის ცნების, მიზნებისა და ამოცანების აღქმა ჯერ ბუნდოვანია. ახალგაზრდები ერთიანდებიან პროფესიული ნიშნით, მაგალითად, „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“ (1989), „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (1994) და ასევე ჩნდება ახალგაზრდების მოერ ორგანიზებული პოლიტიკური გაერთიანებებიც.


XX საუკუნის 90-იანი წლებში ეყრება საფუძველი გოგონა სკაუტების გაერთიანებას, რომელიც 1993 წელს დარეგისტრირდა; 1998 წელს ამ ორგანიზაციამ ტრანსფორმაცია განიცადა და ჩამოყალიბდა, როგორც საქართველოს გოგონა სკაუტების ასოციაცია „დია“ და გააგრძელა აქტიური საქმიანობა სკაუტინგის მიმართულებით როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს გოგონა სკაუტების ასოციაცია „დია“-მ გამოიარა ასოცირებული წევრობის საფეხური და 2020 წლიდან იგი WAGGGS-ის (World Association of Girl Guides and Girl Scouts) სრულუფლებიანი წევრია.

1995 წელს შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდუ-



ლი ორგანიზაციების ნაციონალური საბჭო (საონს - NCYOG), რომელიც 2000 წლიდან ევროპის ახალგაზრდული ფორუმის წევრია. საონს-ი წლებია საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის პოპულარიზაციის მიმართულებით მუშაობს. დღესდღეობით მისი ორგანიზებით ხდება სხვადასხვა რეგიონში მომუშავე პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება და მათთვის გადამზადების გრძელვადიანი პროგრამების განხორციელება. ქოლგა ორგანიზაციაში დღეს 65-მდე ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციაა გაერთიანებული, მათ შორის ის ორგანიზაციებიც, რომლებიც საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის ისტორიას ქმნიდნენ.

იქამდე, სანამ დავასრულებთ საუბარს ახალგაზრდულ საქმიანობაზე, საქართველოს კონტექსტში აუცილებლად უნდა ვახსენოთ საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია (სამა), რომლის წევრებიც დღეს ვმუშაობთ აღნიშნული სახელმძღვანელოს შექმნაზე. სამა დაფუძნდა 2017 წელს პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკების მიერ და მისი მიზანია ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდულ მუშაკთა განვითარების და აღიარების ხელშეწყობა ჩვენს ქვეყანაში. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ სამთავრობო სტრუქტურებთან, საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებთან და ფონდებთან. საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია, ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად, არის ახალგაზრდულ მუშაკთა გადამზადების პირველი, სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული ახალგაზრდული მუშაკის პროფესიული გადამზადების პროგრამის ავტორი და განმახორციელებელი 2019 წლიდან. ამ პროგრამის გავლის შედეგად, 2021 წლიდან, საქართველოს ჰყავს სახელმწიფოს მიერ აღიარებული პირველი ახალგაზრდული მუშაკები, რომლებიც საფუძვლიანად იცნობენ ახალგაზრდული საქმიანობის ევროპულ სტანდარტებს, ფლობენ უნარებს საქმიანობის კვალიფიციურად განხორციელებისათვის და ერთგულნი არიან იმ ღირებულებების, რომელსაც ახალგაზრდული საქმიანობა ეფუძნება.



და ბოლო, დღეს ახალგაზრდობა მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ მათი კომპეტენციებითა და კონსოლიდირების უნარითაც წარმოადგენენ, რაც ახალგაზრდული საქმიანობის პირდაპირი შედეგია. ამიტომ, ჩვენი ამოცანაა ახალგაზრდული საქმიანობა და ახალგაზრდული მუშაკი ხელმისაწვდომი გავხადოთ თითოეული ახალგაზრდისთვის მისი განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობად.

თანამედროვე რეალობა

საკანონმდებლო ხელისუფლებაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი მუშაობს.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საქმეებს კურირებს ახალგაზრდობის სააგენტო, რომელიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექვემდებარება.

ქვეყნის ახალგაზრდული პოლიტიკა ეფუძნება „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“¹. კონცეფციის თანახმად, სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც უზრუნველყოფილია ახალგაზრდების, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრების მონაწილეობა, ღირსეული დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა და კეთილდღეობა, მათთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ინფორმაცია, რესურსები და განვითარების შესაძლებლობები.

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობა აქტიურად ხორციელდება ცალკეული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების, სფეროში ჩართული ინდივიდებისა თუ აქტივისტების მიერ, თუმცა ახალგაზრდული საქმიანობის სტანდარტების განვითარების, საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგების, სექტორთაშორისი კოორდინირების ხელშეწყობისა და სფეროს აქტორთა კომპეტენციების განვითარების საკითხი მეტად მიზანმიმართულ ძალისხმევას მოითხოვს.



¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0>

ახალგაზრდული მუშაკი

ახალგაზრდული მუშაკი არის ინდივიდი, რომელიც ჩართულია ახალგაზრდულ საქმიანობაში, მხარს უჭერს ახალგაზრდებს, ეხმარება მათ ჰარმონიულ განვითარებაში, ჯანსაღი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის მოპოვება-შენარჩუნებასა და კეთილდღეობისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაში.

ახალგაზრდული მუშაკი შეიძლება იყოს ტრენერი, ფასილიტატორი, მასწავლებელი, მწვრთნელი, ახალგაზრდული წრის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა აქტივისტი, სოციალური სამსახურის თანამშრომელი, ნებისმიერი ადამიანი, ვისაც შეხება აქვს ახალგაზრდებთან.

ეფექტიანი საქმიანობისა და, რაც მთავარია, „არ ავნო“ პრინციპის დასაცავად მნიშვნელოვანია, ახალგაზრდული მუშაკი მუდმივად ავითარებდეს საკუთარ თავში შემდეგ კომპეტენციებს:

უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა

მონაწილეთათვის ფიზიკური და ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით უსაფრთხო, ჩართულობითი, ღია, პატივისცემაზე დამყარებული, მრავალფეროვნების ხელშემწყობი გარემოს შექმნა და შენარჩუნება;

ტოლერანტობა და მოქნილობა

განსხვავებების მიმართ ღიაობა, სხვადასხვა ნიშნით განსხვავებულ ახალგაზრდებთან ჰარმონიულად და ეფექტიანად მუშაობა, ტოლერანტობის, როგორც ღირებულების კულტივირება ახალგაზრდებში;

ახალგაზრდების საჭიროებათა განსაზღვრა და რეაგირება

ახალგაზრდების განსხვავებული ჯგუფების საჭიროებების მოკვლევა, ახალგაზრდებთან ერთად პრიორიტეტების გამოკვეთა და შესაბამისი ჩარევის დაგეგმვა;

საიმედოობა

ახალგაზრდების ნდობის მოპოვებისა და შენარჩუნების უნარი, საჭიროების ფარგლებში კონფიდენციალობისა და ანონიმურობის დაცვა, პირობის შესრულება, ახალგაზრდების მხარდაჭერა მათთვის რთულ და საპასუხისმგებლო მომენტებში;

ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარება

ახალგაზრდული საქმიანობის ტიპების, ფორმების, მეთოდების ცოდნა და მათი საჭიროების შემთხვევაში გამოყენების უნარი, ახალგაზრდების განვითარების პრინციპების ცოდნა და მათი გამოყენება, მონაწილეთა კომპეტენციების განვითარება და მათი ჰორიზონტის გაფართოვება;

არაფორმალური განათლების კომპეტენცია

სასწავლო მოდულების შემუშავება და ეფექტიანად გადაცემა, არაფორმალური განათლების პროცესის წარმართვა, მონიტორინგი და შეფასება

კომუნიკაცია/თანამშრომლობა

ახალგაზრდებთან, სფეროს აქტორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა, საერთო ენის გამონახვა, თანამშრომლობა, საერთო მიზნისთვის ძალისხმევის განხორციელება;

ორგანიზებაულობა

დროის, ფინანსური, მატერიალური, ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა;

კონფლიქტებისა და კრიზისების მართვა

რთულ სიტუაციებში სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;

ემოციური მონიერება

საკუთარი და სხვისი ემოციების ცნობა, სწორი მართვა და ადეკვატური რეაგირება;

ახალგაზრდული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახალგაზრდული მუშაკი შესაძლოა თავის საქმიანობას ეწეოდეს ვირტუალურ ან რეალურ სივრცეში, ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებში ან სხვა პირობებში. ამდენად, საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით, იგი შეიძლება თავის მოვალეობებს ასრულებდეს როგორც ცენტრის ახალგაზრდული მუშაკი, მობილური ახალგაზრდული მუშაკი, ციფრული ახალგაზრდული მუშაკი, მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული მუშაკი, სხვა ახალგაზრდული მუშაკი და ა.შ.

როგორ გავხდეთ ახალგაზრდული მუშაკი?

საქართველოში ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების განვითარება შესაძლებელია ამ საკითხზე სპეციალიზებული სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში.

ასეთი ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებას წარმოადგენს ახალგაზრდულ მუშაკთა პროფესიული გადამზადების კურსი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის მიერ და აკრედიტებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეუწყების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

პროგრამა 22 კვირის განმავლობაში გრძელდება და მოიცავს როგორც სატრენინგო ბლოკებს, ასევე პრაქტიკულ ნაწილს.

ახალგაზრდული საქმიანობის ტიპები და სახეები

ახალგაზრდული საქმიანობის კლასიფიცირება ბევრი სხვადასხვა კრიტერიუმით არის შესაძლებელი. შეგვიძლია გამოვყოთ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიასთან, სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ ჯგუფთან მუშაობისათვის შესაფერისი საქმიანობის ტიპები და ფორმები, რომელთა შერჩევაც კონკრეტული ჩარევის, მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრის შემდეგ არის მიზანშეწონილი, თუმცა ამ სახელმძღვანელოში გვინდა მიმოვიხილოთ ახალგაზრდული საქმიანობის ყველაზე ხშირად გავრცელებული ტიპები და სახეები.

ახალგაზრდული საქმიანობის ტიპოლოგიის ერთ-ერთი თეორია ახალგაზრდულ საქმიანობას ორ ფაქტორთან მიმართებაში მიმოიხილავს. ერთი მხრივ, ხდება მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკის განსაზღვრა, მეორე მხრივ კი - საქმიანობის მიზნის. მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკის თვალსაზრისით, შესაძლოა, ერთი მხრივ, არსებობდეს ყველასათვის ღია, უნივერსალური აქტივობებისკენ მიმართული ახალგაზრდული საქმიანობა და, მეორე მხრივ - სპეციფიკური, შეზღუდული მიზნობრივი ჯგუფისთვის გამიზნული. ახალგაზრდული საქმიანობის მიზნების თვალსაზრისით, შეგვიძლია გამოვყოთ პიროვნული განვითარების ფართო, მრავლისმომცველ მიზანზე ორიენტირებული და ვიწრო, სპეციფიკურ საკითხებზე ფოკუსირებული საქმიანობა (Working with young people: the value of youth work in the European Union, 2014).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ტიპის ახალგაზრდული საქმიანობა:

1

უნივერსალური, ყველასათვის ღია ახალგაზრდული საქმიანობა ფართო მიზნით;

2

გარკვეულ ჯგუფ(ებ)ზე ფოკუსირებული ახალგაზრდული საქმიანობა ფართო მიზნით;

3

უნივერსალური ახალგაზრდული საქმიანობა სპეციფიკური მიზნით;

4

ფოკუსირებული ახალგაზრდული საქმიანობა სპეციფიკური მიზნით.

ახალგაზრდული საქმიანობის ღონისძიებები შესაძლებელია სხვადასხვა სახით, სხვადასხვაგვარ გარემოში და სხვადასხვა მეთოდოლოგიით განხორციელდეს, აქტივობის ამოცანებიდან, მიზნობრივი აუდიტორიის სპეციფიკიდან, სოციალურ-კულტურული თავისებურებებიდან, ადგილობრივ დონეზე არსებული რეალობიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე.

ახალგაზრდული საქმიანობის გარემო

მნიშვნელოვანია გამოვყოთ რამდენიმე სხვადასხვა გარემო, რომლის ფარგლებშიც ყველაზე ხშირად ხორციელდება ახალგაზრდული საქმიანობა:

ახადგაზრდული სივრცე:

ახალგაზრდული სივრცე წარმოადგენს სპეციალურ სივრცეს, სადაც ახალგაზრდებს საშუალება აქვთ უსაფრთხო, არაფორმალურ გარემოში, პროფესიონალთა მეთვალყურეობის ქვეშ, ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში. ახალგაზრდული ცენტრები მოზარდების მიერ თავისუფალი დროის ქუჩაში გატარების ჯანსაღ, სასარგებლო ალტერნატივად მიიჩნევა და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოზარდების კრიმინალურ და თვითდაზიანებელ აქტივობებში ჩართვის შემცირების საქმეში.

მისი მიზნიდან და ორგანიზების ტიპიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ტიპის ახალგაზრდული სივრცე:

ახალგაზრდული ცენტრი

სივრცე, სადაც ახალგაზრდებისთვისა და ახალგაზრდებთან მომუშავე ადამიანებისთვის სტრუქტურირებული არაფორმალურ განათლებაზე დაფუძნებული სასწავლო ღონისძიებები ხორციელდება.

ღია ახალგაზრდული ცენტრი

ღია სივრცე ახალგაზრდებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფალი დრო გაატარონ მშვიდ,

უსაფრთხო, სასიამოვნო, მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ გარემოში. ღია ახალგაზრდული ცენტრის კარი ახალგაზრდებისთვის ყოველთვის ღიაა, არ კეთდება დამსწრე ახალგაზრდების სიები (ჯგუფების დაკომპლექტებისა და ჯგუფის ზომების ლიმიტების დანესების თავიდან აცილების მიზნით), რადგან ახალგაზრდას ცენტრში მისვლის შესაძლებლობა აქვს მაშინ, როდესაც უნდა და როდესაც სჭირდება.



ახალგაზრდული სივრცე


ადგილი, სადაც ახალგაზრდებს არაფორმალურ გარემოში ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის შესაძლებლობა აქვთ. ეს არის მათდამი კეთილგანწყობილი გარემო, სადაც ისინი იკრიბებიან, ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობას, მონაწილეობას იღებენ კულტურულ-შემოქმედებით, საგანმანათლებლო, სპორტულ, გარემოსდაცვით და სხვა ხასიათის ღონისძიებებში, შეუძლიათ განივითარონ ძირითადი კომპეტენციები, გაცვალონ და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილებები და ცოდნა.

ახალგაზრდული ჰაბი

ახალგაზრდული ჰაბი არის სივრცე ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის, სადაც, ერთი მხრივ, აქვთ შესაძლებლობა წარმართონ თავიანთი ადმინისტრაციულ-შინაარსობრივი საქმიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, განახორციელონ სხვადასხვა აქტივობა ახალგაზრდებისთვის.

ახალგაზრდული ოთახი

არასტრუქტურირებული და არაორგანიზებული სივრცე ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდული ოთახი შეიძლება იყოს მარტივად, ერთი პატარა სივრცე მუნიციპალიტეტის შენობაში, სადაც ახალგაზრდებს აქვთ სრული ავტონომია დაკავდნენ ისეთი საქმიანობით, რაც მათ უნდათ, აინტერესებთ და სიამოვნებთ – აღნიშული საქმიანობა აუცილებელია მიმდინარეობდეს ახალგაზრდული მუშაკის დაკვირვებითა და მხარდაჭერით.



ახალგაზრდული ორგანიზაცია



ახალგაზრდული ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდების მიერ მართულ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელიც ახალგაზრდულ საქმიანობაშია ჩართული. ახალგაზრდული საქმიანობის მიზნების სასარგებლოდ, ახალგაზრდული ორგანიზაცია შესაძლოა მუშაობდეს როგორც უშუალოდ ახალგაზრდებთან, ასევე ახალგაზრდული სფეროს სხვადასხვა აქტორებთან.

ახალგაზრდული ბანაკი



ახალგაზრდული ბანაკები ახალგაზრდული საქმიანობის წარმართვის მნიშვნელოვანი გარემოა. ბანაკები შეიძლება განსხვავდებოდეს თემატიკის, მიზნის, მიზნობრივი ჯგუფის მიხედვით. შესაძლოა ბანაკი განკუთვნილი იყოს რომელიმე ვიწრო ჯგუფისთვის ან პირიქით, ღია იყოს ნებისმიერი მსურველი ახალგაზრდისათვის. ბანაკი შეიძლება მოეწყოს კონკრეტული საკითხის ირგვლივ (როგორიც არის, მაგალითად, ახალგაზრდების მონაწილეობა, გარემოს დაცვა, უცხო ენის შესწავლა, აქტიური მოქალაქეობა) ან, ზოგადად, ახალგაზრდების განვითარების ფართო მიზანს ემსახურებოდეს და კომბინირებული პროგრამით იყოს წარმოდგენილი.

ახალგაზრდული მოძრაობა



ახალგაზრდული მოძრაობა წარმოადგენს ახალგაზრდების მიერ მართულ მოძრაობას, სადაც ახალგაზრდები საერთო მიზნის ირგვლივ ერთიანდებიან.

ახალგაზრდული მოძრაობა შეიძლება მიმართული იყოს ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდისკენ, ფონდების მოძიებისკენ, ახალგაზრდების გაძლიერებისკენ, სიღარიბესთან ბრძოლისკენ და ა.შ.

მსოფლიოს ყველაზე დიდ ახალგაზრდულ მოძრაობას სკაუტთა მოძრაობა წარმოადგენს.

ახალგაზრდული საქმიანობის სახეები

ახალგაზრდული საქმიანობის წარმართვის უამრავი სხვადასხვა გზა არსებობს. ახალგაზრდულ საქმიანობად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ის ინიციატივა, რომელიც იზიარებს ახალგაზრდული საქმიანობის მიზნებს, ღირებულებებსა და მეთოდებს. თუმცა მნიშვნელოვანია აქვე აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდულ საქმიანობაზე ბენეფიციარების ხელმისაწვდომობისა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დროთა განმავლობაში, ჩამოყალიბდა ახალგაზრდული საქმიანობის სპეციფიკური, კონკრეტულ გარემოებებზე მორგებული ფორმები, რომელთა შორისაც ყველაზე ფართოდ შემდეგი სახეები გავრცელებული:



ახადგაზიხედ ცენტირებზე დაფუძნებული ახადგაზიხედი საქმიანობა



ახალგაზრდულ ცენტრში განხორციელებული ახალგაზრდული საქმიანობა მიზნად ისახავს ახალგაზრდების ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას, მნიშვნელოვანი კომპეტენციების გაძლიერებას. აქტივობები შესაძლოა იყოს სტრუქტურირებული (ტრენინგები, სემინარები, ვორქშოპები, კინოკლუბი, ლიტერატურული კლუბი და ა.შ.) ან სთავაზობდეს ახალგაზრდებს შემეცნებითი და გასართობი აქტივობების ფართო არჩევანს (სამაგიდო თამაშები, ფილმები, სახვითი ხელოვნება, მუსიკალური ინსტრუმენტები და ა.შ.). ახალგაზრდულ ცენტრში ახალგაზრდებს შეუძლიათ მიიღონ კომპეტენტური რჩევები და გულითადი მხარდაჭერა, შეიძინონ მეგობრები, იგრძნონ თავი მიღებულიად და უსაფრთხოდ. ახალგაზრდული ცენტრები უამრავი ახალგაზრდას საყვარელი გასართობი და დასასვენებელი ადგილია.

ახალგაზრდულ ცენტრში ახალგაზრდებს შეუძლიათ მიიღონ კომპეტენტური რჩევები და გულითადი მხარდაჭერა, შეიძინონ მეგობრები, იგრძნონ თავი მიღებულიად და უსაფრთხოდ. ახალგაზრდული ცენტრები უამრავი ახალგაზრდას საყვარელი გასართობი და დასასვენებელი ადგილია.

საველე ახალგაზრდული საქმიანობა

ამ სახის ახალგაზრდული საქმიანობა, ისევე როგორც ახალგაზრდული საქმიანობის ყველა სხვა სახე, მიზნად ისახავს ახალგაზრდების ფიზიკური, სოციალური, პიროვნული განვითარების ხელშეწყობას, თუმცა, ამ შემთხვევაში, ახალგაზრდებთან მუშაობა, ასე ვთქვათ, მათსავე ტერიტორიაზე, არაფორმალური შეკრების ადგილებში (ქუჩები, პარკები, კაფეები, ღია სივრცეები) ხდება და უმეტესწილად მორგებულია მოცემულ მომენტში მათი განვითარების საფეხურზე, მათ ღირებულებებზე, დამოკიდებულებებზე, გამოწვევებსა და ამბიციებზე. იქედან გამომდინარე, რომ საქმიანობა საველე პირობებში მიმდინარეობს, იგი სრულად მოხალისეობრივია და მისი განხორციელების თავისებურებები ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ მუშაკს შორის მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს.

მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობა

ამ სახის ახალგაზრდული საქმიანობა, ისევე, როგორც საველე ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდების შეკრების ადგილებში ხორციელდება, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში საქმიანობის მიზანია ახალგაზრდების ინფორმირება მათთვის არსებული სერვისების შესახებ და მათი მოზიდვა მოცემულ სერვისებში ჩასართავად. მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობის მიზანი ასევე შეიძლება იყოს ახალგაზრდებთან კონსულტაციების გავლა არსებული სერვისების ხარვეზებისა და ახალგაზრდების საჭიროებებთან მათი შესაბამისობის თემაზე.

მობილური ახალგაზრდული საქმიანობა

მობილური ახადგაზიხედი საქმიანობა ახადგაზიხედი საქმიანობის ფორმაა, რომელიც ძირითადად ხოციედეება იქ, სადაც ახადგაზიხედი საქმიანობის სეხვისები და ინფხასტრუქტუხა ახ ახის განვითაჲებული. მობილური ახადგაზიხედი საქმიანობა სხუდიად იზიიჲებს ახადგაზიხედი საქმიანობის ღიიებუდეებსა და ჰიინციპებს, დაფუძნებულია ახადგაზიხეების ინტეხეხებსა და საჭიიოებებზე და ხოციედეება ახადგაზიხდისთვის ჩვეუდ გაიემოში.

მობილური ახალგაზრდული საქმიანობა გულისხმობს ახალგაზრდების კომპეტენციათა განვითარებაზე, ჯანსაღ გართობასა და დასვენებაზე ორიენტირებული აქტივობების ჩატარებას

ისეთ ადგილებში, სადაც არ არის განვითარებული ახალგაზრდული საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ამგვარი საქმიანობის მიზანია მაქსიმალურად უზრუნველყოს ახალგაზრდების თანაბარი წვდომა ახალგაზრდულ საქმიანობაზე. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მობილური ახალგაზრდული საქმიანობა ეფუძნება მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებს. საქმიანობა შეიძლება სხვადასხვა მიზნისკენ იყოს მიმართული (ინფორმირება, გართობა, ცნობიერების ამაღლება, მობილიზება და ა.შ.), რაც განსაზღვრავს საქმიანობის მეთოდს. აქტივობები შესაძლებელია სხვადასხვა ადგილში განხორციელდეს - სპეციალიზებულ ან არასპეციალიზებულ შენობებში, გარეთ, საჯარო შეკრების ადგილებში და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ მობილური ახალგაზრდული საქმიანობის პროცესი საერთო მიღებულ პრინციპებს - წვდომას, მოხალისეობრივ მონაწილეობას, ურთიერთობების აგებას და ა.შ. ეფუძნებოდეს.



მობილური ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს სავსელ ახალგაზრდული საქმიანობის სახით, ჯგუფებთან მუშაობის გზით, ინდივიდუალურად ან თემში.

მობილური ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი საინტერესო ფორმაა მობილური ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც შეიძლება, მაგალითად, ავტობუსში ან ვაგონეტში იყოს განთავსებული და საჭიროებისამებრ ადგილიდან ადგილზე ინაცვლებდეს.

ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა

ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდულ საქმიანობაში მედიისა და ტექნოლოგიების პროაქტიულად გამოყენებას გულისხმობს და სრულიად ემყარება ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკას, ფასეულობებსა და პრინციპებს. ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს როგორც პირისპირ სიტუაციებში, ასევე ვირტუალურ გარემოში ან ორივეში ერთად. ციფრული მედია და ტექნოლოგიები კი არის ინსტრუმენტი, თვით საქმიანობა ან შინაარსი ახალგაზრდულ საქმიანობაში.

სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა

ახალგაზრდული საქმიანობა, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდული მუშაკი საქმიანობას ახორციელებს სკოლებში.

სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა ხელს უწყობს სკოლებსა და ახალგაზრდულ სერვისებს შორის კავშირის გაუმჯობესებას და ემსახურება ახალგაზრდების სრული პოტენციალის განვითარებას, მათ კეთილდღეობასა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

ღია ახალგაზრდული საქმიანობა

ახალგაზრდული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ღია ახალგაზრდულ ცენტრში. აღნიშნულ საქმიანობას არ გააჩნია წინასწარ მკაცრად განსაზღვრული კურიკულუმი და იგი ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, აქტიურად შექმნან და ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო, სამოქალაქო და რეკრეაციულ ღონისძიებებში.

ახალგაზრდული საქმიანობის მეთოდები და მათი შერჩევის კრიტერიუმები

არაფორმალური განათლება გამოირჩევა მეთოდთა მრავალფეროვნებით და სწორედ ამიტომაც გამოიყენება იგი ახალგაზრდული მუშაკების მიერ ახალგაზრდებთან მუშაობისას ძირითად მიდგომად.

აღნიშნული მრავალფეროვნებიდან, მეთოდების მიზნობრივად შერჩევისთვის, ახალგაზრდულმა მუშაკმა საფუძვლიანად უნდა გაიაზროს ის **კრიტერიუმები**, რაომელთა გაითვალისწინება აუცილებელია საქმიანობის დაგეგმვისას.

კრიტერიუმთა პირველი ჯგუფი მოიცავს იმ **გუნდის სპეციფიკას და მახასიათებლებს**, რომლებთანაც იგეგმება საგანმანათლებლო თუ განმავითარებელი პროგრამის განხორციელება:

- როგორია გუნდი - ერთგვაროვანი თუ მრავალფეროვანი?
- როგორია გენდერული შემადგენლობა და ბალანსი?
- როგორია გუნდის ასაკობრივი მახასიათებლები?
- როგორია მონაწილეთა საჭიროებები?

კრიტერიუმთა მეორე ჯგუფი მოიცავს ისეთ კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრავს, რა **მიზანს** ისახავს ახალგაზრდული მუშაკი ახალგაზრდებთან მუშაობისას და განვითარების რა ეტაპზე იმყოფება გუნდი:

- რომელი კომპეტენციის და, კონკრეტულად, მისი რომელი ნაწილის - ცოდნის, უნარის თუ დამოკიდებულების - განვითარება იგეგმება?
- როგორია გუნდის შეთამაშების/შემუშავების/ გუნდურობის ხარისხი - იცნობენ ერთმანეთს, თუ ეს მათი პირველი ერთობლივი შეხვედრაა? გუნდის განვითარების სტადიებიდან რომელ სტადიაზე იმყოფება ეს კონკრეტული გუნდი?

თეორია N1 - მოზარდებისა და ახალგაზრდების საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებანი

ახალგაზრდული მუშაკი, რომელიც ჩართულია მოზარდებთან და ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესში, კარგად უნდა ერკვეოდეს მათ ასაკობრივ თავისებურებებში, რათა გულისყურით მოეკიდოს ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას საქმიანობის დაგეგმვისას და განხორციელებისას.

ახალგაზრდულმა მუშაკმა საკუთარი საქმიანობის განხორციელების დროს, პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინოს, რომ მოზარდის/ახალგაზრდის რეალური საჭიროებები/მოთხოვნილებები და მის მიერ დასახელებული ინტერესები/სურვილები ხშირად შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს.

საჭიროება არის უკმარისობის გრძნობა, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება, რომელსაც განიცდის ადამიანი. ეს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება ადამიანს უბიძგებს ქმედებისაკენ, რომელიც მიმართულია ამ საჭიროების დაკმაყოფილებისკენ. თუკი საჭიროება ვერ კმაყოფილდება, ადამიანი ეძებს მისი **ჩანაცვლების** ან **ჩახშობის** საშუალებებს.

ხშირად ადამიანებს საფუძვლიანად არ აქვთ გააზრებული საკუთარი საჭიროება, ამიტომაც, მის დასაკმაყოფილებლად უჩნდებათ ისეთი რამის გაკეთების სურვილი, რაც ვერ უზრუნველყოფს ამ საჭიროების ეფექტიან დაკმაყოფილებას. ეს შეუსაბამოა ყველაზე მწვავედ ახალგაზრდებში იჩენს თავს, რადგან მათ აქვთ უამრავი მოთხოვნილება, გამონწვევა, მაგრამ ვერ არ აქვთ ამ გამონწვევების დაძლევისთვის საჭირო კომპეტენციები.

ამიტომაც, ახალგაზრდული მუშაკს უნდა შეეძლოს ახალგაზრდის ქცევის ან გაცხადებული ინტერესის მიხედვით დაინახოს, რა რეალური საჭიროებისა და გამონწვევების წინაშე დგას ის და რატომ, ხოლო შემდეგ, ახალგაზრდული საქმიანობის საშუალებით უნდა შეძლოს მისთვის ახალი გამოცდილების შექმნა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარება ამ საჭიროებებსა და გამონწვევებზე პასუხად.

საქართველოს კანონმდებლობით, ახალგაზრდა არის 14-29 წლის პირი, შესაბამისად, ამ ასაკობრივ კატეგორიაში გაერთიანებული ასაკობრივი ჯგუფების მახასიათებლებსა და მათ საჭიროებებზე ვისაუბრებთ ამ თავში. 14-29 წელი საკმაოდ ფართო პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, მრავალი განსხვავებული ცხოვრებისეული გამონწვევით, მისწრაფებითა და მოტივით დატვირთული, შესაბამისად, ჩვენ მას ვყოფთ ოთხ ასაკობრივ ჯგუფად:

მოზარდები:

14-15 წლის ასაკობრივი ჯგუფი;
16-17 წლის ასაკობრივი ჯგუფი;

ახალგაზრდები:

18-25 წლის ასაკობრივი ჯგუფი;
25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი.

ასაკობრივი განვითარების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მისაღებად თქვენ შეგიძლიათ ონლაინ მოიძიოთ მრავალი ფსიქოლოგიური თეორია, რომლებიც სხვადასხვა რაკურსით გვანვდის ინფორმაციას ადამიანის განვითარების სპეციფიკის შესახებ ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, თუმცა ფოკუსის დავინროებაში რომ დაგეხმაროთ, შემოგთავაზებთ იმ სამი თეორიის ჩამონათვალს, რომელსაც ჩვენ გავუწევთ რეკომენდაციას. ესენია:

1. ერიკ ერიკსონის (1902-1994 წ.წ.) ფსიქო-სოციალური ანვითარების თეორია.
2. ჟან პიაჟეს (1896-1980 წ.წ.) კოგნიტური განვითარების თეორია.
3. ლევ ვიგოტსკის (1896-1934 წ.წ.) სოცო-კულტურული თეორია.

ამ თეორიების გაცნობით თქვენ მიიღებთ აკადემიურ ცოდნას, ჩვენ კი ჩვენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოში შემოგთავაზებთ კონკრეტულად იმ ახალგაზრდების ასაკობრივი ჯგუფების მახასიათებლებს, რომლებიც მოქცეულია 14-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში და მათთან პრაქტიკული მუშაობის დროს გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს.

მოზარდების ჯგუფის დახასიათება

14-15 წელი

ამ ასაკში მოზარდებს უყალიბდებათ საკუთარი მორალური ხედვა და მოთხოვნები, რომლებიც უფროსებთან და თანატოლებთან მათი ურთიერთობების ფორმირებაზე ახდენს დიდ გავლენას; უყალიბდებათ გარემოცვის გავლენის ქვეშ მოქცევისგან თავის დაღწევის უნარი, ილაშქრებენ ზოგიერთი სოციალური ნორმის წინააღმდეგ და ხმამაღლა დეკლარირებენ იმას, რასაც თვითონ თვლიან უტყუარ და მართებულ შეხედულებად. ამ შეხედულებებისადმი ერთგულებას ისინი საკუთარ თავსაც სთხოვენ და მათი შესრულების საკმაოდ მკაცრი მოლოდინი აქვთ.

ამ ასაკში მოზარდები შეგნებულად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიან დასახული მიზანსკენ, მზად არიან, შეასრულონ რთული საქმე, რომელიც შეიძლება მოიცავდეს რუტინულ მოსამზადებელ ეტაპსაც და ჯიუტად ლახავენ დაბრკოლებებს. რაც უფრო გაჯერებული, დატვირთული, ენერგიული და მჩქეფარეა მათი ცხოვრება, მით უფრო მოსწონთ ეს.

მათთვის უფროსები უკვე აღარ არიან უპირობო ავტორიტეტის მატარებელნი. ისინი მტკივნეულად აღიქვამენ უფროსების საქმესა და სიტყვას შორის აცდენას. მოზარდები სულ უფრო დაჟინებით მოითხოვენ უფროსებისაგან მათი აზრებისა და შეხედულებების პატივისცემას და განსაკუთრებით აფასებენ გულწრფელ, პარიტეტულ საწყისებზე დამყარებულ ურთიერთობებს



წინა პერიოდთან შედარებით, ამ ასაკში მოზარდები მეტად მოხერხებულები და მოქნილები ხდებიან როგორც ფიზიკურად, ისე მენტალურად. გარეგნულად, ხშირ შემთხვევაში, ზრდასრული ადამიანებისვით გამოიყურებიან. უყალიბდებათ სტაბილური ჩვევები. ამავე პერიოდში ჩნდება სენტიმენტალური, ემოციური დამოკიდებულებები და ურთიერთობები. მათი აზროვნება ახალ დონეზე გადადის. ამ ასაკისათვის ხასიათი უკვე ჩამოყალიბებული აქვთ, მაგრამ თვითშეფასება ჯერ კიდევ არ არის მყარი. შესაძლოა, ამ შინაგანი სიმყარის ნაკლებობის გამო, საკმაოდ მოწყვლადი და მგრძნობიარე იყვნენ გარე შეფასებების მიმართ.

ამ ასაკში უყვართ დებატები და კამათი, ძლიერ ღელავენ საკუთარი გარეგნობისა და ფიზიკური მახასიათებლების გამო, სურთ სოციალურ თავის დამკვიდრება, უფრო მეტად შეუძლიათ საკუთარი ემოციების კონტროლი. უჩნდებათ მყარი ორიენტირები მომავლისკენ და გრძელვადიან გეგმებსაც სახავენ; უჩნდებათ სხვების დახმარების სურვილი. ურთიერთობები შეფერილია შინაგანი სიახლოვის განცდის მძაფრი სურვილით, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია გულახდილობა და საიდუმლოებების გაზიარება მეგობრებს შორის და ასევე, უჩნდებათ უფროსებთან არაფორმალური და სანდო ურთიერთობების სურვილი.

მათი ძირითადი თავისებურებაა ის, რომ თავს ზრდასრულებად თვლიან. უფრო მეტიც, ისინი მთლიანად მოცულნი არიან ამ თემით. მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ყველა-სთვის იმის მტკიცება, რომ დიდები არიან. ფიზიკური გარდატეხის ასაკი სულ ახლახანს დაუსრულდათ, თუმცა მენტალურად ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში იმყოფებიან და ემოციების მართვა ჯერ კიდევ უჭირთ, რის გამოც, უთანხმოებისა და კონფლიქტებისას, გოგონები შეიძლება ემოციების უკონტროლო გამოხატვამდე მივიდნენ, ბიჭები კი ფიზიკურ დაპირისპირებამდე.

ახალგაზრდები ამ გარდამავალ ასაკობრივ პერიოდში მიდრეკილები არიან დეპრესიისკენ, ხასიათის უაღრესად სწრაფი ცვლილებებისკენ. ისინი საკმაოდ თამამნი და კომუნიკაბელურები არიან და შეუძლიათ საკუთარი აზრის დაცვა, მათი არგუმენტები საკმაოდ მყარიცაა და

ხანდახან იმდენად მყარიც, რომ მშობლებს აღარაფერი რჩებათ, გარდა იმისა, რომ მათ არასრულწლოვანებას გაუსვან ხაზი და ამ მზევით მოითხოვონ მათთვის წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინება (მაგალითად, საღამოს სახლში დროულად მოსვლასთან დაკავშირებით).

ამ ასაკში ძალიან აღიზიანებთ მბრძანებლური კილოთი საუბარი, თვლიან, რომ საკუთარი თავის მართვა თავად შეუძლიათ, უფრო მეტს საუბრობენ, ვიდრე აკეთებენ. თუკი აკეთებენ, უფრო სხვების ყურადღების მისაქცევად. ამ პერიოდში მათთვის მნიშვნელოვანია ისეთი ჯგუფის წევრად გრძნობდნენ თავს, რომელსაც ლიდერი მართავს, ამიტომ თავად ვერ აცნობიერებენ, როგორ ქმნიან მას და ხშირ შემთხვევაში, შემდეგ თავადვე განიცდიან მის არსებობას და შედიან მასთან ღია თუ ფარულ კონფრონტაციაში. კარგი იქნება, თუ ასეთი ლიდერი მათთვის გახდება ახალგაზრდული მუშაკი.



მოზარდთა ძირითადი საჭროებები

მოზარდთა ჯგუფების აღწერილობაში მოყვანილ ფაქტებს მათ გარეგან ქცევებსა თუ შინაგან დამოკიდებულებებთან დაკავშირებით აქვთ თავიანთი მიზეზები. ამ მიზეზებს მოზარდთა ძირითადი მოთხოვნილებები ეწოდება და ამის ცოდნა თითოეული ახალგაზრდული მუშაკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, შესაბამისი გარემოსა და პროცესების ორგანიზების გარეშე, ახალგაზრდული საქმიანობა ვერ მოიზიდავს მოზარდებს მასში ჩასართავად.

მოზარდების ძირითადი მოთხოვნილებები:

- მიღების, აღიარების მოთხოვნილება (სურვილი აქვთ საზოგადოებაში მიიღონ ისეთებად, როგორებიც არიან);
- სანდოობის, საკუთარ თავში დაჯერებულობის მოთხოვნილება;
- ახალი გამოცდილების მიღების (თავდასავლების) მოთხოვნილება;
- მონონების, მხარდაჭერის მიღების მოთხოვნილება;
- სიყვარულის მოთხოვნილება;

დეტალურად გავიაროთ, როგორ შეიძლება გამოვხმაუროთ ჩამოთვლთაგან თითოეულს ახალგაზრდული საქმიანობის კონტექსტში:

მიღების, აღიარების მოთხოვნილება

- ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფთან პირველი შეხვედრა და გაცნობა, ამიტომ სათანადო დრო დაუთმეთ მის მომზადებას. დაგეგმვისას გაითვალისწინეთ, რომ თვითნარდგენისთვის დრო და სივრცე მისცეთ ყველას და ეს რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოზრდისთვის.
- გულდასმით მოუსმინეთ, როდესაც მონაწილე საუბრობს საკუთარ ცხოვრებაზე, ოჯახზე, ინტერესებზე.
- არ დასცინოთ წარუმატებლობის გამო.
- არ ელოდოთ მოზარდისგან უფროსივით მოქცევას და არ უსაყვედუროთ ბავშვური ქცევისთვის.
- ჯგუფის თითოეულ წევრს შეუქმენით კოლექტიურ საქმიანობაში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში ჯგუფის საერთო საქმიანობის მიმართ დამოკიდებულება იქნება დადებითი, გულწრფელი და ძლიერი.
- თუ მოზარდის ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილდება და ის იგრძნობს, რომ მიღებული და აღიარებულია სხვების მიერ - რომ მას უსმენენ, მისით ინტერესდებიან, პატივს სცემენ და არ დასცინიან, იგი თავადაც მსგავსი დამოკიდებულებისა და ქცევის გამოვლენას დაიწყებს სხვების მიმართ.

ნდობის მიღების, საკუთარი თავში დაჯერებულობის მოთხოვნილება

- ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ის, რომ იგი დროში განვრცობილი და პერმანენტულია. ეს მოზარდს უქმნის შესაძლებლობას, დაამყაროს სტაბილური, გრძელვადიანი ურთიერთობები და ამ ურთიერთობებში განივითაროს ისეთი დამოკიდებულებები, რომლებისთვისაც აუცილებელია სანდო ადამიანებთან ურთიერთობა.
- ახალგაზრდული მუშაკის მიერ ორგანიზებულ სანდო და უსაფრთხო სივრცეში მასთან სტაბილური ურთიერთობა და მის მიერ გამოვლენილი დამოკიდებულებები არის გარანტი, რომ მოზარდმა საკუთარი თავის საიმედოობის რწმენა არ დაკარგოს და პირიქით, გაიძლიეროს კიდევ.
- შეხვედრების დაგეგმვისას იზრუნეთ, რომ თითოეულ მონაწილეს ჰქონდეს დავალება, რომელსაც გაუმკლავდება, წარმატებულად შეასრულებს და მიიღებს შესაბამის უკუკავშირს მასთან დაკავშირებით.

ახალი გამოცდილების მიღების (თავგადასავლების) მოთხოვნილება

- მოზარდები მზად არიან და მოუთმენლად ელიან სამყაროს უკეთ შესწავლას, ადამიანების უკეთ გაცნობას, ახალი სოციალური, ფიზიკური, ემოციური, გონებრივი, მორალური გამოცდილებების მიღებას.
- შეეცადეთ, გამოეხმაუროთ მათ ინიციატივებს ახალი გამოცდილებების მიღებასთან დაკავშირებით.
- საქმიანობის დაგეგმვისას, “არ ავნო” ძირეული პრინციპის გათვალისწინებით, დაგეგმეთ მათთვის სხვადასხვა ტიპის გამოწვევები.
- თუ გამოწვევებთან გამკლავების დროს სირთულეებს წააწყდებიან, მოახდინეთ ამ სირთულეების იდენტიფიცირება და საგანმანათლებლო და განმავითარებელი ღონისძიებების განხორციელებით ხელი შეუწყვეთ საჭირო უნარების განვითარებაში, შესაბამისად, სირთულეების გადალახვაში.
- გაუზიარეთ ხოლმე თქვენი გამოცდილება, მოინვიეთ მათთვის საინტერესო სტუმრები გამოცდილებების გასაზიარებლად. იმ ადამიანების რჩევები, რომლებიც არ მიუთითებენ, რა და როგორ უნდა აკეთონ, არამედ უყვებიან თავად როგორ აკეთებდნენ მათ ასაკში ან ახლა, მათთვის საინტერესო, მნიშვნელოვანი, მამოტივირებელი და მორალურად მხარდამჭერი იქნება.
- გახსოვდეთ, რომ რისკი და ინიციატივა მათთვის ამ ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ გამოცდილებებით ისინი იზრდებიან, ყალიბდებიან ძლიერ და კომპეტენტურ ადამიანებად, რომელიც არ უშინდება ცხოვრებისეულ სირთულეებს.



ლებს. ისინი იგრძნობენ, რომ შეუძლიათ გააკეთონ რაღაც მნიშვნელოვანი არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც. ამიტომ არ დათრგუნოთ ისინი თქვენი ძალაუფლებით, არ გააკონტროლებთ ზედმეტად, არ ჩასვით უსაფრთხოების გადა-
მეტებულ ჩარჩოებში და არ გაიტანოთ თქვენი., გახსოვდეთ, თუ ახალგაზრდულ სივრცეში არაფორმალური განათლების მეთოდებით არ დავუკმაყოფილებთ მათ ამ მოთხოვნილე-
ბას, მაშინ ზოგიერთი მათგანი სხვა გზებს მოძებნის ამისთვის, ზოგი კი ჩათვლის, რომ რისკი და ინიციატივა ზედმეტია ცხოვრებაში და გადანყვეს, რომ რუტინული, უხალისო ცხოვრებაც საკმარისია. ამიტომ გარისკეთ, იხალისეთ, იმხიარულეთ, ითამაშეთ მათთან ერთად და ყოველთვის წარმატებულ შედეგებზე არ ორიენტირდეთ, არამედ პროცესზე და ფასეული გამოცდილების მიღებაზე კონცენტრირდით.

მოწონების, მხარდაჭერის მიღების მოთხოვნილება

- თითოეულ მოზარდს აქვს რაღაც უნიკალური, რის გამოც ის შეიძლება შექებას, მოწონე-
ბას, მხარდაჭერას იმსახურებდეს თქვენგან.
- არ დაიშუროთ ქება. თქვენ შეგიძლია წაახალისოთ მოზარდი და ამით ხელი შეუწყოთ, რომ ის განმტკიცდეს ამ კონკრეტულ ქცევაში და განვითარდეს სწორი მიმართულებით - რაც უფრო მეტად შეამჩნევთ მის მცდელობას და შეაქებთ მას, მით მეტად და უფრო ხარისხიან მცდელობებს განახორციელებს მოზარდი.
- არ მიიღოთ მოზარდების მცდელობები - რამე გააკეთონ - ჩვეულებრივ მოცემულობად და არ იყოთ ნეიტრალური ემოციების გამოხატვაში.
- არ შეაქოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმატებს მიაღწევს. შეაქეთ მცდელობისთვის, შეაქეთ პროცესში ჩართულობისთვის.
- გამოარჩიეთ და შენიშნეთ ყველაფერი კარგი, რასაც აკეთებენ მოზარდები და ისინი უფრო მონდომებით გააგრძელებენ საქმიანობას. დაანახეთ, რომ კმაყოფილი ხართ და ეს გააკეთეთ მთელ ჯგუფთან ან შესაბამის დროს თითოეულთან მიმართებაში.
- მოწონების, მხარდაჭერის პროცესი არ გახადოთ უმიზეზო, არ გააუფასუროთ მათი მცდე-
ლობები. უპირობო შეიძლება იყოს სიყვარული, მაგრამ მოწონებას და მხარდაჭერას მცდელობის განხორციელება სჭირდება, წინააღდეგ შემთხვევაში ის გახდება ხელოვნუ-
რი, დასწავლილი, ფიქტიური და დაკარგავს მამოტივირებელ ეფექტს.

სიყვარულის მოთხოვნილება

- შექმენით სივრცე, სადაც თითოეული მონაწილისთვის თქვენ და თქვენი ემოციური რესუ-
რსი თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება, თუმცა ამ რესურსს ყველა თავისი საჭიროების მიხედვით გამოიყენებს, ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად.
- თითოეულს დაუთმეთ იმდენი დრო და გამოხატეთ იმდენი ემოცია, რის გაკეთებასაც ყვე-
ლასთვის შეძლებთ.
- არ შეიქმნათ მოლოდინები, არ გაიჩინოთ ფავორიტები და ან პირიქით, არ გამოკვეთოთ რთული მონაწილეები და არ გარიყოთ ისინი. გახსოვდეთ, რომ რთული ქცევა აღიარები-
სა და სიყვარულის ნაკლებობის პირდაპირი ნიშანია.
- მოუსმინეთ ყურადღებით და არ განსაჯოთ. მაქსიმალურად ეცადეთ, რომ მოზარდების

შეცდომებმა არ შეგიცვალათ მათდამი დამოკიდებულება. აპატიეთ მათ შეცდომები და ასევე, აღიარეთ საკუთარი შეცდომები მათთან.

- დააფასეთ მათი სიყვარულის მცირედით გამოხატვები (წერილები, სუვენირები). უპირობოდ გიყვარდეთ და მათი გულები გადაიშლება სანდო ურთიერთობებისათვის. გახსოვდეთ, რომ უსიყვარულოდ მოზარდები თავს გარიყულებად, ჩაკეტილებად იგრძნობენ, ამ უსიყვარულობის მიზეზს კი საკუთარ თავში ეძებენ და პოულობენ კიდევ.
- ამიტომ არ გახდეთ ახალგაზრდული მუშაკი, თუ არ გიყვართ მოზარდები და ახალგაზრდები, თუ არ გრძნობთ, რომ მათთან მუშაობა თქვენი მოწოდება და პიროვნული ფასეულობაა!

18 - 25 წელი

18 წლისთვის მოზარდი ნელ-ნელა ასრულებს “ქარიშხლიანი უღელტეხილების” გადალახვას; იცვლება როგორც მისი სამართლებლრივი სტატუსი - ის სრულწლოვანი ხდება, ისე მისი შინაგანი, ემოციური ვნებათაღელვები თუ გარეგანი, პროტესტის გამომხატველი ქცევითი პატერნები. ჰარმონია ისადგურებს როგორც ახალგაზრდების შინაგან სამყაროში, ისე მათ ოჯახებსა და ახლო გარემოცვაში.

ამ ეტაპზე ხდება თინეიჯერობაში აპრობირებული და გადაფასებული დამოკიდებულებებიდან პიროვნების მყარი ფასეულობრივი სისტემის ფორმირება. პოზიციები ყალიბდება, ეთიკურ საკითხებთან მიმართებაშიც და ჩნდება “პირადი ზნეობრივი კოდექსი”. ახალგაზრდები იწყებენ სამომავლო გეგმების დასახვას და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზადებას.

ახალგაზრდებს უყალიბდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა, შეუძლიათ გეგმების, გრძელვადიანი მიზნების დასახვა, აკეთებენ პროფესიულ არჩევანს და დამოუკიდებლად ცხოვრების მიზნით, იწყებენ საკუთარი ფინანსური რესურსების მოსაპოვებლად შრომას. მათთვის, პირადი პასუხისმგებლობების გარდა, აქტიური ხდება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ცნებაც და ისინი ინტერესდებიან საკუთარი წვლილის შეტანით სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში.

განვითარებულია სტაბილური თვითაღქმა – ნაკლები დისკომფორტი და გაუცხოება აქვთ საკუთარ ფიზიკურ სხეულთან მიმართებაში და ახალგაზრდები უკვე მეტ-ნაკლებად კომფორტულად და კონგრუენტულად გრძნობენ თავს მასში.

ყალიბდება სტაბილური ურთიერთობები მშობლებთან და იცვლება ურთიერთობის დინამიკა - ოჯახის წევრები ასრულებენ როლებს - მჩაგვრელი-უფროსი და ჩაგრული-უმცროსი და თანასწორი პოზიციების მქონე როლებს ითვისებენ; თუმცა ემოციურად რამდენად თბილი და სასიამოვნო ურთიერთობები ჩამოუყალიბდებათ დამოკიდებულია, როგორ გადაიარეს გარდატეხის ასაკი.

მყარი ხდება მეგობრული ურთიერთობები – ამ ასაკში თანატოლები და მოულოდნელი იმედგაცრუებები გადაწყვეტილებებზე ნაკლებ გავლენას ახდენენ, მეგობრობაც განსხვავებულ, ბევრად მშვიდ ელფერს იღებს: მეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალურ ურთიერთობებს და ნაკლები სხვადასხვა ჯგუფისადმი მიკუთვნებულობას. მისაღები, მიმზიდველი და საინტერესო ხდება მრავალფეროვან და განსხვავ-



ვებულ ადამიანებთან ურთიერთობა, კლებულობს ჰომოგენურ ჯგუფთან მიკუთვნებულობის მოთხოვნილება, რომელიც საჭიროების დონეზე ვლინდება გარდატეხის ასაკში.

თუ თინეიჯერობისას რომანტიული ურთიერთობები მეტ-ნაკლებად სპონტანური იყო, სწრაფად იწყებოდა და სრულდებოდა, მკვეთრი აღმაფრენები და შემდეგ დეპრესიული მომენტები ახლდა თან, ამ ასაკში ახალგაზრდები რომანტიულ პარტნიორს ცნობიერად, ინდივიდუალური გადაწყვეტილებით ირჩევენ, ჩნდება ხანგრძლივი მიჯაჭვულობა, ხდება თანასწორი, პარტნიორული ურთიერთობების დაფასება და ძიება.

ეს იმ ცვლილებათა მხოლოდ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია, რომლებსაც ახალგაზრდების უმეტესობა განიცდის ამ ასაკში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა შემთხვევა განსხვავებული და ინდივიდუალურია, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყველა ახალგაზრდა გადის განვითარების ამ გზას. ჩვენი ამოცანაა, მათ გვერდით ვიყოთ პიროვნული თუ ფიზიკური ფორმირების საინტერესო და გამომწვევებით სავსე გზაზე სვლისას, არ გავუკვალოთ გზა, არამედ გავაძლიეროთ ისინი ფასეულობრივად, ცოდნის მიწოდებითა და უნარების განვითარებით, რათა ზრდასრულ ცხოვრებაში კომპეტენტურ სუბიექტებად იგრძნონ თავი.

კომპლექსური რჩევები ახალგაზრდულ მუშაკებს

მიუხედავად იმისა, რომ მოზარდებთან ურთიერთობა კომპლექსური და გამომწვევებით სავსეა, ზრდასრულებმა ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ, რომ ამ ასაკისთვის დამახასიათებელი გაუცხოებისა და კონფრონტაციული დამოკიდებულების მიუხედავად, დავრჩეთ მათ გვერდით, მათთან და მათთვის და შევუქმნათ უპირობო რწმენა, რომ ჩვენი რესურსი მათთვის მუდმივად ხელმისაწვდომია. ახალგაზრდულმა მუშაკებმა უნდა შევძლოთ და ხელი შევუწყოთ მოზარდის მცდელობას, მოიპოვოს დამოუკიდებლობა, ჩამოყალიბდეს ავტონომიურ პიროვნებად და თან (იმის გამო, რომ მოზარდის ტვინი და სხეული ჯერ ბოლომდე ფორმირებული არ არის) წინ გავუძღვეთ იმ სირთულეთა დაძლევისას, რომლებსაც მოზარდი დამოუკიდებლად ვერ გაართმევს თავს. ამ ამოცანის მთავარი სირთულე - თავად მოზარდი იშვიათად ხვდება (ან თუ ხვდება, არაფრით აღიარებს), რომ ზოგიერთ გამომწვევას მარტო ვერ გაუმკლავდება.

მოზარდებისგან განსხვავებით, ზრდასრულებს უკვე განვითარებული გვაქვს რაციონალური აზროვნების უნარი, ამიტომ ოქროს შუალედის პოვნა, მოზარდის უარგუმენტო შეზღუდვასა და მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ უსაფრთხოების ნორმებს შორის, ჩვენი პასუხისმგებლობაა; ჩვენ უნდა შევთავაზოთ მოზარდს თავისივე უსაფრთხოებისთვის აუცილებელი, თუმცა მინიმალური შეზღუდვები და ამავედროულად მუდმივად უნდა ვაკვირდებოდეთ მათ ქცევას რისკის დონის შეფასების მიზნით. ამ დროს აუცილებელია გამომწვევის გრძელვადიან ჭრილში შეფასება: თუ ქცევა (რომელიც ზრდასრულებს შესაძლოა არც ესმოდეთ და არც მოსწონდეთ) ხანგრძლივ ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს მოზარდის კეთილდღეობაზე, ახალგაზრდას უნდა მიეცეს მისი განხორციელების საშუალება. მაგალითად, სკობს თავად წყვეტდეს, რა სტილის მუსიკას მოუსმინოს, როგორ გაატაროს თავისუფალი დრო – მეგობართან თუ საკუთარ ოთახში, მოკლედ შეჭრილი ან შეღებილი თმა ატაროს თუ გრძელი, ექსტრემალური სპორტით დაკავდეს თუ მხატვრული ლიტერატურის კითხვით, როგორი იყოს მისი აკადემიური მოსწრება, როგორი პროფესიული არჩევანი გააკეთოს და ა.შ. არჩევანის გაკეთებით ახალგაზრდა სწავლობს დამოუკიდებლობას, გამოიმუშავებს გემოვნებას და საკუთარ სტილს, პასუხისმგებლობას იღებს თავის გა-



დაწყვეტილებებზე. მეორე მხრივ, აუცილებელია თანმიმდევრულობა იმ ქცევის აღსაკვეთად, რომელსაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი შედეგი მოჰყვეს: დისკუსია ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებების შესახებ, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჯანსაღი კვების აუცილებლობა, უსაფრთხოების აუცილებელი ნორმების დაცვა, ძალადობის ყველა სახის შესახებ ინფორმაციის ფლობა, მისი ამოცნობა, მასზე რეაგირების უნარი და ა.შ.

წესების შემუშავებისას უნდა გვახსოვდეს, რომ მათი სიმრავლე აუფასურებს თითოეულის მნიშვნელობას. მოზარდობისას თავისუფლებისა და ექსპერიმენტებისკენ სწრაფვა უსაზღვროა და ჩვენ, ზრდასრულებმა, უნდა გავითვალისწინოთ ეს, თუმცა, ამავე დროს, მოზარდებმა და ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ზოგიერთი ქცევა მიუღებელია და ამ ქცევისთვის მათ არავინ გარიყავთ, თუმცა არასდროს მოუწონებენ.

გვახსოვდეს, რომ ზრდასრულების ჰიპერმზრუნველობის შედეგად იზრდება ინფანტილური პიროვნება, რომელსაც უჭირს დამოუკიდებლად ცხოვრება, საკუთარი თავის მომსახურება და საკვანძო საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება. ჩვენი, ახალგაზრდული მუშაკების ამოცანა კი არის ახალგაზრდისთვის ისეთ გარემოს შექმნა, სადაც ის სრულფასოვან, რეალიზებულ, განვითარებასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ადამიანად ჩამოყალიბდება და შეძლებს ჰარმონიულად იცხოვროს თანამედროვე სამყაროში.



25 - 29 წელი

ამ ასაკობრივ პერიოდში ახალგაზრდებისთვის აქტიური სოციალური ცხოვრება და სიღრმისეული ინტერპერსონალური ურთიერთობები არის დამახასიათებელი. სწორედ ამიტომ ხდება მათთვის მიმზიდველი ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართვა ან დარჩენა. ეს ასაკი მშვიდი, მიზანმიმართული დინამიურობითა და რესურსების სიმრავლით გამოირჩევა - ახალგაზრდები თავად არიან რესურსები, აზიარებენ რესურსებს და აქტიურად იყენებენ კიდევ მათ.

მათთვის ამ ეტაპზე აქტუალური და პრიორიტეტული ხდება გლობალური მასშტაბის აქტივობები, ისინი სცდებიან საკუთარი მიკრო-სოციუმის (თემი, ქალაქი, რეგიონი, ქვეყანა) საზღვრებს, ინტერესდებიან კულტურათაშორისი ურთიერთობებით და გამოცდილების საკუთარი ქვეყნის გარეთ გაზიარებით.

ამ ასაკში ასევე პრიორიტეტულია პროფესიაში ადგილის დამკვიდრება, კოლეგებთან ურთიერთობა და წარმატების მიღწევა, თუმცა ისეთი შემთხვევებიც ბევრია, როდესაც 18 წლისთვის გაკეთებული პროფესიული გადაწყვეტილების გადაფასება და ცვლილება ხდება. მთელი ცხოვრების მანძილზე განვითარების მიდგომის მიხედვით, ეს სრულიად მისაღები და ბუნებრივი პროცესია, ამიტომ ახალგაზრდას მხარი უნდა დაუჭიროთ პროფესიულ თვითგამორკვევაში.

ბევრი ახალგაზრდა, ჩვენს ქვეყანაში, ამ ასაკში ქმნის ოჯახს და ამ პერიოდის ძირითადი გამოწვევა სწორედ ეს ხდება - როგორ აუწყონ ფეხი თანამედროვე სამყაროს რიტმს, არ ჩამორჩნენ მას და, იმავდროულად, შეძლონ, იყვნენ მოსიყვარულე, ღირსეული, მზრუნველი და მხარდამჭერი პარტნიორები და მშობლები.


ასეთია ახალგაზრდობის ზედა ასაკობრივი ჯგუფის მოკლე დახასიათება და ახალგაზრდული მუშაკის როლი, ამ ეტაპისთვის, ჩამოთვლილი ინტერესების დაკმაყოფილების ხელშეწყობა და გამოწვევების დაძლევაში მხარდამჭერი როლის მორგებაა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ეტაპზე ახალგაზრდული მუშაკი და ახალგაზრდული საქმიანობის ბენეფიციარი უკვე თანაბარუფლებიან პარტნიორებად გვევლინებიან.

თეორია N2 - სწავლის სტილები

ახალგაზრდულმა მუშაკმა საქმიანობის პროცესში უნდა გაითვალისწინოს, რომ ადამიანებს ერთმანეთისგან განსხვავებული სწავლის სტილი გააჩნიათ.

ფსიქოლოგების, **ჰანისა** და **მამფორდის** თეორიის მიხედვით, ადამიანები განსხვავებულად ვაგროვებთ და ვამუშავებთ ინფორმაციას სამყაროს შესახებ. ზოგიერთს ურჩევნია პირდაპირ საქმეში ჩაერთოს და პრაქტიკული ექსპერიმენტები ატაროს, ზოგი კი დაკვირვებას და თვითჩადრმავებას ამჯობინებს; ზოგნი გრძნობებზე უფრო არიან ორიენტირებულნი, ზოგი კი ყველაფერს გონებით ზომავს და საღი აზრით აფასებს. იმის მიხედვით, რას ვანიჭებთ უპირატესობას, ოთხიდან ერთ-ერთი სწავლის სტილი გვახასიათებს:

- დაკვირვება და რეფლექსია - **მოაზროვნე**
- თეორიების აგება - **თეორეტიკოსი**
- თეორიების პრაქტიკაში გადაყვანა - **პრაგმატიკოსი**
- პრაქტიკული ექსპერიმენტირება - **აქტივისტი**



იმის გამო, რომ ყველას გაგვაჩნია ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილება, უპირატესობა მივანიჭოთ სწავლის ამა თუ იმ სტილს, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ უკეთ ვსწავლობთ მაშინ, როდესაც ჩვენთვის დამახასიათებელ სტილს ვიყენებთ და გვიჭირს სწავლა, როცა საპირისპირო სტილის გამოყენება ხდება. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ სწავლის ხარისხი იმატებს, როცა სწავლის ოთხივე სტილს ვიყენებთ, რადგან ამ დროს სწავლის მთელი ციკლის ჩართვა ხდება.

აქტივისტებს უყვართ:

- ✓ ფეხზე დგომა და ისე ფიქრი
- ✓ გუნდში მუშაობა
- ✓ ინიციატივის გამოჩენა
- ✓ მონაწილეობა და მრავალფეროვნება ყველაფერში
- ✓ მოკლე შეხვედრები და სესიები

აქტივისტებს უყვართ პროცესში მთლიანად ჩართვა და არ ერიდებიან ახალ გამოცდილებას. უყვართ ყველაფერი, რაც არის ახლა და აქ. გახსნილები არიან ახალი იდეების მიმართ და არ არიან სკეპტიკურები, რაც მათ ენთუზიაზმს მატებთ. მათი ფილოსოფიაა "ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყველაფერი უნდა გამოსცადო". ჯერ მოქმედებენ და მხოლოდ შემდეგ უფიქრდებიან შედეგებს. არიან აქტიურები, პრობლემას უმკლავდებიან "ტვინის შტურმით". თუ საქმემ მათთვის მიმზიდველობა დაკარგა, ისინი სასწრაფოდ გადაერთვებიან სხვა საქმეზე. მათ იტაცებთ ახალი გამოცდილების სირთულე და სწრაფად ბეზრდებათ ხანგრძლივი, დროში გაწელილი საქმის კეთება. უყვართ ჯგუფში მუშაობა, მაგრამ, ამავდროულად, მათთვის საჭიროა იყვნენ ყურადღების ცენტრში.



მოაზროვნების უყვართ:

- ✓ იფიქრონ მოქმედებებზე
- ✓ მიიღონ გადაწყვეტილებები საჭირო დროს
- ✓ გულდასმით მოემზადონ
- ✓ იკვლიონ და შეაფასონ



მოაზროვნებს სჩვევიათ შორს გადგომა და პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა. ისინი აგროვებენ ყველანაირი სახის მონაცემს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გულდასმით აანალიზებენ მათ. დეტალური ინფორმაციის შეგროვება, მოვლენისა თუ გამოცდილების ირგვლივ, მათთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, ამიტომაც კონკრეტული დასკვნების მისაღებად მეტი დრო სჭირდებათ. მათი ფილოსოფიაა "სიფრთხილეს თავი არ სტკივა". არასდროს გადადგამენ ნაბიჯს, თუ საგულდაგულოდ არ აწონ-დანონიან. შეხვედრებსა და დისკუსიებში ძირითადად მსმენელების როლში გვევლინებიან. მოსწონთ სხვებზე დაკვირვება. საკუთარ აზრს არ გამოთქვამენ დისკუსიის მიმართულების გამოკვეთამდე. ცდილობენ დისტანცია დაიჭირონ ადამიანებთან ურთიერთობაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ადამიანი-აისბერგი, რომელიც მოდის წარსულიდან, მოქმედებს აწმყოში და ნათლად ხედავს საკუთარი ქმედებების შედეგებს მომავალში.



თეორეტიკოსებს უყვართ:

- ✓ სრული სურათის დანახვა
- ✓ ინტელექტუალური სავარჯიშოები
- ✓ კონცეფციები და მოდელები
- ✓ ზუსტი და გარკვეული სტრუქტურა და ამოცანები
- ✓ იდეების ლოგიკური წარმოჩენა

თეორეტიკოსები საკუთარ დაკვირვებას აყალიბებენ რთულ, მაგრამ ლოგიკურ იდეებად. ისინი პრობლემებს განიხილავენ ვერტიკალურად, სიღრმისკენ და ნაბიჯ-ნაბიჯ. ერთმანეთისგან დაშორებულ ფაქტებს აერთიანებენ ადვილად გასაგებ თეორიებში. თეორეტიკოსები, როგორც წესი, მაქსიმალისტები არიან და ვერ ისვენებენ, სანამ ყველაფერი მოწესრიგებულ და რაციონალურ ფორმას არ მიიღებს. მოსწონთ ფაქტების გაანალიზება და სინთეზირება. კარგად აყალიბებენ მოსაზრებებს, პრინციპებს, თეორიულ მოდელებს და აზროვნებენ სისტემურად. მათი ფილოსოფია უპირატესობას ანიჭებს რაციონალურობასა და ლოგიკას - "ლოგიკურია, მაშასადამე კარგია". ისინი ხშირად სვამენ შემდეგი ტიპის კითხვებს: "აქვს კი ამას აზრი?", "რამდენად შეესაბამება ეს ფაქტები/იდეები ერთმანეთს?", "რაში მდგომარეობს ძირითადი მოსაზრებები?". თეორეტიკოსები უფრო ანალიტიკოსები და რაციონალურად ობიექტურები არიან, ვიდრე

სუბიექტურები და რაიმე მრავალმხრივის მომხრენი. პრობლემებისადმი მათი მიდგომა ლოგიკურ ხასიათს ატარებს. ასეთია მათი აზროვნების სტრუქტურა და ისინი მტკიცედ უარყოფენ ყოველივეს, რაც მათთან შეუსაბამობაშია. თეორეტიკოსებს ურჩევნიათ საბოლოოდ დარწმუნდნენ რაიმეში და განიცდიან დისკომფორტს, თუ უხდებათ სუბიექტურობასთან, მერყეობასა და რაიმე ზედაპირულთან შეხება.

პრაგმატიკოსებს უყვართ:

- ✓ საკუთარი შრომის საჭიროების დანახვა
- ✓ სწავლისაგან პრაქტიკული სარგებლობის მიღება
- ✓ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარება
- ✓ კომპეტენტური ხელმძღვანელები
- ✓ რეალობასთან ახლო მდგომი საგანმანათლებლო აქტივობები



პრაგმატიკოსებს მოსწონთ იდეების, თეორიებისა და მეთოდების პრაქტიკაში განხორციელება და ექსპერიმენტები. ისინი მუდმივად ეძებენ ახალ იდეებს და როგორც კი საშუალება მიეცემათ, ცდილობენ ეს იდეები პრაქტიკულად განახორციელონ. (მაგალითად, მოუთმენლად ელიან ტრენინგის დასრულებას, რათა ახალი იდეები პრაქტიკაში გამოსცადონ). მოქმედებენ ოპერატიულად და დარწმუნებით. არ მოსწონთ დაუსრულებელი დისკუსიები, რადგან "ხელები ექავებათ" დისკუსიიდან პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ. ისინი არიან პრაქტიკულები, "ამქვეყნიური აზროვნების" და არ უყურებენ სამყაროს "ვარდისფერი სათვალეებით". იღებენ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს და ოპერატიულად წყვეტენ პრობლემებს. მათთვის პრობლემა და შესაძლებლობა, ორივე გამოწვევაა ცხოვრებაში. მათი ფილოსოფიაა: "ნუ გამოვიგონებთ ველოსიპედს თავიდან".

სწავლის სტილების ძლიერი და სუსტი მხარეები

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
პ ქ ტ ი ვ ი ს ტ ი	- მოქნილი და ღია ახალი იდეების მიმართ - უხარიათ, თუ ეძლევათ შანსი... - მოსწონთ ახალ სიტუაციებში მოხვედრა - ახლის მიმართ ოპტიმისტურად არიან განწყობილები და ამიტომ იოლად ეგუებიან ცვლილებებს	- მოქმედებენ სწრაფად, ბევრი ფიქრის გარეშე - ხშირად მიმართავენ გაუმართლებელ რისკს - ბევრს აკეთებენ თავად და ამასთანავე უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა - ქმედებაზე გადადიან შესაბამისი და საკმარისი მომზადების გარეშე - სწყინდებათ დეტალური სამუშაო
მ ო ა ზ რ ო ვ ნ ე	- ფრთხილები - დაფიქრებულები - თანმიმდევრულნი და სისტემური - აქვთ მოსმენის კარგი უნარ-ჩვევა და შეუძლიათ ინფორმაციის აღქმა - იშვიათად აკეთებენ ნაჩქარევ დასკვნებს	- პირდაპირი მონაწილეობისაგან თავს იკავებენ - გადაწყვეტილებების მიღებას ძალიან დიდ დროს ანდომებენ - არიან ფრთხილები და რისკს არ მიმართავენ - არასაკმარისად კატეგორიულნი - არ უყვართ „ნაჭორავება“
თ ე ო რ ე ტ ი კ ო ს ი	- აქვთ ლოგიკური ჯაჭვური აზროვნება - არიან რაციონალურები და ობიექტურები - უყვართ სიტუაციის მიმოხილვითი შეკითხვები - დისციპლინირებული დამოკიდებულება	- არ უყვართ ბუნდოვანება, არეულობა, დაუზუსტებელი ინფორმაცია - არ მოსწონთ არაფერი სუბიექტური ან ინტუიტიური - ახასიათებთ ისეთი ფრაზებით, რომელებშიც დომინირებს „უნდა“, „საჭიროა“

- უყვართ საკითხის პრაქტიკაში განხორციელება
- არიან პრაქტიკულები და რეალისტები
- უყვართ საკითხისადმი პირდაპირი, საქმიანი, პრაგმატული მიდგომა
- ტექნიკაზე ორიენტირებულნი


- დიდ ინტერესს არ იჩენენ თეორიებისა და ძირითადი პრინციპების მიმართ
- მოუთმენელნი უსაგნო საუბრის მიმართ მიმართ
- მთლიანობაში დავალებზე და არა ადამიანებზე ორიენტირებულნი
- არ დაეთანხმებიან თეორიას, თუ არ ნახეს, როგორ მუშაობს იგი პრაქტიკაში

თეორია N3 - დეილის კონუსი

ფსიქოლოგ **ედგარ დეილის** კვლევებზე დამყარებული დასკვნების მიხედვით, ადამიანმა რომ მოახერხოს მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და ცოდნაში გადატანა, ამისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფორმას, რა სახით მოხდა ინფორმაციის მიწოდება და აღქმის პროცესში აღქმის რამდენი მოდალობა იქნება აქტიურად ჩართული.

ქვემოთ მოცემულია დეილის შექმნილი ე.წ. **კონუსი**, რომელზეც მოცემულია, პროცენტულად რა ცოდნის ათვისება შეუძლია ადამიანს, როდესაც სხვადასხვა მეთოდით ხდება ინფორმაციის გადაცემა.

დეილის კონუსის მთელი შინაარსი კონფუციის ერთ სიბრძნეშია აღწერილი - “მითხარი და დამავიწყდება. მაჩვენე და შეიძლება დამამახსოვრდეს. ჩამრთე და გავიგებ.”




ამიტომაც აქვს არაფორმალურ განათლებას უამრავი მეთოდი და ამიტომაც ენიჭება უდიდესი როლი გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების ციკლს.

აქვე გთავაზობთ რეკომენდაციებს, როგორ უნდა ვიმუშაოთ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაზე.

თეორია N4 - გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება - კოლბის ციკლი

გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება არის ჩვენი მუშაობის ძირითადი და წამყვანი ფორმა. იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ახალგაზრდების დამოუკიდებლობის, კრეატიულობის, მონაწილეობის, მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და სხვა თვისებების ჩამოყალიბებას, საშუალება უნდა მივცეთ, თავად სცადონ და პრაქტიკაში გამოიყენონ უკვე არსებული ცოდნა, რათა შეძლონ ახალი ცოდნის მიღება. ასევე, საშუალება უნდა მივცეთ, თავად მოძებნონ პასუხები, დაუშვან შეცდომები და ისწავლონ ამ შეცდომებზე, დამოუკიდებლად მივიდნენ მათთვის მისაღებ შედეგებამდე. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი საშუალებას გვაძლევს ვიმუშავოთ ახალგაზრდების არა მხოლოდ ცოდნაზე, არამედ მათ უნარ-ჩვევებსა და ფასეულობებზეც.



რატომ ავირჩიეთ ეს მეთოდი?

გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ აქ მონაწილე არ განიხილება როგორც სწავლებისა და ინსტრუქტაჟის ობიექტი, რომელმაც პასიურად უნდა მიიღოს ცოდნა, არამედ როგორც სწავლის სუბიექტი, რომელიც აქტიურად არის ჩაბმული პროცესში. სწავლება აქ არ განიხილება როგორც ინფორმირების მხრიდან დახმარების გაწევა არაინფორმირებულისათვის. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება განიხილება, როგორც თანამშრომლობა განმანათლებელსა და მოსწავლეს შორის ინდივიდუალური სწავლის გასაძლიერებლად, პიროვნული აღმოჩენებისა და დასკვნების წასახალისებლად. ამ პროცესში ახალგაზრდული მუშაკების ამოცანაა ორგანიზება გაუკეთონ სწავლების პროცესს და სასწავლო ატმოსფეროს, მონაწილეები კი პასუხისმგებელნი არიან სწავლის შედეგებზე, საკუთარ აღმოჩენებსა და საბოლოო დასკვნებზე. თუმცა, ბუნებრივია, ორივე მხარე - სასწავლო პროცესის ორგანიზატორები და მონაწილეები - ზეგავლენას ახდენენ სასწავლო პროცესსა და მის შედეგებზე. ამავდროულად, უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლების უფრო ტრადიციული ფორმა - ინსტრუქციების გაცემა, უკეთ მუშაობს ისეთ სიტუაციებში სადაც სასწავლო მასალა უფრო ობიექტურია და არაორაზროვანი, სადაც „მხოლოდ ასეა და სხვანაირად არ შეიძლება“ პასუხები შესაძლებელია. იმ შემთხვევაში, როცა სასწავლო საგანი სუბიექტურია (მაგალითად, კონფლიქტების გადაჭრა), გამოცდილებაზე დაფუძნებული მეთოდოლოგია გაცილებით უკეთ მუშაობს და საშუალებას იძლევა, მონაწილეებმა საკუთარი უნიკალური გამოცდილებიდან გამოიტანონ დასკვნები; იმოქმედონ „აქ და ეხლა“ პრინციპით, შესასწავლი ფენომენი გააცნობიერონ და განსაზღვრონ საკუთარი ლექსიკიდან გამომდინარე, რამეთუ თითქმის არ არსებობს ობიექტური შინაარსი კონფლიქტების დარეგულირების უნარ-ჩვევების შესწავლისას. არ არსებობს ერთადერთი მოდელი, რომელიც ახსნიდა, როგორ გადაეჭრათ კონფლიქტი სწორი გზით. არსებობს შემთხვევაშიც, კონფლიქტის დარეგულირების საყოველთაოდ მიღებული ერთადერთი მოდელი მაინც განსხვავებული და ძალიან ინდივიდუალური იქნება, მიუხედავად იმისა, როგორ გამოიყენებენ ამას ცალკეული ადამიანები. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულმა ადამიანმა თავად უნდა მონახოს კონფლიქტის დარეგულირების მისთვის ყველაზე ხელსაყრელი ფორმა.

და მაინც, რა არის გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება?

გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება არის პროცესი, სადაც მონაწილეები იძენენ ცოდნას და უნარ-ჩვევებს განსაზღვრული გამოცდილების საფუძველზე და შემდგომში შესაძლებლობა აქვთ, ეს ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენონ. თითოეულ მოზარდს, თითოეულ ახალგაზრდას გააჩნია საკმაოდ დიდი აუტენტური ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ დისკუსიისა და რეფლექსიისათვის და, ამგვარად, საფუძვლად დაუდოთ სწავლის პროცესს, გამოიყენოთ იგი საგანმანათლებლო ამოცანების გადასაჭრელად.

ჯგუფში ყოფნა და ჯგუფის სხვა წევრებთან ურთიერთქმედებაც ძალიან ძლიერი გამოცდილებაა და ხშირად ვიყენებთ სასწავლო მიზნების მისაღწევად. ჯგუფური პროცესები - ფორმირების, შტორმის, ნორმირების, შესრულებისა და დაშლის „განცდა/გამოცდა“- უამრავ მასალას იძლევა მსჯელობისათვის და საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ ფასეული დასკვნები, რომელებსაც ახალგაზრდები წარმატებით გამოიყენებენ სოციალურ გარემოში (იხილეთ თეორია N6).

ახალგაზრდებთან მუშაობისას, სასურველია, გამოიყენოთ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების სამივე წყარო და დაეხმაროთ მათ დააკავშირონ ისინი ერთმანეთთან, რამეთუ ჩვენი ძირითადი საგანმანათლებლო მიზანია, ხელი შევუწყოთ ახალგაზრდებს, შეიძინონ და ცხოვრებაში დანერგონ ახალი უნარ-ჩვევები, ცოდნა და დამოკიდებულებები.

გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება სწავლის ყველაზე ძველი ხერხია და ყველაზე ახლოს დგას ადამიანის ბუნებასთან. სწავლა ხდება პიროვნული აღმოჩენების საშუალებით და არა გაცემული ინსტრუქციების ხარჯზე. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება აძლიერებს ძირითად კომპეტენციებს: დამოუკიდებლობას, სწავლის შედეგებზე პასუხისმგებლობის გრძნობას, პიროვნებათშორის კომპეტენციებს. მოდით ვნახოთ, რა კომპონენტებისაგან შედგება გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი. აქ კოლბი 4 ეტაპს გამოყოფს:




1. გამოცდილების მიღება

- დავალების შესრულება

ახალგაზრდებთან მუშაობისას ხშირად ვიყენებთ აქტიური ფორმის დავალებებს, რაც საგანმანათლებლო ხასიათის მქონე გამოცდილების შექმნას უწყობს ხელს. როგორც წესი, დავალებები არის განსხვავებული და შეიცავს გამოწვევის ელემენტს.

ასეთი დავალებები ეხმარება ახალგაზრდას, უკეთ გაერკვეს საკუთარი ხასიათის თავისებურებებში; ხდება შემოქმედებითი მუხტის, ინიციატივის, თანამშრომლობის, ახალი ძალების გამოვლენის წახალისება. აქტიური დავალებები მოითხოვს ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას. დავალებაზე მუშაობისას ხდება თანამშრომლობის, სხვებზე ზრუნვის, საკუთარი თავისა და სხვების რწმენის, ფუნქციების გაზიარებისა და სხვა არაერთი შეგრძნება/გამოცდა.

უცნაური, განსხვავებული დავალებები ქმნის სიტუაციას, სადაც მონაწილეებს შეუძლიათ საკუთარი თავის გამოვლენა და დანახვა, სხვებთან საკუთარი დამოკიდებულებებისა და ურთიერთობების განსხვავებული რაკურსით დაფიქსირება.



2. რეფლექსია, დინამიკის განხილვა

- მიღებული ემოციების გააზრება და პროცესის აღწერა

განსაზღვრული გამოცდილების მიღების შემდეგ, მონაწილეებს ვთხოვთ დააფიქსირონ და გამოხატონ თავიანთი განწყობა და ემოციები. როგორ გრძნობენ თავს ამ პროცესის დასრულების შემდეგ. ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია არ დავუშვათ კამათი იმის თაობაზე, რომ ვიღაცის ემოციები „არასწორია“. გამოცდილების დროს მიღებული ყველა ემოცია ნამდვილია და უაღრესად ფასეული. ამიტომ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოვესმინოთ მათ და ვეცადოთ, გავუგოთ მათ.

საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ მონაწილეებს ხშირად უჭირთ განსაზღვრული ემოციები-სათვის სახელის დარქმევა. ძალიან ხშირად, კითხვაზე, „როგორ გრძნობდით თავს“ ან „რა ემოციები გქონდათ?“ პასუხი ასე ჟღერს – „ყველაფერი რიგზე იყო, თავს კარგად ვგრძნობდით“. საჭიროა დაეხმაროთ ახალგაზრდებს, გაერკვნენ საკუთარ ემოციებში და შეძლონ მათი სახელდება. ყველა ემოცია იყოფა ორ ძირითად ჯგუფად - პოზიტიურად და ნეგატიურად.

საკუთარი ემოციების აღქმა, გაცნობიერება და ამისთვის სახელის დარქმევა არ არის იოლი პროცესი. ეს ცალკე უნარს წარმოადგენს, რომელიც შესაძლებელია და აუცილებელია, რომ გაიწვრთნას და აღიზარდოს. ამ სტადიაზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მონაწილეებმა მოახერხონ საკუთარი ემოციების რაც შეიძლება ზუსტად გადმოცემა, რამეთუ ეს მათი უნიკალური და პირადი გამოცდილებაა. თუმცა ფრთხილად იყავით, არ გადაამძლამოთ, ვინაიდან მონაწილეები შეიძლება არ იყვნენ ჯერ ასეთი გამოწვევისთვის მზად.

თუ მონაწილეს უძნელდება ემოციების გარკვევით და ზუსტად დასახელება, შეეკითხეთ: „პოზიტიური უფრო იყო თქვენი ემოციები თუ ნეგატიური?“ ეს კითხვა შესაძლებელია გამოგადგეთ, როგორც „ანკესის კაუჭი“, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდებს, უფრო ზუსტად განსაზღვრონ საკუთარი ემოციები.

სიტუაციის რეკონსტრუქცია - აღდგენა, როგორ ვითარდებოდა მოვლენები. აქ შეგიძლიათ ახალგაზრდებს შესთავაზოთ, გაუზიარონ ჯგუფს თავიანთი „ამბავი/მოთხრობა“. ძალიან მნიშვნელოვანია ამ დროს მოსმენა და ნათქვამის გაგონება კამათისა და განსჯის გარეშე. თუ მოახერხებთ ამის გაკეთებას, შეიძლება ეს გახდეს ძალიან ძლიერი სასწავლო/საგანმანათლებლო მომენტი, რომელიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, გაეცნონ სხვების თვალთახედვას და განსხვავებული პერსპექტივების გაზიარებით გამოიმუშაონ მგრძნობიარობა და გაამდიდრონ ერთმანეთი.

თქვენი, როგორც ახალგაზრდული მუშაკის ამოცანაა, დაეხმაროთ ახალგაზრდებს, გააცნობიერონ მათი ან მათი გარშემომყოფების რომელმა ქმედებებმა გამოიწვია ესა თუ ის კონკრეტული ემოციური რეაქცია. არა აქვს მნიშვნელობა, ეს იყო წარმატება თუ წარუმატებლობა ან დაკავშირებული იყო „პოზიტიურ“ თუ „ნეგატიურ“ გამოცდილებასთან.

რჩევა: სწორად დასმული კითხვა ძალიან ძლიერი იარაღია, რომელიც დაგეხმარებათ მაქსიმალურად შეუწყოთ ხელი მონაწილეების გახსნას. საჭიროა ჩვენი ძალისხმევა მივმართოთ იმისკენ, რომ ადამიანებმა დაინახონ მათი ქმედებების შედეგები (რა გავაკეთე მე პირადად, როგორ ვიქცეოდი მე პირადად, როგორ იქცეოდნენ ჩემ გარშემო მყოფი ადამიანები, რამაც გამოიწვია ის რეაქციები და შეგრძნებები, რაც მქონდა?)

3. დასკვნები

- ცხოვრებისეული პარალელები და განზოგადება

ამ ეტაპზე ახალგაზრდებს ვუქმნით გარემოს, სადაც შეძლებენ გააკეთონ დასკვნები, აღმოჩენები, რეკომენდაციები, რაც ინდივიდუალურადაც შეიძლება. ასევე ეფექტიანი ფორმაა, შესთავაზოთ კლუბის წევრებს ჩაფიქრდნენ, ჩაღრმავდნენ საკუთარ თავში და წერილობით ჩამოაყალიბონ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები. არ არის აუცილებელი ყველა მოსაზრების საჯაროდ გაცხადება და ჯგუფთან გაზიარება. თუმცა საკუთარი გამოცდილებით ვიცით, როცა მოსაზრებების გაზიარება ხდება, ასე ყველა მოგებული რჩება.

მნიშვნელოვანია მიღებული გამოცდილება დავაკავშიროთ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. მაგალითად, „რეალურ ცხოვრებაშიც მაქვს ხოლმე ყოყმანის მომენტები, როცა რაღაც გაურკვეველ სიტუაციას ვაწყდები...“, „რეალურ ცხოვრებაში თავს ვარიდებ ხოლმე პასუხისმგებლობის აღებას“ და ა.შ.



4. დანერგვა

- გამოყენებისთვის საჭირო უნარების განვითარება

აუცილებელი არ არის, ეს სტადია ერთ ჯერზე და ერთ საფეხურად გაიაროთ. ხანდახან დროა საჭირო, რომ მიღებული გამოცდილება „გადავხარშოთ“ და „მოვინელოთ“. ხანდახან უმჯობესია, მეოთხე სტადია დროში გადავწიოთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამოცდილება ძალიან ინტენსიური და ემოციურად დატვირთულია.

ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მაგალითად: ჯგუფი ერთად მხოლოდ ხანმოკლე დროით არის თუ დიდი დროით; ჯგუფის დინამიკის რომელ საფეხურზე არიან; რა საგანმანათლებლო ამოცანებია დასახული და ა.შ. თუმცა, ისევ და ისევ, საკუთარი გამოცდილებიდან გეტყვით, რომ უკეთესია ჰკითხოთ ახალგაზრდებს - რა მოხდება შემდგომ? როგორ ვიცხოვროთ ერთად, ბიჭებო და გოგოებო? და რა ვუყოთ ჩვენს დასკვნებსა და მოსაზრებებს? ცნობიერების განვითარება და გაძლიერება არის პროცესი, რომელსაც სჭირდება დრო და მიმართულების მიცემა.

როგორც წესი, ხდება ხოლმე ახლად გამომუშავებული დასკვნების მომდევნო საგანმანათლებლო აქტივობაში გამოყენება, რათა დარწმუნდნენ, რომ ეს დასკვნები მართებულია და „მუშაობს“, შემდეგ კი ისინი გადააქვთ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციაში შემუშავებული გეგმის მიხედვით. როცა ვამბობთ „რეალურ ცხოვრებას“, ვგულისხმობთ სივრცეს საგანმანათლებლო აქტივობების ფარგლებს მიღმა, ანუ სხვა გარემოში, სხვა სოციალურ კონტექსტში.

თუ შესაბამისი სიტუაცია შეიქმნა, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ახალგაზრდების კონსულტირებით შეძენილი ცხოვრებისეული გამოცდილების საკითხებთან დაკავშირებით, ამაზე მსჯელობით, დასკვნების გამოტანითა და მათი ცხოვრებაში გატარების გზით.



თეორია N5 - კიმ-ის მოდელი



კიმ-ის მოდელი თვალსაჩინო ინსტრუმენტია იმისთვის, რომ ახალგაზრდულ მუშაკებს გაუმარტივდეთ საგანმანათლებლო სატრატეგიის შემუშავება და, შესაბამისად, ახალგაზრდებთან სამუშაოდ მეთოდების შერჩევა.

მოცემულ მოდელში:

- „კ“ აღნიშნავს გასავითარებლად შერჩეულ კომპეტენციას;
- „ი“ აღნიშნავს ახალგაზრდების გამოვლენილ ინტერესს რომელიმე კონკრეტულ აქტივობასთან თუ საქმიანობასთან მიმართებაში;
- „მ“ აღნიშნავს მეთოდებს, ანუ სატრატეგიული მსჯელობის პროცესს, რომლის მიზანიაა მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით, ახალგაზრდული მუშაკის მიერ, ახალგაზრდებთან ერთად შერჩეული კომპეტენციის გასავითარებლად, რომელი მეთოდი და აქტივობა იქნება ყველაზე ეფექტიანი.

პროცესი ვითარდება შემდეგნაირად:

1. ახალგაზრდული მუშაკი ახალგაზრდებთან კონსულტაციის პროცესში და მათი საჭიროებების კვლევის შედეგად გამოკვეთს კომპეტენციას, რომლის განვითარებასაც დაისახავს ახალგაზრდული საქმიანობის მიზნად.
2. ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესში, ახალგაზრდული მუშაკი ეხმარება მათ ინტერესების გაჟღერებაში, ცდილობს გაარკვიოს ისინი, რისი კეთება უხარიათ, უყვართ, რა იზიდავთ, რა აღელვებთ - მოკლედ, რისი კეთება არის მათთვის ემოციურად ამაღლებული და რის გასაკეთებლად აქვთ მოტივაცია
3. კომპეტენციის განსაზღვრისა და ინტერესების გამოვლენის შემდეგ, ახალგაზრდული მუშაკი საჭიროა ახალგაზრდებს დაეხმაროს მეთოდის შეჩვენებაში - რა მეთოდს შეარჩევნ, რა ტიპის აქტივობას დაგეგმავნ, რომ, ერთი მხრივ, ის ეხმიანებოდეს ახალგაზრდების ინტერესებს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი განხორციელება ხელს უწყობდეს კომპეტენციის განვითარებას.

მარტივი მაგალითი:

1

გასავითარებლად შერჩეული კომპეტენცია - პროექტის წერისა და მართვის კომპეტენცია


2

გამოვლენილი ინტერესი - თავგადასავლები და ბუნებასთან კონტაქტი

3

განსახორციელებელი აქტივობა - “ლაშქრობა ახალი მიწების დასაზღვრად”
მოსამზადებელ ეტაპზე ახალგაზრდული მუშაკი ჩაუტარებს კლუბის წევრებს პროექტის წერისა და მართვის ტრენინგს, შემდგომი სამუშაოების განხორციელების პასუხისმგებლობა გადადის მონაწილეებზე - ისინი წერენ პროექტს, მოიპოვებენ დაფინანსებას და იწყებენ იდეის განხორციელებას, ანუ პროექტის მართვას, რასაც მოჰყვება უშუალოდ აქტივობის ჩატარება და შემდეგ მთელი პროცესის შეფასება.

კიმ-ის მოდელი შექმნილია საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის ახალგაზრდული საქმიანობის ექსპერტთა მიერ.



თეორია N6 - გუნდი და მისი განვითარების სტადიები

არაფორმალური განათლების პრინციპებზე საუბრისას ავლნიშნეთ, რომ კლუბის წევრებისაგან გუნდის ჩამოყალიბება ახალგაზრდული მუშაკის ერთ-ერთი საგანმანათლებლო ამოცანაა. იმისათვის, რომ ეს შეძლოთ, როგორ და რაში უნდა გაითვალისწინოთ თეორია - “გუნდი და მისი განვითარების სტადიები?... მოდით, განვმარტოთ საკვანძო კონცეფციები. ბოლოს კი ვისაუბროთ გუნდზე დაფუძნებული სწავლის თავისებურებების შესახებ.

რა არის გუნდი? გუნდის განმარტება

გუნდი არის ადამიანთა მცირე რაოდენობა, რომელსაც გააჩნია ურთიერთ-შემავსებელი უნარ-ჩვევები, ერთობლივი მიზანი, სამოქმედო ამოცანები, ერთიანი მიდგომა და ამისათვის იზიარებს ერთობლივ პასუხისმგებლობას.

გადავხედოთ გუნდის არსებობის რამდენიმე აუცილებელ წინაპირობას.



ადამიანთა მცირე რაოდენობა

საკუთარი ბუნებიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, გუნდი არ შეილება იყოს მრავალრიცხოვანი, ამიტომ როგორც წესი ტიპური გუნდები შედგება არა უმეტეს 12 ადამიანისა.



ურთიერთშემავსებელი უნარ-ჩვევები

გუნდში ხდება ურთიერთშემავსებელი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების ერთად თავმოყრა, რაც გაცილებით ალემატება იმას, რაც გუნდის თითოეულ წევრს შეიძლება ჰქონდეს ცალ-ცალკე. გუნდში ხდება თითოეული წევრის განსხვავებული პერსპექტივების, ცოდნის, უნარებისა და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება და საერთო კეთილდღეობისთვის გამოყენება; მისგან განსხვავებით, ჯგუფში, უმეტესობა არის უკიდურესად მოუქნელი, წევრებს აქვთ დაკისრებული როლები და დავალებები, რაც, როგორც წესი, არ იცვლება. გუნდი კი მოქნილი ერთეულია, სადაც წევრები განსხვავებულ დავალებებს და

ფუნქციებს ასრულებენ საჭიროებიდან გამომდინარე. როლები და დავალებები შეიძლება შეიცვალოს შესასრულებელი სამუშაოსათვის საჭირო ექსპერტიზისა და გამოცდილების შესაბამისად.



სამოქმედო ამოცანები

გუნდის წევრებს აქვთ საერთო დავალება და მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანები, რომლის განხორციელებაზეც ისინი ინდივიდუალურად და კოლექტიურად არიან პასუხისმგებელნი.



ერთიანი მიდგომა

გუნდს გააჩნია საერთო მიზნისა და გუნდის მისიის ძალიან მკაფიო და ნათელი ხედვა. მათ ცოცხალ ფერებში შეუძლიათ დახატონ, რას უნდა მიაღწიოს გუნდმა, რა ნორმები და

ფასეულობები უნდა დაიცვას ამ გზაზე.

გუნდის წევრების ქმედებები დამოუკიდებელია, მაგრამ კოორდინირებული. წევრებს აქვთ ერთიანობის მძაფრი შეგრძნება და საკუთარ იდენტობას უკავშირებენ მთლიანად გუნდსა და მის წევრებს. როგორც წესი, გამოიყენებენ სიტყვას „ჩვენ“ და არა „მე“.



გაზიარებული პასუხისმგებლობა

ჯგუფი გამოიმუშავებს პროდუქტს, რომელიც ინდივიდუალური წევრების კონტრიბუციის ჯამს წარმოადგენს. მაშინ, როდესაც გუნდი შეიმუშავებს პროდუქტს, რომელიც გუნდის კოლექტიური ძალისხმევის საერთო შედეგია.

ჯგუფებში წევრებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა აკისრიათ საკუთარ ქმედებებზე მაშინ, როცა გუნდის წევრებს ერთმანეთის დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ იმ ამოცანის განსახორციელებლად, რისთვისაც ამ გუნდს შეუერთდნენ. ისინი ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობას იღებენ გუნდის პროდუქციის ხარისხსა და დროულ შესრულებას.

გუნდის განვითარების სტადიები

გუნდს გააჩნია განვითარების 5 სტადია: ფორმირება, შტორმი, ნორმირება, შესრულება, დაშლა. თითოეულ მათგანს კი - დადებითი და უარყოფითი ასპექტები. განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადის გუნდი, მით უფრო იკლებს უარყოფითი და მატულობს დადებითი ასპექტები.

თუ მიზანი მიღწეულია და ახალი მიზანი არ გამოჩნდა - გუნდი დაიშლება. თუ ჩამოყალიბდა ახალი მიზანი - გუნდი აგრძელებს საქმიანობას უფრო მაღალ დონეზე. თუ ახალმა მიზანმა გამოიწვია გუნდის წევრების შეცვლა, მას დასჭირდება ხუთივე სტადიის თავიდან გავლა. იგივე შემადგენლობით დარჩენის შემთხვევაში, გუნდი აღარ გაივლის პირველ სამ სტადიას (ფორმირებას, შტორმს და ნორმირებას) და პირდაპირ შესრულების სტადიიდან გააგრძელებს საქმიანობას.

ბაზე. თუ წევრები ოფიციალური ხელმძღვანელის წინაშე არიან ვალდებულნი და არა ერთმანეთის მიმართ, მაშინ საქმე გვაქვს ჯგუფთან და არა ნამდვილ გუნდთან.




ლიდერობა

სამუშაო ჯგუფს, როგორც წესი, ჰყავს ძლიერი ლიდერი, რომელსაც ტრადიციული ხელმძღვანელის როლი აკისრია, რომელიც წარმართავს ჯგუფის ფუნქციონირებას, ანაწილებს დავალებებს და ადგენს განრიგს. თუ გუნდის ლიდერი ყველა საკვანძო გადაწყვეტილებას თავად იღებს, მაშინ ეს ჯგუფი უფრო არის, ვიდრე გუნდი.

ჯგუფისაგან განსხვავებით გუნდში ლიდერობა განაწილებულია ან მონაცვლეობს გუნდის ინდივიდუალურ წევრთა შორის.

გუნდში აგრეთვე ხდება არასახარბიელო დავალებების როტაცია, როგორიცაა ანგარიშებისა და ოქმების წარმოება, რათა გუნდის არც ერთი წევრი არ იყოს მუდმივად მიმაგრებული არასაინტერესო და არაშემოქმედებით საქმეზე.



#	განვითარების სტადია	მოსალოდნელი შედეგები	
		ნეგატიური	პოზიტიური
1	ფორმირება	გაურკვევლობა, დაბნეულობა, ზედაპირულობა, ილუზიები, ხედავ მთლიანი სურათის ფრაგმენტებს	გაცნობა, დაინტერესება, მოტივირება, ენთუზიაზმი, აღტაცება, გადაჭარბებული მოლოდინი
2	შტორმი	ზედმეტი თვითაქტუალიზაცია, ამბიციები, ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლა, მოლოდინის გაცრუება, უიმედობა, ჩიხი, კრიტიკა, კონკურენცია, უნდობლობა, კონფლიქტები, დაძაბულობა	პოზიციების გამოკვეთა, ინტერესებისა და ფასეულობების გამოაშკარავება, სიღრმისეული გაცნობა, გამოცდილების გაზიარება და ანალიზი, გამოსავლის გზების ძიება, კომპრომისი, შეგუება, ადაპტირება
3	ნორმირება	შტორმის გადალახვის შემდეგ აღარ ვლინდება	დაგეგმვა, ფუნქციების განაწილება, ნდობის ამაღლება, ობიექტური შეფასება და თვითშეფასება, მთლიანი სურათის გამოკვეთა, მიზანზე ორიენტირება, დამშვიდება, იმედი
4	შესრულება	შტორმის გადალახვის შემდეგ აღარ ვლინდება	საკითხისადმი კვალიფიციური მიდგომა, ურთიერთმხარდაჭერა, პროფესიონალიზმი, თანამშრომლობა, რეალური მოლოდინი, ოპტიმიზმი, ენთუზიაზმი
5	დაშლა	შტორმის გადალახვის შემდეგ აღარ ვლინდება	საქმიანობის შეფასება, კონკრეტული შედეგების მიღება, კმაყოფილების განცდა, თვითრწმენის განმტკიცება, წარმატების აღნიშვნა, დაჯილდოება

გუნდის განვითარების სტადიების შესახებ თეორიის ცოდნა ძალიან დაეხმარება ახალგაზრდულ მუშაკს იმის განსაზღვრაში, რა ტიპის აქტივობა, რა შინაარსის ღონისძიება რომელ სტადიაზე იქნება უფრო ეფექტიანი, ხოლო რომელ სტადიაზე არაა სასურველი კონკრეტული აქტივობების ჩატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ მცირე, შედეგის მიღწევა გართულებდა და შესაძლოა, ურთიერთკომფორტაციისკენაც კი უბიძგოს გუნდის წევრებს.

მაგალითად, შტორმის სტადიაზე, სრულიად არარეკომენდებულია ახალგაზრდების ლაშქრობაში წაყვანა, რადგან ლაშქრობა არის სივრცე, სადაც კარგად შეთამაშებული გუნდიც

კი აწყდება ხოლმე გამოწვევებს. ამ ეტაპზე მყოფი გუნდისთვის მნიშველოვანია არაკონკურენტული, ფასეულობრივ საკითხებზე ფოკუსირებული ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლის დროსაც არ იქნება მოლოდინი, რომ რაღაც საერთოზე უნდა შეჯერდნენ ან რაღაც რთულ გამოწვევას გაართვან თავი. ეს არის გუნდის განვითარების ისეთი სტადია (ფორმირებასთან ერთად), როდესაც ახალგაზრდულმა მუშაკმა ავტორიტეტულად უნდა მართოს პროცესი, იყოს თანაბრად ხელმისწვდომი თითოეული ახალგაზრდისთვის, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო აქტივობებიდან გაკეთებული დასკვნების ინტერიორიზაციას.



თეორია N7 - ზონების თეორია

მეთოდოლოგია და მეთოდები, რომელსაც აირჩევთ კლუბში მუშაობისას, უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ შეიქმნას კლუბის წევრთათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი სასწავლო გარემო. იმედი გვაქვს, ქვემოთ მოყვანილი თეორია დაგეხმარებათ შექმნათ სწავლისათვის ხელშემწყობი პირობები.

გაიხსენეთ, რა რეაქცია გაქვთ, როდესაც რამე ისეთის გაკეთებას შემოგთავაზებენ, რაც აქამდე არ გაგიკეთებიათ. როგორც წესი, ამ დროს ოთხიდან ერთ-ერთ პოზიციაზე აღმოჩნდებით:

1

შეიძლება ფიქრობთ - „რა პრობლემაა. ბუნებრივია, ვცდი. საკმაოდ იოლი ჩანს“;

2

ოდნავ აღელდებით, მაგრამ სასიამოვნო და საინტერესო სიახლის მოლოდინი დაგეუფლებათ;

3

მღელვარების დონე საკმაოდ მაღალია და გრძნობთ რომ ის, რაც აქამდე იცოდით და რისიც გჯეროდათ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას;

4

მღელვარება გადადის შიშში; ამ შესაძლო სიახლეზე ფიქრიც კი წნევას გინევთ და პანიკაში ვარდებით.

აქ მოყვანილი ოთხი რეაქცია, ზოგადად აღწერილია, როგორც ზონების თეორია - ზონები, რომლებიც ადამიანებმა შეიძლება გაიარონ სასწავლო პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე. ესენია:


1. კომფორტის ზონა;

2. სწავლის ზონა;

3. კრიზისის ზონა;

4. პანიკის ზონა.

თქვენთვის მნიშვნელოვანია ამ თეორიის ცოდნა იმისათვის, რომ იცოდეთ და შეგეძლოთ განსაზღვროთ, როგორ ააგოთ სასწავლო პროცესი ისე, რომ მონაწილეებმა მაქსიმალური სარგებლობა მიიღონ მისგან.



კომფორტის ზონა

ამ ზონაში თავს კომფორტულად ვგრძნობთ, ყველაფერი ნაცნობი და ჩვეულია, არ გვჭირდება რისკზე წასვლა. აქ თავისუფლები ვართ სტრესისგან, ვაკეთებთ იმას, რისი კეთებაც ვიცით; აქ ყოფნა არ მოითხოვს დიდ ფიზიკურ ან ემოციურ ენერგიას. ყველაფერი, რასაც აქ ვაკეთებთ, როგორც წესი, დიდი ხნის წინ გვაქვს ნასწავლი, უკვე რუტინად არის გადაქცეული და ყოველგვარი გონებრივი დაძაბულობის გარეშე შეგვიძლია ამის კეთება. კომფორტული ზონა არის ადგილი, სადაც ვბრუნდებით ხოლმე მოსადუნებლად, ძალების მოსაკრებად და თვითჩაღრმავებისათვის.

თუმცა ამ სტადიაში დიდი ხნით დარჩენას აქვს თავისი საშიშროებები - შეიძლება თავი ისე კომფორტულად ვიგრძნოთ, რომ რაიმეს შეცვლის სურვილი აღარ გვქონდეს და ჩვენთვის სრულიად შეუმჩნევლად აღმოვჩნდეთ ქაობში იმის მაგივრად, რომ განვვითარდეთ და გავიზარდოთ. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ კომფორტის ზონაში შესაძლებელი კი არის ახალი გამოცდილების, ახალი ცოდნის მიღება, მაგრამ პიროვნული ფასეულობები, მრწამსი და დამოკიდებულებები არასოდეს დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

სწავლის ზონა

იმისათვის, რომ რაღაც ახალი ვისწავლოთ, საჭიროა კომფორტის ზონიდან გამოსვლა და ახალი გამოცდილების მიღება - საჭიროა დაძაბულობის ზონაში შესვლა. ამ დროს ადამიანი იწყებს საკუთარი და გარშემომყოფების ფასეულობებსა და ქმედებებზე ჩაფიქრებას და რეფლექსიას, მაგრამ საერთო ფონი ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად კომფორტულია. ძირითადი მამოძრავებელი ძალა აქ სიახლის ინტერესია.

თუმცა შესაძლოა, ხანდახან თავი არაკომფორტულადაც იგრძნოთ, არ იყოთ დარწმუნებული საკუთარ თავში. თუ ამ ბარიერს გადალახავთ, ის რაც აქამდე უცნობი იყო, ნაცნობი გახდება და თქვენი კომფორტის ზონაც გაიზრდება.

კრიზისის ზონა

თუ დაძაბულობის ზონაში ყოფნამ გარკვეულ საზღვარს მიაღწია, ადამიანი გადადის კრიზისის ზონაში. ამ დროს ხდება ადამიანისათვის მგრძნობიარე თემების წინააღმდეგობა; კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს ის, რასაც აქამდე უპირობოდ ღებულობდა; ხდება ფასეულობების გადახედვა. ამ ზონაში ადამიანები თავს დაუცველად გრძნობენ, მაგრამ თუ პროცესი კონსტრუქციულად წარიმართა, სწორედ ამ ზონაშია შესაძლებელი ახალი ფასეულობებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

პანიკის ზონა

კრიზისიდან პანიკის ზონამდე უმნიშვნელო მანძილია. ეს არის ზონა, სადაც იმის გაფიქრებაც კი, რომ რაღაცის გაკეთება მოგიწევთ, სულიერ წონასწორობას გაკარგვინებთ, გეუფლებათ შიში და გაქცევა/დამალვის სურვილი. ამ დროს ადამიანი დარწმუნებულია, რომ დავალებას/ამოცანას თავს ვერ გაართმევს და ჩაფლავდება. ასეთმა განწყობამ შეიძლება გამოიწვიოს აგრესიული ქმედება, შიშისაგან ხელ-ფეხის შებოჭვა და სასწრაფოდ კომფორტის ზონაში დაბრუნების სურვილი. პანიკის მიზეზი შეიძლება იყოს:

1. არასაკმარისი კომპეტენცია, ანუ ის, რომ თუმცა ადამიანს სიახლის მიღების სურვილი აქვს, ის გრძნობს რომ საკმარისი ცოდნა არ გააჩნია.

2. შესაძლებელია პანიკის ფაზაში შესვლა გამოიწვიოს იმ ნაბიჯმა, რომელიც ადამიანისათვის მორალურადაა მიუღებელი.

პანიკის ზონაში სწავლა შეუძლებელია, რადგან იგი შიშის მიერ არის დაბლოკილი. სწორედ ამიტომ სიფრთხილეა საჭირო, როცა ხდება გადასვლა კომფორტის ზონიდან სასწავლო ზონაში - რისკის აღებისას ძალიან შორს არ უნდა გავიდეთ კომფორტის ზონიდან, რათა პირდაპირ პანიკის ზონაში არ აღმოვჩნდეთ, იმიტომ რომ აქ მთელი ჩვენი ენერგია შიშის მართვას და კონტროლს მოხმარდება.

როგორ განვსაზღვროთ რომელ ზონაში ვართ

ამ ზონების ზომა განსხვავებულია სხვადასხვა ადამიანებისა და სხვადასხვა სიტუაციებისათვის - თითოეულ მონაწილეს, მისი ფსიქოლოგიური ტიპიდან გამომდინარე, განსხვავებული კომფორტის, სწავლის, კრიზისისა თუ პანიკის ზონები შეიძლება ჰქონდეს, თუმცა განზოგადებული, სტანდარტიზებული საზღვრების მოხაზვა ყოველთვის არის შესაძლებელი ახალგაზრდული მუშაკის მიერ.

შესაძლებელია პანიკის ზონა მოგეჩვენოთ სწავლის ზონად. ზოგი ადამიანი უშვებს ამ შეცდომას იმის გამო, რომ ხშირად გაუგია:



„**ვარდი უეკოდ
ვის მოუწყვებია**“

ან



„**სწავლის ძირი მნარე არის,
კენწეროში გაგკბიდეების**“

და თვლის, რომ აუცილებლად საჭიროა მონაწილეები ტკივილსა და გაჭირვებაში გამოატარონ ახლი გამოცდილების შესაძენად. თუ ცურვის შემსწავლელს დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ხშირად სწავლის პროცესი პანიკის ზონაში იწყება და საჭიროა მისი ნელ-ნელა სწავლის ზონაში გადმოყვანა, სანამ მოახერხებს და ისწავლის წყალზე ტივტივის უნარს.

მიუხედავად იმისა, რომ ორივეს - სწავლისა და პანიკის ზონებს ახასიათებს ბარიერების გადალახვის და „ტკივილის“ განსაზღვრული ფორმა, პანიკის ზონა არის ადგილი, სადაც თავს დაკარგულად, გზაბნეულად ვგრძნობთ, სწავლის ზონაში კი შეგვიძლია ფოკუსირება და მზად ვართ ახალი იდეებისათვის. აქედან გამომდინარე, თუ ვიცით, რომ მოწყენილობა კომფორტის ზონის ინდიკატორია, ხოლო ყურადღების გაფანტულობა ან შფოთვა პანიკის ზონის მახასიათებლებია, ადვილი იქნება სწავლის ზონის განსაზღვრა ჩვენი გუნდისთვის. ეს



ზონა ასევე შეიძლება განისაზღვროს როგორც ზრდის, ჩართულობისა და ხალისის ზონა. გუნდი არც მოწყენილია და არც აფორიაქებული. ახალგაზრდულმა მუშაკმა თავადაც უნდა იცოდეს, რა დროს ემუქრება გუნდს პანიკის ზონაში აღმოჩენა, არ დაუშვას მასგავსი სიტუაციები და გუნდის ემოციებზე დაკვირვებითაც უნდა შეეძლოს იმის დიაგნოსტიკა, რომელ ზონაში აღოჩნდა გუნდი მოულოდნელად და როგორ გამოიყვანოს იქიდან ან გადაიყვანოს სწავლის ზონაში, ან დროებით დატოვოს კომფორტის ზონაში საწყისი სიმშვიდის მდგომარეობის დასაბრუნებლად.

სწავლის ზონაში შეგნებულად დარჩენა

ოთხივე ზონა მუდმივად გადადის ერთმანეთში და სწავლის ზონაში შეგნებულად დარჩენა საკმაოდ რთული ამოცანაა. ახალგაზრდული მუშაკი სენსიტიურად უნდა განწყოს ამ პროცესისადმი და მაქსიმალურად შეუწყოს გუნდს ხელი სწავლის ზონაში დასარჩენად. როცა გუნდი სწავლის ზონაში ხანგრძლივად დაჰყოფს დროს, იგი თანდათან უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს ახლად შეძენილი უნარ-ჩვევებით და ნელ-ნელა ეს ზონა კომფორტის ზონის სივრცეს შემოუერთდება, ხოლო ის, რაც ადრე პანიკის ზონაში იყო, სწავლის ზონაში გადმოინაცვლებს და ციკლი ასე გაგრძელდება.

ხარისხი

ახალგაზრდულ საქმიანობაში ხარისხის კონცეფცია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს - სწორედ ხარისხის განმსაზღვრელი ინდიკატორების საშუალებით ხდება ახალგაზრდული საქმიანობის შედეგების შეფასება და მისი, როგორც ახალგაზრდებთან მუშაობის, უალტერნატივო მიდგომის მნიშვნელობის დანახვა და გაცნობიერება საზოგადოების მიერ.

ინდიკატორებზე დაფუძნებით ახალგაზრდული მუშაკი ქმნის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებს და სისტემებს.

ხარისხის კონცეპტი/ცნება ახალგაზრდულ საქმიანობაში

ზოგადად, „ხარისხის“ ცნება გამოიყენება იმის შესაფასებლად, რამდენად სრულფასოვნად ხდება ამა თუ იმ ფუნქციის შესრულება, რამდენად შეესაბამება დამდგარი შედეგები თავდაპირველად დასახულ მიზნებს.

ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელების ხარისხი ასახავს იმას, თუ:

1

რამდენად უწყობს ხელს ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართვა ახალგაზრდას პიროვნულ და სოციალურ განვითარებაში.

2

როგორ უკავშირდება და როგორ ერგება ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხი იმ ძირითად პრინციპებს, რომლებშიც ასახულია ახალგაზრდული საქმიანობის საუკეთესოდ განხორციელების შედეგად მისაღწევი შედეგები - რაც უფრო მაღალია მათი კორელაცია, მით მეტად შედეგიანი იქნება ახალგაზრდებთან მათი პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის გაწეული სამუშაო.

მისაღწევი შედეგების ხარისხი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა საქმიანობის წინაპირობები და თავად საქმიანობის განხორციელების პროცესი და მეთოდები, რომლებსაც უშუალოდ გავყავართ შედეგებზე.

წინაპირობებში

ერთიანდება ყველა ის ფაქტორი, რომელიც წინასწარ უნდა იყოს მომზადებული/ცნობილი ახალგაზრდული მუშაკისთვის (ან მის მიერ) და წარმოადგენს ერთგვარ საძირკველს საქმიანობისთვის:



მიზანი



ბიუჯეტი



ეთიკის კოდექსი



ორგანიზება



ახალგაზრდული მუშაკის
კომპეტენციები



სამუშაო რუტინა/
სისტემატურობა



გარემო და აღჭურვილობა

საქმიანობის განხორციელების

პროცესი და მეთოდები ასახავს სხვადასხვა სამუშაო ამოცანების მიღწევის გზებს:

- მიზნების დასახვის პროცესი
- ახალგაზრდების განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და გამოცდილებების იდენტიფიცირების მეთოდები
- ახალგაზრდებთან სტრუქტურირებული დიალოგის წარმართვის მეთოდები
- არაფორმალური განათლების სასწავლო შედეგების ასახვის/დოკუმენტირების მეთოდები
- შეფასებისა და ანალიზის მეთოდები
- ცვლილებების მართვის პროცესები ახალგაზრდული საქმიანობის შედეგები შეიძლება დაიყოს ორ სხვადასხვა ჯგუფად
 - რაოდენობრივი შედეგები და თვისებრივი შედეგები.

1

რაოდენობრივად

შეიძლება შეფასდეს ყველაფერი, რამაც ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად განიცადა რაოდენობრივი ცვლილება, ანუ შესაძლებელია ასახულ იქნეს მისი რაოდენობრივი ეფექტი, ეს შეიძლება იყოს:

- მონაწილეთა რაოდენობა
- გენდერული ბალანსი
- ნამუშევარი საათების რაოდენობა
- ახალგაზრდების მიერ განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა

2

თვისებრივი ეფექტი

არის ის, რაც ახალგაზრდულ საქმიანობაში

ჩართვისა და მონაწილეობის შემდეგ რეალურად იცვლება ახალგაზრდებში. თვისებრივი შედეგების შეფასება და ცვლილებების გაზომვაც შესაძლებელია და ეს შეიძლება გამოიხატოს ახალგაზრდების დამოკიდებულების ცვლილებაში ამა თუ იმ საკითხთან ან ჯგუფთან მიმართებაში, მაგალითად, ტოლერანტობა, დამოკიდებულება კრიმინალური სამყაროსადმი, დისკრიმინაციის მიმართ მგრძნობელობა და ა.შ., ასევე, მოსალოდნელია, რომ პოზიტიურად შეიცვლება დამოკიდებულება საკუთარი თავისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი. სწორედ ამაში ვლინდება ახალგაზრდული საქმიანობის შესაძლო თვისებრივი ეფექტები, რომლებიც ასევე უნდა გაიზომოს.

ახალგაზრდებში შედეგების თვისებრივი გამოვლენა შეიძლება მოხდეს:

- გამოცდილების/ემოციების გაცნობიერებისას;
- დამოკიდებულებების ცვლილებისას;
- რბილი და სხვა ტიპის უნარების განვითარებისას;
- ცოდნისა და ინფორმირებულობის გაზრდისას.

სწორედ ასეთი რაოდენობრივი და თვისებრივი შედეგები, საბოლოო ჯამში, ხდება ახალგაზრდული საქმიანობის გზით მიღწეული ისეთი ხელშესახები ცვლილებების წინაპირობები, როგორებიცაა: მეტი ახალგაზრდის ჩართვა განათლების მიღების პროცესში;



ახალგაზრდებს შორის კრიმინალის მაჩვენებლის შემცირება; ახალგაზრდებს შორის ნარკო-დამოკიდებულთა რაოდენობის შემცირება; არა-სრულწლოვან გოგოებში აბორტების რაოდენობის შემცირება; მეტი ახალგაზრდის ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში; ნაადრევი ქორწინების რიცხვის შემცირება; მეტი ახალგაზრდის მონაწილეობა არჩევნებში და ასე შემდეგ.


ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევა პოზიტიური ცვლილების მაგალითია, თუმცა ახალგაზრდული საქმიანობა მსგავსი სოციალური ცვლილების მიღწევას მიზნად ვერ დაისახავს, რადგან მათზე, ახალგაზრდული მუშაკის საქმიანობის გარდა, სხვა მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას და უბიძგებს ცვლილებისკენ (ზრდისა თუ კლებისკენ). ამიტომ ახალგაზრდული მუშაკი უნდა იღწვოდეს მხოლოდ ისეთი შედეგების მისაღებად და, შესაბამისად, ისეთ მიზნებს ისახავდეს, რომლებიც მიღწევადია ახალგაზრდული საქმიანობის ფარგლებში.

სწორედ ეს რეალობა ქმნის აუცილებლობას, რომ დაგვიქრდეთ ახალგაზრდული საქმიანობის მიზნების რელევანტურობაზე, რაც, თავის მხრივ, გვაყენებს ხარისხის ინდიკატორების შექმნის საჭიროების წინაშე, რომელთა საშუალებითაც მოხდება როგორც ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკის, ისე მისი მიზნების და მათი დასახვის გზების შეფასება.

ინდიკატორები

ზოგადად, ინდიკატორის ფუნქციაა ისეთი საკითხების (თემების, ასპექტების) მონიშვნა, რომლებიც უნდა შედარდეს, გაუკეთდეს ანალიზი და შეფასდეს და ამ მონაცემებზე დაყრდნობით, საბოლოოდ, მოხდეს ამა თუ იმ საქმიანობის რელევანტურობისა და შედეგიანობის შეფასება. შესაბამისად, საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომელი წინაპირობების შექმნა, სამუშაო პროცესის რა ნაწილების განხორციელება ან რომელი შედეგების მიღწევა შეიძლება საქმიანობის შედეგიანობის გასაზომ ინდიკატორებად.

ახალგაზრდულ საქმიანობაში, ტრადიციულად, სკურპულოზურად ხდება რაოდენობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა (მაგ. აქტივობებში ჩართული ახალგაზრდები, მათთან ნამუშევარი საათების რაოდენობა), თუმცა, სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით იმ მნიშვნელოვან ინდიკატორებზე, რომლებიც დაკავშირებულია ახალ-



გაზრდული საქმიანობის თვისებრივ ასპექტებთან და პირდაპირ ებმის მის ძირითად პრინციპებს.

მოდით, შევთანხმდეთ - იმის ცოდნა, რამდენი ახალგაზრდა ჩაერთო რაიმე აქტივობაში, არაფრის მომცემია, თუ არ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რა შეიცვალა მათში ამ აქტივობაში მონაწილეობის შედეგად. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორებად ისეთი მაჩვენებლების შეჩვენა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ახალგაზრდული საქმიანობის პრინციპებთან და ნათლად წარმოაჩენს მის როლს ახალგაზრდების პიროვნულ თუ სოციალურ განვითარებაში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ინდიკატორები უნდა იყოს ზოგადიც, რომლებიც მიესადაგება ახალგაზრდული საქმიანობის ყველა ტიპს და მეტ-ნაკლებად სპეციფიურიც, რომლებიც კონკრეტულ ტიპს შეესატყვისება. მაგალითად, თუ ინდიკატორებს ვარჩევთ ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის შესაფასებელი სისტემის შესაქმნელად, მაშინ ამ სისტემაში უნდა შევიყვანოთ ისეთი ინდიკატორიც, რომელიც ნებისმიერი სხვა ტიპის ახალგაზრდული საქმიანობის შესაფასებლადაც გამოდგება (მაგალითად, ღონისძიებაში ჩართულ პირთა რაოდენობა) და ასევე ისეთი ინდიკატორებიც, რომლებიც კონკრეტულად მხოლოდ ციფრული ახალგაზრდული საქმიანობისთვის იქნება სპეციფიურად (მაგალითად, მონაწილეებმა განივითარეს ციფრული კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა ციფრული ტექნოლოგიის გამოყენების უნარი).

ხარისხის ინსტრუმენტები და სისტემები

რეალობის შესაფასებლად ახალგაზრდულ მუშაკს შეუძლია გამოიყენოს ისეთი ინდიკატორები, რომლებიც იზომება სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, მაგალითად, დაკვირვებით, თვით- ან წყვილში პარტნიორის მიერ შეფასებით, გამოკითხვით ან სხვადასხვა ტიპის სტატისტიკის დათვლით. აღნიშნული ინსტრუმენტების საშუალებით ხდება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და, რა თქმა უნდა, გარდა ამ ინსტრუმენტებისა, ხარისხის სისტემაში, ასევე საჭიროა ისეთი ინსტრუმენტებიც, რომელთა საშუალებითაც მოხდება მოძიებული ინფორმაციის მართვა.

ინფორმაციის შესაგროვებლად

შესაძლებელია გამოიყენოთ შემდეგი ინსტრუმენტები:

- სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტები (მონაწილეთა ან განხორციელებული აქტივობების რაოდენობა, ღირებულება და ა.შ.);
- სამუშაო პროცესის დოკუმენტირების ინსტრუმენტები;
- თვითშეფასების ინსტრუმენტები;
- წყვილში შეფასების ინსტრუმენტები;
- გარე შეფასების ინსტრუმენტები;
- ახალგაზრდების გამოკითხვის ინსტრუმენტები;
- პერსონალის გამოკითხვის ინსტრუმენტები;
- „გარე მხარეთაგან“ ინფორმაციის სტრუქტურირებულად შეგროვების ინსტრუმენტები (კვლევები, ანგარიშები, მოქალაქეთა/ექსპერტთა შეფასებები).

შეგროვებული ინფორმაციის მართვის სისტემის

გამოყენებადი ინსტრუმენტების მაგალითებია:

- შედეგების პრეზენტირების ინსტრუმენტები;
- შედეგების ანალიზის ინსტრუმენტები;
- სხვადასხვა ჩართულ მხარეებს შორის დიალოგის წარმართვის ინსტრუმენტები;
- ახლად მოგროვებული ინფორმაციის საფუძველზე კომპეტენციათა სისტემატური განვითარების ინსტრუმენტები;
- ცვლილებების მართვისა და დაგეგმვის ინსტრუმენტები.

ამ ორი ჯგუფის ინსტრუმენტებისგან იქმნება ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის შეფასების სისტემები. ახალგაზრდული მუშაკის მიერ მათი გამოყენების მიზანია მოძიებულ მონაცემებზე დაკვირვების, შესწავლისა და კონსტრუქციული ანალიზის შედეგად მის მიერ მიწოდებული ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის მუდმივი შეფასება და გაუმჯობესება.



ახალგაზრდული საქმიანობის ფასეულობრივი კონტექსტი ახალგაზრდული მუშაკის ეთიკა

მთავარი და მარტივი პრინციპი - „არ ავნო!“

ნებისმიერი საქმიანობა, რომლის ობიექტი ცოცხალი არსება და, მით უმეტეს, ადამიანია, საჭიროებს მყარ, მკაცრად გაწერილ ჰუმანურ პრინციპებს და მათ დაცვას საქმიანობაში. მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენლები (ექიმი, მასწავლებელი, ფსიქოთერაპევტი, სოციალური მუშაკი და, მათ შორის, ახალგაზრდული მუშაკიც) ვალდებული არიან, საკუთარი საქმიანობა ააგონ ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპებისა და ეთიკური ნორმების შესაბამისად და სამუშაო პროცესში არასდროს დაივიწყონ მთავარი - „არ ავნო!“ („*primum non nocere*“ “first, do no harm”).

„არ ავნო!“ პრინციპის შემომტანად ჰიპოკრატე, ხოლო პირველწყაროდ კი მისი ნაშრომი „ეპიდემია“ ითვლება. სამედიცინო სივრცეებიდან ამ პრინციპის ცხოვრებისეულ ფილოსოფიად ტრანსფორმირება XIX საუკუნიდან იწყება და ამ პროცესის ინიციატორად ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ სტიუარტ მილი გვევლინება (John Stuart Mill). დღესდღეობით

ბით პრინციპი „არ ავნო!“ ლიბერალური პოლიტიკური მსოფლმხედველობის ძირეული ქვაკუთხედი, რადგან კარგად გამოხატავს ერთ-ერთ მთავარ ლიბერალურ დებულებას - „სოციალური მიერ ადამიანის ქმედებების მონივნება ან არმონივნება არ არის საკმარისი არგუმენტი სახელმწიფოს ჩარევის გასამართლებლად, თუ ამ ქმედებებით რეალურად არავინ ზიანდება“.

ახალგაზრდული მუშაკები სრულიად განსხვავებულ, მრავალფეროვან მიდგომებს, მეთოდებსა და როლებს იყენებენ ახალგაზრდებთან სამუშაოდ და სწორედ იმიტომ, რომ არ მოხდეს ამ მრავალფეროვნების შეზღუდვა მრავალი სხვადასხვა მარეგულირებელი და მასისტემატიზირებელი სტანდარტით, ის ერთი, საერთო და უალტერნატივოდ გასათვალისწინებელი პრინციპი, რომელიც უნდა გააცნობიეროს ყველამ, ვინც ახალგაზრდებთან მუშაობს და რაზეც უნდა დააფუძნოს საკუთარი საქმიანობა, ვთანხმდებით, რომ უნდა იყოს უნივერსალური პრინციპი - „არ ავნო!“.



ახალგაზრდული მუშაკის ფასეულობრივი პლატფორმა

ჩვენთვის საინტერესოა, რა დამოკიდებულებებია მისაღები და წახალისებული ახალგაზრდული საქმიანობის ობიექტის - ახალგაზრდისთვის (მოზარდის, ბავშვის) და როგორ რეგულირდება ახალგაზრდული მუშაკის საქმიანობის განხორციელება ევროპის ქვეყნებში, რადგან სულ მალე, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოშიც შეიქმნება და ამოქმედდება ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკის კოდექსი.

ევროკავშირის ქვეყნებსა და დიდ ბრიტანეთში ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკის კოდექსის არსებობა ხელი უწყობს ახალგაზრდების საერთო კეთილდღეობაში მონაწილეობას და ის ემყარება ურთერთმარეგულირებელ ორ მოცემულობას - ერთი მხრივ, ახალგაზრდების ბრძოლას კეთილდღეობისა და აღიარებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების მცდელობას, ხელთ ეპყრას მართვს სადავეები და ამ გზით შეინარჩუნოს კონტროლი ახალგაზრდებზე. ახალგაზრდული მუშაკის მოვალეობაა მისი „მთავარი ბენეფიციარის“ - ახალგაზრდის ინტერესების გათვალისწინებით, მოახერხოს და დაამყაროს თანამშრომლობითი ურთიერთობები ახალგაზრდებსა და საზოგადოებას შორის. იქამდე, სანამ უშუალოდ ჩვენი საქმიანობის ეთიკის კოდექსის შინაარსზე ვისაუბრებთ, შეთანხმდეთ, ზოგადად რა არის ეთიკა და კონკრეტულად პროფესიული ეთიკა:



ეთიკა თავის თავში გულისხმობს ქცევით ნორმებს იმასთან დაკავშირებით, რა არის სწორი ან არასწორი, კარგი ან ცუდი, საზიანო ან სასარგებლო და, როგორც წესი, ამ ყველაფრის განსაზღვრას და შეფასებას ახდენს ცოცხალი არსების კეთილდღეობასთან მიმართებით.



პროფესიული ეთიკა ეს არის პროფესიული საქმიანობისას განსახორციელებელი ქცევების მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც საჭიროა პროფესიულ დილემებთან გასამკლავებლად ან მათი პრე-

ვენციისთვის, პროფესიული პასუხისმგებლობების, ვალდებულებებისა და წესების შესაქმნელად, რაც დაარეგულირებს საქმიანობაში ჩართული პირების ქცევას.

ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკის კოდექსის ნორმების დაცვა ევალება ყველას, ვინც ჩართულია ახალგაზრდებთან მუშაობაში - ახალგაზრდული პოლიტიკის შემქმნელებსა და გამტარებლებს, მოხალისეებს, მუნიციპალიტეტების თანამშრომლებს და, რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდულ მუშაკებს. უნდა მოხდეს:

- ახალგაზრდებისთვის შესაბამისი ქცევითი მოდელის შეთავაზება;

- ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ საქმიანობაში მომუშავეთა შორის ნდობის ჩამოყალიბება;

- ისეთი სერვისებისა და ორგანიზაციების შექმნის უზრუნველყოფა, რომლებიც სანდო იქნება ახალგაზრდებისა და მათი მშობლებისთვის;

- სხვადასხვა სტეიკჰოლდერების (მხარეების) მოტივირება ახალგაზრდულ საქმიანობაში რესურსების ჩასადებად

- მათში რწმენის გაძლიერება, რომ ახალგაზრდული საქმიანობა ეხმარება ახალგაზრდებს მორალური და ეფექტიანი ქცევების ჩმოყალიბებასა და განხორციელებაში.

ევროპული ქვეყნების ახალგაზრდული მუშაკის ფასეულობრივი პლატფორმა შედგება საქმიანობის მარეგულირებელ ნორმათა ორი დიდი ჯგუფისგან - ეთიკური ნორმებისა და პროფესიული ნორმებისაგან.

ეთიკური ნორმების ობიექტი არის ბავშვი/მოზარდი/ახალგაზრდა და ეს ნორმები მიმართულია მათი საუკეთესო ინტერესების დაცვისა და გათვალისწინებისკენ.

პროფესიული ნორმების ობიექტი არის თავად ახალგაზრდული მუშაკი და ეს ნორმები მიმართულია მისი პროფესიული ქცევის რეგულაციისკენ.

ახალგაზრდული მუშაკის ეთიკური ნორმები

1

ახალგაზრდული მუშაკი პატივისცემით უნდა მოეპყრას ახალგაზრდებს, დააფასოს თითოეულის ინდივიდუალობა და თავი აარიდოს მათ დისკრიმინაციას.

2

ახალგაზრდულმა მუშაკმა პატივი უნდა სცეს ახალგაზრდების არჩევანს და ხელი შეუწყოს მათ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებაში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საქმე მათ ან სხვის კეთილდღეობას ან ლეგიტიმურ ინტერესებს ეხება.

3

ახალგაზრდულმა მუშაკმა ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების კეთილდღეობას და მაქსიმალურად უზრუნველყოს ისინი უსაფრთხო გარემოთი და, ამავე დროს, შესთავაზოს მათ გარკვეული გამოწვევები - საგანმანათლებლო აქტივობები ზრდა-განვითარებისთვის.

4

ახალგაზრდულმა მუშაკმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს სოციალური სამართლიანობის განვითარებაში და ახალგაზრდების მიერ მის მიღწევაში, მოცემულ სოციუმში უმცირესობებისა და განსხვავებულობის მხარდაჭერითა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლით.

ახალგაზრდული მუშაკის პროფესიული ნორმები

1

ახალგაზრდული მუშაკი იაზრებს და ავლებს ზღვარს პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის, აცნობიერებს მიჯნას ახალგაზრდების მიმართ მზრუნველობით, მხარდამჭერ დამოკიდებულებასა და საჭირო პროფესიულ დისტანციას შორის.

2

ახალგაზრდული მუშაკი აღიარებს და აცნობიერებს ანგარიშვალდებულებას ახალგაზრდების, მათი მშობლების/მზრუნველების, საკუთრი კოლეგების, ფონდების, საზოგადოების წინაშე და ასევე იაზრებს იმასაც, რომ ეს ანგარიშვალდებულება სხვადასხვა სტეიკჰოლდერთან შეიძლება იყოს განსხვავებული და წინააღმდეგობაშიც კი მოდიოდეს მათთან (ამოსავალი და პირველი ყოველთვის ახალგაზრდის საუკეთესო ინტერესებია).

3

ახალგაზრდული მუშაკი მიზანმიმართულად ხვეწს საჭირო უნარებს და ივითარებს ახლებს საკუთარი საქმიანობის უკეთ განხორციელების მიზნით.

4

ახალგაზრდული მუშაკი ზრუნავს ჩამოთვლილი ნორმების დაცვაზე. ისეთი პრეცედენტის შემთხვევაში, როდესაც სიტუაცია ვერ რეგულირდება ჩამოთვლილი ნორმებით, ახალგაზრდული მუშაკი, სიტუაციის სისტემატიზირებისა და მოგვარების მიზნით, განიხილავს მას კოლეგებთან ერთად და ზრუნავს სამომავლოდ ახალგაზრდული საქმიანობის შედეგების დახვეწასა და სფეროს განვითარებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პრინციპი უაღრესად მნიშვნელოვანია, საჭიროდ ვთვლით, რამდენიმე მათგანზე დამატებით გავამახვილოთ თქვენი ყურადღება, რადგან სწორედ ისინი განსაზღვრავენ ახალგაზრდული საქმიანობის ძირითად შინაარსს.

ახალგაზრდულ მუშაკს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ მისი „მთავარი დამკვეთი“, **„პრიორიტეტული ბენეფიციარი“** არის ახალგაზრდა და არა სხვა რომელიმე დაინტერესებული მხარე - მშობელი, საგანმანათლებლო დაწესებულება, ფონდი და ა.შ. სწორედ ეს გამოარჩევს ახალგაზრდულ მუშაკს სხვა პროფესიონალებისგან, რომლებიც ასევე მუშაობენ ახალგაზრდებთან, თუმცა მათ აღიქვამენ არა როგორც საქმიანობის მთავარ ობიექტს, არამედ ერთ-ერთ სტეიკჰოლდერს. „Primary Client“ პრინციპი ახალგაზრდებისთვის იმის გარანტიაა, რომ ერთი პროფესიის წარმომადგენლებისთვის მაინც მათი ინტერესები ყოველთვის იქნება უმთავრესი.

ამ პრინციპის საპირწონედ, ახალგაზრდული მუშაკი უნდა გამოირჩეოდეს მაღალი მგრძნობელობით **პროფესიული საზღვრებისადმი** და ნებისმიერ აქტივობას ახორციელებდეს იმის გაცნობიერების ფონზე, რომ:

- ახალგაზრდებთან ყოველთვის საჭიროა პროფესიული დისტანციის დაცვა, რათა მცირე ასაკობრივი სხვაობისა თუ ახლო სოციალური ურთიერთობის გამო, ახალგაზრდულმა მუშაკმა არ დაკარგოს ავტორიტეტი;

- ახალგაზრდები დაცულნი უნდა იყვნენ ფსიქოლოგიური ტრავმისგან, რომელიც შეიძლება ახალგაზრდულ მუშაკზე მათმა მიტაცულობამ გამოიწვიოს, ამიტომ ახალგაზრდულმა მუშაკმა არ უნდა დაუშვას, რომ ახალგაზრდებზე ზრუნვა მისი მხრიდან გადაიზარდოს ემოციურ ან სექსუალურ ურთიერთობაში;

- პირად სარგებელზე ფიქრი, საჩუქრების მიღება და ნებისმიერი ისეთი ქცევა, რომელიც ზიანს აყენებს და მაკომპრომეტირებელია არათუ კონკრეტული პირისთვის, არამედ მთლიანად ახალგაზრდული სფეროსთვის, დაუშვებელია ჩაიდინოს ახალგაზრდულმა მუშაკმა;

- მეტიც - ახალგაზრდული მუშაკი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს, რომ მისი

მოღვაწეობა პროფესიის მიღმაც შეესატყვისებოდეს იმ ფასეულობრივ პრინციპებს, რომლებზეც შენდება ახალგაზრდული საქმიანობა.

ახალგაზრდული მუშაკი ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად იმ „სოციალური კონტექსტის“ გათვალისწინებით საქმიანობს, რომელშიც ერთიანდება ადგილი, ოჯახი, ადგილობრივი კულტურა, თემი, საზოგადოება - ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ახალგაზრდის ფორმირებაზე. სწორედ ახალგაზრდული მუშაკი არის ცვლილებების აგენტი, რომელიც არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენების გზით ხელს უწყობს ახალგაზრდების ფასეულობრივ და პიროვნულ განვითარებას, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი მიზანი არის არა გარემოს ცვლილება და მისი განვითარების მიზნებისთვის მორგება (რასაც ახალგაზრდული მუშაკი ახდენს), არამედ ახალგაზრდებში ცვლილების მიღწევა, რაც პოზიტიურად აისახება მათ პიროვნულ, სოციალურ თუ სამოქალაქო აქტივობებზე.

დღესდღეობით საქართველოში ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის აღიარებისა და პოპულარიზაციის ფონზე, სახელმწიფოს მხრიდან მისი ინსტიტუციონალიზაცია ჯერ არ მომხდარა, თუმცა ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდობის სააგენტოში უკვე დაწყებულია ახალგაზრდული მუშაკის პროფესიული სტანდარტის შექმნაზე მუშაობა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციაში (სამა) ვგეგმავთ ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკის კოდექსის შიდა მოხმარების დოკუმენტის შექმნას, რომელიც დაეფუძნება და გაითვალისწინებს ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებას ამ მიმართულებით. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სამომავლოდ, მოხდება აღნიშნული დოკუმენტის ინტეგრაცია პროფესიული სტანდარტის დოკუმენტთან.

ამ პროცესების დასრულებით ახალგაზრდულ მუშაკებს საშუალება მიეცემათ მეტად თავდაჯერებულნი და შემოქმედებითი იყვნენ ახალგაზრდებთან სამუშაოდ მეთოდების შერჩევაში და ზუსტად იცოდნენ, როგორ უნდა მოახდინონ საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში ახალგაზრდების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება.

პრაქტიკული რჩევები ახალგაზრდული მუშაკებისთვის

პრაქტიკული რჩევები ახალგაზრდული მუშაკებისათვის ახალგაზრდული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის;

ამ თავში ვეცდებით გაგიზიაროთ ის პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც ახალგაზრდული საქმიანობის რამდენიმე ათწლეულის გამოცდილებით არის დაგროვილი და რომელიც, იმედი გვაქვს, დაგეხმარებათ უფრო ეფექტიანად წარმართოთ ახალგაზრდული საქმიანობა.



ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისას მნიშვნელოვანია აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა სფეროს აქტორებთან, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ ახალგაზრდულ საქმიანობას. აქ შეიძლება მოვიპოვოთ ადგილობრივი ხელისუფლება, ახალგაზრდების ოჯახის წევრები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა.



უცხოური რესურსებიდან ან საერთაშორისო გამოცდილების შედეგად მოპოვებული მეთოდების, ტექნიკების, სავარჯიშოების გამოყენებისას, მნიშვნელოვანია ადგილობრივი სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინება, სათანადო რესურსების შერჩევა და საჭიროებისამებრ, ცვლილებების შეტანა.



ყველა ახალგაზრდული მუშაკისთვის სასარგებლოა თემატურად დალაგებული სავარჯიშოებისა და ტექნიკების საკუთარი კრებუ-



ლის ქონა, რომელშიც მითითებული იქნება თითოეული ტექნიკის მიზნობრიობა, წინაპირობები, საჭირო მასალები და ა.შ.



მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ეფექტიანი ახალგაზრდული საქმიანობის აუცილებელ პირობას მონაწილეების დადებითი განწყობა წარმოადგენს. ამიტომ, მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ, რომ ახალგაზრდული საქმიანობის ღონისძიებები გარდა სასარგებლოსი, სახალისოც იყოს.



ნდობის მოპოვება საკმაოდ რთულია, დაკარგვა კი მარტივი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მოზარდებს ეხება. ამიტომ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დაპირებები ძალიან ფრთხილად გავცეთ და ყველაფერი გავაკეთოთ მათ შესასრულებლად.



მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ აქტივობების განხორციელების პროცესში ისეთი მონაწილეების ჩართულობის ხელშეწყობას, რომლებიც ბუნებრივად უფრო მორცხვები, ჩაკეტილები, პასიურები არიან, მუდმივად ვიზრუნოთ, რომ პროცესში შეძლებისდაგვარად ყველა მონაწილე იყოს ჩართული.



მნიშვნელოვანია, ვიყოთ გულწრფელები და კეთილსინდისიერები ახალგაზრდებთან. არ გავცეთ მათი საიდუმლო, დავრჩეთ შეთანხმებების ერთგული, მოვიხადოთ გულწრფელი ბოდიში, თუ უნებლიედ რაიმე არასწორად გავაკეთეთ.



არასდროს მოგვერიდოს იმის აღიარება, რომ რაღაც არ ვიცით. გულწრფელი სიმართლე უფრო ჯანსაღს ხდის გარემოს და აღრმავებს ნდობას ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ მუშაკს შორის.



მნიშვნელოვანია, კარგად ვიცნობდეთ იმ ახალგაზრდების საჭიროებებს, რომლებთანაც ვმუშაობთ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, საჭიროებების მოკვლევისას გავითვალისწინოთ მგრძნობიარე საკითხები და დავიცვათ მათი პირადი საზღვრები.



კონკრეტული ინტერვენციის დაწყებამდე აუცილებელია პოტენციური რისკების გათვალისწინება და მათი დაძლევის გზების დაგეგმვა. წინააღმდეგობა სფეროს აქტორებისგან, განსაკუთრებით რთული ქცევის მონაწილე, ლოგისტიკური სირთულეები, კონფლიქტები მონაწილეებს შორის - ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ რისკებისა, რომლებიც შეიძლება დადგეს ინტერვენციის პროცესში.



ინკლუზიურობის პრინციპი - აუცილებელია მონაწილეების სპეციალური საჭიროებების შესწავლა, ასეთის არსებობის შემთხვევაში და აქტივობების შესაბამისად დაგეგმვა. შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი, რომლის შესრულების ვალდებულებაც საქართველომ გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებასთან ერთად აიღო, მოითხოვს ინკლუზიურობის პრინციპის დაცვას, რაც გულისხმობს აქტივობებში შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებას და გარემოს შესაბამის ადაპტირებას.



მნიშვნელოვანია ახალგაზრდული მუშაკი კარგად იცნობდეს რეგიონში/მუნიციპალიტეტში არსებულ ახალგაზრდულ შესაძლებლობებს (ახალგაზრდული ცენტრები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო წრეები, გასართობი და სარეკრეაციო დაწესებულებები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და ინიციატივები და ა.შ.) და საჭიროების მიხედვით შეძლოს ახალგაზრდას დაკვალიანება მისთვის საჭირო და საინტერესო შესაძლებლობის თაობაზე.



აუცილებელია ახალგაზრდული მუშაკი მუდმივად ისწრაფვოდეს სწავლისა და სრულყოფისაკენ, მუდმივად ცდილობდეს გაეცნოს სფეროს სიახლეებს, აითვისოს ახალი მეთოდები, ტექნიკები და მიდგომები.

გენდერული ასპექტების ინტეგრირება ახალგაზრდულ საქმიანობაში

გენდერის სოციალიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალგაზრდების ქცევების, როლების, ნორმების, პიროვნული ნიშან-თვისებების, შეხედულებებისა თუ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. გენდერის სოციალიზაცია არის პროცესი, როდესაც ვსწავლობთ იმ კულტურულ ნორმებსა და როლებს, რომლებიც მოგვენიჭა გოგოდ ან ბიჭად დაბადებისას, ეს ხდება მთელი ცხოვრების განმავლობაში. გენდერული სოციალიზაციის პროცესი იწყება ადრეულ ასაკში. გოგოებსა და ბიჭებს ოჯახი და საზოგადოება დაბადებიდანვე სხვადასხვაგვარად ექცევა. ამ პროცესში, მნიშვნელოვანი გავლენის მქონე აქტორები და აგენტები არიან: მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები და მედია. მშობლებისა და საზოგადოების განსხვავებული დამოკიდებულებები, შეხედულებები გოგოებისა და ბიჭების მიმართ, გენდერულად შერჩეული სათამაშოები და გენდერზე დამყარებული მითითებები ადრულ ასაკშივე საფუძველს უყრის გენდერულ სტერეოტიპებს, გოგოებისა და ბიჭების განსხვავებულ როლებს, რაც ხელს უწყობს გენდერულად უთანასწორო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მაგალითად: გოგოებისთვის და ბიჭებისთვის შერჩეული ტანსაცმლის (ვარდისფერი - გოგოებს, ცისფერი-ბიჭებს) ფერები, სათამაშოები (დალაგებასთან, დასუფთავებასთან, თავისმოვლასთან დაკავშირებული ნივთები - გოგოებს, ხოლო - ხელსაწყოები, ინსტრუმენტები, რობოტები, მანქანები, თოფები - ბიჭებს), აქტივობები - დედები გოგოებს ძირითადად საოჯახო საქმეებში, დალაგება-დასუფთავებაში რთავენ, ხოლო ბიჭები - მამასთან ერთად მანქანის შეკეთებით, ხელსაწყოებით, სარემონტო-სამშენებლო საქმეებით კავდებიან; დამოკიდებულებები - მოზარდობის ასაკში, ბიჭებს ნებას რთავენ, გვიანობამდე იყვნენ გარეთ თანატოლებთან, როცა გოგოები ადრე უნდა დაბრუნდნენ სახლში და სხვა. გარდა ოჯახისა, მასწავლებლების განსხვავებული

დამოკიდებულებები და მცდარი შეხედულებები გოგოებისა და ბიჭების შესაძლებლობებზე და ქცევებზე¹ ხელს უწყობს

მათ მიმართ არაობიექტური წარმოდგენების განმტკიცებას. შესაბამისად, თანატოლებში ყალიბდება საზოგადოების მიერ კონსტრუირებული მოლოდინები და გენდერული როლები. ახალგაზრდები, თავის მხრივ, მიუთითებენ ერთმანეთს, როგორი უნდა იყოს ბიჭი ან გოგო, როგორ უნდა იქცეოდეს ან იცვამდეს, სად უნდა თამაშობდეს, რომელი აქტივობა არის ან არ არის შესაფერისი რომელიმე სქესისთვის და სხვ. შედეგად, შეხედულებები, რწმენები, დამოკიდებულებები, რომლებსაც ვსწავლობთ დაბადებიდან, გავლენას ახდენს ახალგაზრდების ქცევაზე, განვითარებაზე და ჩამოყალიბებაზე. ხშირად, ერთი რომელიმე სქესის მიმართ განსაკუთრებით პრივილეგირებული დამოკიდებულებები წარმოქმნის გენდერულად უთანასწორო გარემოს, რომელშიც ახალგაზრდებს უწევთ ცხოვრება.



1 მაგალითად: ბიჭების ტექნიკურ და გოგოების ჰუმანიტარული უნარებზე აქცენტირება, ქცევები, რომლებიც მათი გენდერული როლების მოდელირებით არ არის მისაღები გოგოებისთვის ან/და ბიჭისთვის. ფრაზები: „კაცი არ ხარ რა გატირებს?“, „რა ბიჭივით იქცევი?“, „გოგო ხარ და არ შეგშენის“, „ბიჭივით ცელქია“, „გოგო ხარ და მეტი მოთმინება, სინაზე და სიმშვიდე გგმართებს“ და ბევრი სხვა.

დღესდღეობით ბიჭებთან/კაცებთან შედარებით უფრო მეტი გოგო/ქალი განიცდის დისკრიმინაციას დასაქმების ადგილზე, ოჯახში ძალადობას, სექსუალურ შევიწროებას, ადრეულ ასაკში ქორწინებას. ამასთან, დაბალია ქალების/გოგოების ჩართულობა პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ა.შ.² ახალგაზრდულ საქმიანობას მნიშვნელოვანი როლი აქვს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში, ქალებისა და გოგოების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაში და ძალადობისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნაში. უფრო ზუსტად კი, ახალგაზრდულ მუშაკებს მრავალფეროვანი ღონისძიებების, ინიციატივებისა თუ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებით შეუძლიათ:

1

გაზარდონ ახალგაზრდების გენდერული მგრძნობელობა და ცნობიერება მათი ინფორმირებით. პოზიტიურად შეცვალონ გოგოებისა და ბიჭების მიმართ დამკვიდრებული არაობიექტური, სტერეოტიპული და ხშირად გაზვიადებული შეხედულებები და წარმოდგენები მათ ქცევებზე, თვისებებსა და მახასიათებლებზე.

2

შექმნან უსაფრთხო, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალი სამუშაო გარემო, სადაც ახალგაზრდები, განუზრვლად სქესისა თუ გენდერული იდენტობისა, თავს იგრძნობენ უსაფრთხოდ, თავისუფლად; სადაც პატივს სცემენ მრავალფეროვან გარემოს და მიეცემათ საშუალება თანაბრად გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, მოსაზრებები, ინტერესები, დამოკიდებულებები თუ სხვა საჭიროებები.

3

განახორციელონ ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული საქმიანობა; გაითვალისწინონ ნაკლებად წარმოდგენილი სქესის ინტერესები და საჭიროებები; ხელი შეუწყონ გენდერული ნიშნით სხვაობის შემცირებას სპეციალური ღონისძიებების გატარებით.

ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია გოგოებისა და ბიჭების საჭიროებების იდენტიფიცირება გენდერული ანალიზის ჩატარებით. გენდერული ანალიზი არის ინსტრუმენტი, საშუალება, რომელიც გვეხმარება:

- სქესის ნიშნით კლასიფიცირებული მონაცემებისა და ინფორმაციის მოგროვებაში
- გენდერული ნიშნით სხვაობისა თუ არსებული უთანასწორობის გაგებაში, მაგ: რაოდენობრივად როგორია ბიჭებისა და გოგოების მონაწილეობა? განსხვავდება თუ არა ახალგაზრდების საჭიროებები სქესის ნიშნით? გოგოებსა და ბიჭებს აქვთ თუ არა თანაბარი ხელმისაწვდომობა რესურსებზე და შესაძლებლობებზე? და ა.შ.
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაგებაში, ანუ რატომ გვაქვს ეს სხვაობა?
- ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული საქმიანობის დაგეგმვაში
- პროცესის მონიტორინგსა და შეფასებაში. რამდენად მოხდა გოგოებისა და ბიჭების საჭიროებების გათვალისწინება და რამდენად ყველასთვის ხელმისაწვდომია ის ბენეფიტები, რაც პროექტის ინტერვენციის შედეგად დადგა.

2 „ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში“, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2018/12/womens-economic-inactivity-and-engagement-in-the-informal-sector-in-georgia>

გენდერული ანალიზი უზრუნველყოფს ისეთი მონაცემების, ინფორმაციის მოგროვებას, რომელიც გვხმარება შინაარსის, არსის უკეთ გაგებაში, გვაძლევს შესაძლებლობას, თავიდან ავიცილოთ უზუსტობები, არასწორი ვარაუდები და გვხმარება საქმიანობის მაღალი ხარისხით განხორციელებაში, რომელსაც, თავის მხრივ, პოზიტიური და გრძელვადიანი გავლენა აქვს სამიზნე ჯგუფებზე. არსებობს გენდერული ანალიზის რამდენიმე მეთოდი. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული 4R მეთოდია. იგი სვავს სამ W (Who/ვინ, What/რა და Why/რატომ) შეკითხვას, რომ გაარკვიოს 4R ფაქტორი: Representation/წარმომადგენლობა, Resources/რესურსები, Reality/რეალური მდგომარეობა და Rights/უფლებები. ანუ, ვინ რას რატომ იღებს ან რატომ ვერ იღებს?

- ვინ? - წარმომადგენლობა, გოგონები და ბიჭები

- რას იღებს ან რატომ ვერ იღებს?
- რესურსები, შესაძლებლობები

- როგორია რეალობა და მათი უფლებრივი მდგომარეობა? -

ახალგაზრდული საქმიანობის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია გენდერული ასპექტების ინტეგრირება.

მაგ:

- დაგეგმვა და განხორციელება - ამ შემთხვევაში, გენდერული ანალიზი ძირითადი დაგეგმვის ინსტრუმენტია, რომელიც გვხმარებათ არსებული სიტუაციის გაცნობაში. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, ახალგაზრდა მუშაკი იღებს გადაწყვეტილებას, როგორი იქნება

დასაგეგმი და განსახორციელებელი აქტივობები. მაგ: დაგეგმვის ეტაპზე გენდერული ანალიზისთვის ზიგიერთი ტიპური შეკითხვა შესაძლოა იყოს: როგორია ბიჭებისა და გოგონების ამჟამინდელი მდგომარეობა თქვენ სამიზნე რეგიონში, ლოკაციაზე? ხელს შეუწყობს თუ არა თქვენ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები ბიჭებსა და გოგონებს შორის არსებული უთანასწორობის შემცირებას, აღმოფხვრას? გამოიწვევს თუ არა თქვენი საქმიანობები ბიჭებისა და გოგონების მიმართ არსებული სტერეოტიპული შეხედულებების, დამოკიდებულებების შეცვლას? როგორია სქესის ნიშნით დაინტერესებული მხარეების ჩართულობა? რამდენად მრავალფეროვანია მოგროვებული ინფორმაცია? თანაბრად ასახავს თუ არა მიღებული ინფორმაცია გოგონებისა და ბიჭების ინტერესებს? და ა.შ.

- მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე, შესაძლოა დავსვით შემდეგი სახის კითხვები - არიან თუ არა გოგონები და ბიჭები თანაბრად ჩართულნი თქვენ მიერ განხორციელებულ აქტივობებში? თუ არა, რატომ? რა არის ამის გამომწვევი მიზეზი? წარმოიშვა თუ არა ისეთი გენდერული პრობლემები, რომლებიც არ იყო განსაზღვრული დაგეგმვის ეტაპზე? შეიცვალა თუ არა გოგონებისა და ბიჭების მდგომარეობა თქვენი ღონისძიებების შედეგად? შეიცვალა უკეთესობისკენ თუ უარესობისკენ? თუ დაგეგმარების ფაზაში განსაზღვრული გქონდათ უთანასწორობის შემცირებისკენ მიმართული მიზნები, რამდენად შესრულდა? ჰქონდა თუ არა ადგილი რამე მოულოდნელ ან გაუთვალისწინებელ გენდერულ შედეგებს? იქონია თუ არა ახალგაზრდულმა საქმიანობამ გავლენა გოგონებისა და ბიჭების შეხედულებებზე? თუ კი, როგორ? როგორია თქვენი საქმიანობის გავლენა გოგონებზე და ბიჭებზე? და სხვ.



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები და შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი

შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი მონაპოვარია. იგი წარმოადგენს ერთადერთ მოდელს, რომელიც თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ არის შექმნილი.

შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი გულისხმობს, რომ შეზღუდულ შესაძლებლობას ქმნის არა პიროვნების სპეციალური საჭიროება, არამედ საზოგადოებაში არსებული ბარიერები. ბარიერებში მოიაზრება როგორც ფიზიკური წინააღმდეგობები, როგორიცაა არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, ასევე საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებები, მიდგომები და სტიგმა. სოციალური მოდელის თანახმად, ამგვარი ბარიერების აღმოფხვრა ხელს უწყობს თანასწორობას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მეტი დამოუკიდებლობის, არჩევანისა და აქტიურობის შესაძლებლობას აძლევს.

მეტი სიცხადისათვის, შეგვიძლია კონკრეტული მაგალითები მოვიყვანოთ. ასე მაგა-

ლითად, თუკი შეზღუდული შესაძლებლობის სხვა მოდელის თანახმად შშმ პირთათვის გამოყოფილია სპეციალიზებული სკოლა, ტრანსპორტი და სხვა ინფრასტრუქტურა, სოციალური მოდელი გულისხმობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის, რიგითი საჯარო სკოლის და ნებისმიერი სხვა ინფრასტრუქტურის ადაპტირებას იმგვარად, რომ მისით სარგებლობა თავისუფლად შეეძლოს ნებისმიერი ტიპის სპეციალური საჭიროების მქონე პირს.

მოცემული სახელმძღვანელო ეყრდნობა შეზღუდული შესაძლებლობის სოციალურ მოდელს, მოუწოდებს ახალგაზრდულ მუშაკებს და ახალგაზრდული სფეროს სხვა აქტორებს, მაქსიმალურად უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობის ბარიერების აღმოფხვრა/შემცირება და მოიაზრებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მონაწილეობას სახელმძღვანელოში მოყვანილ სხვადასხვა სახისა და ტიპის, სხვადასხვა გარემოში განხორციელებულ ახალგაზრდულ საქმიანობაში.



ტერმინები ახალგაზრდულ საქმიანობაში

კატეგორია	#	ინგლისური ტერმინი	ქართული შესატყვისი	განმარტება
ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები	1	Youth Work	ახალგაზრდული საქმიანობა	ახალგაზრდული საქმიანობა საგანმანათ- ლებლო საქმიანობაა, რომელიც ფარავს ყველა ტიპის სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას, რომე- ლიც ხორციელდება ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზ- რდების მიერ. ახალგაზრდული საქმიანობა დაფუძნებულია არაფორმალურ და ინფო- რმალურ განათლებაზე, რომელშიც ახალა- გზრდები თავიანთი ინტერესებისა და საჭი- როებების მიხედვით, ნებაყოფლობით არიან ჩართულები. ახალგაზრდული საქმიანობა სოციალური პრაქტიკაა, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების სრული პოტენცი- ალის განვითარებას, მათ კეთილდღეობასა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.
	2	Mobile Youth Work	მობილური ახალგაზრდული საქმიანობა	მობილური ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდული საქმიანობის ფორმაა, რომელიც ძირითადად ხორციელდება იქ, სადაც ახალგაზრდული საქმიანობის სერვი- სები და ინფრასტრუქტურა არ არის განვი- თარებული. მობილური ახალგაზრდული საქმიანობა სრულიად იზიარებს ახალგა- ზრდული საქმიანობის ღირებულებებსა და პრინციპებს, დაფუძნებულია ახალგაზ- რდების ინტერესებსა და საჭიროებებზე და ხორციელდება ახალგაზრდისთვის ჩვეულ გარემოში.
	3	Digital Youth Work	ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა	ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდულ საქმიანობაში მედიისა და ტექნოლოგიების პროაქტიულად გამოყე- ნებას გულისხმობს და სრულიად ემყარე- ბა ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკას, ფასეულობებსა და პრინციპებს. ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს როგორც პირისპირ სი- ტუაციებში, ასევე, ვირტუალურ გარემოში ან ორივეში ერთად. ციფრული მედია და ტექნოლოგიები კი არის ინსტრუმენტი, თვით საქმიანობა ან შინაარსი ახალგაზრდულ საქმიანობაში.
	4	Outreach Youth Work	მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობა	მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზ- რდული საქმიანობა ახალგაზრდული საქ- მიანობის ფორმაა, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდებზე მორგებული ღონისძიებე- ბის დაგეგმვა/განხორციელებას. აღნიშნუ- ლი აქტივობები ხორციელდება იქ სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან და მიზნად ისა- ხავს მათ მოზიდვასა და ჩართვას ახალგაზ- რდულ საქმიანობასა და სერვისებში.

კატეგორია	#	ინგლისური ტერმინი	ქართული შესატყვისი	განმარტება
ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები	5	Detached Youth Work	საველე ახალგაზრდული საქმიანობა	საველე ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდული საქმიანობის ფორმაა და მიზნად ისახავს ახალგაზრდების ფიზიკური, სოციალური, პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. ამ შემთხვევაში, ახალგაზრდებთან საქმიანობა, მათსავე ტერიტორიაზე, არაფორმალური შეკრების ადგილებში (ქუჩები, პარკები, კაფეები, ღია სივრცეები) ხორციელდება და უმეტესწილად მორგებულია მოცემულ მომენტში მათი განვითარების საფეხურზე, მათ ღირებულებებზე, დამოკიდებულებებზე, გამოწვევებსა და ამბიციებზე. გამომდინარე იქიდან, რომ საქმიანობა საველე პირობებში მიმდინარეობს, მისი განხორციელების თავისებურებები ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ მუშაკს შორის მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს.
	6	School based Youth Work	სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა	ახალგაზრდული საქმიანობა რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდული მუშაკი საქმიანობას ახორციელებს სკოლებში. სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა ხელს უწყობს სკოლებსა და ახალგაზრდულ სერვისებს შორის კავშირის გაუმჯობესებას და ემსახურება ახალგაზრდების სრული პოტენციალის განვითარებას, მათ კეთილდღეობასა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.
	7	Youth Centre-based Youth Work	ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდული საქმიანობა	ახალგაზრდული საქმიანობა რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდული მუშაკი საქმიანობას ახორციელებს ახალგაზრდულ ცენტრში. ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდული საქმიანობა ხელს უწყობს ცენტრის ბენეფიციარ ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ სერვისებს შორის კავშირის გაუმჯობესებას და ემსახურება ახალგაზრდების სრული პოტენციალის განვითარებას, მათ კეთილდღეობასა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.
	8	Open Youth Work	ღია ახალგაზრდული საქმიანობა	ახალგაზრდული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ღია ახალგაზრდულ ცენტრში. აღნიშნულ საქმიანობას არ გააჩნია წინასწარ მკაცრად განსაზღვრული კურიკულუმი და იგი ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს აქტიურად შექმნან და ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო, სამოქალაქო და რეკრეაციულ ღონისძიებაში.

კატეგორია	#	ინგლისური ტერმინი	ქართული შესატყვისი	განმარტება
ახალგაზრდული მუშაკების სახეობების კლასიფიკაცია	9	Youth Worker	ახალგაზრდული მუშაკი	პირი, რომელიც ახორციელებს ახალგაზრდულ საქმიანობას სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ სანყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ.
	10	Mobile Youth Worker	მობილური ახალგაზრდული მუშაკი	პირი, რომელიც ახორციელებს მობილურ ახალგაზრდულ საქმიანობას სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ სანყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ.
	11	Digital Youth Worker	ციფრული ახალგაზრდული მუშაკი	პირი, რომელიც ახორციელებს ციფრულ ახალგაზრდულ საქმიანობას სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ სანყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ.
	12	Outreach Youth Worker	მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული მუშაკი	პირი, რომელიც ახორციელებს ახალგაზრდების მოზიდვაზე ორიენტირებულ საქმიანობას, მას მიაქვს ახალგაზრდებამდე ინფორმაცია იმ შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც მათთვის ხელმისაწვდომია, ხოლო მათგან მოაქვს ინფორმაცია, თუ რა თემები არის ახალგაზრდებისთვის საინტერესო, მნიშვნელოვანი, საჭირო.
	13	Detached Youth Worker	საველე ახალგაზრდული მუშაკი	პირი, რომელიც ახორციელებს საველე ახალგაზრდულ საქმიანობას სამსახურეობრივ ან მოხალისეობრივ სანყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. იგი ორიენტირებულია ახალგაზრდებთან მუშაობაზე ახალგაზრდების თავშეყრის ადგილზე.
	14	School based Youth Worker	სასკოლო ახალგაზრდული მუშაკი	პირი, რომელიც ახალგაზრდულ საქმიანობას ახორციელებს სკოლაში სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ სანყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ.
	15	Youth Centre-based Youth Worker	ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდული მუშაკი	პირი, რომელიც ახალგაზრდულ საქმიანობას ახორციელებს ახალგაზრდულ ცენტრში სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ სანყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ.
	16	Open Youth Worker	ღია ახალგაზრდული მუშაკი	პირი, რომელიც ახორციელებს ღია ახალგაზრდულ საქმიანობას სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ სანყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ.

კატეგორია	#	ინგლისური ტერმინი	ქართული შესატყვისი	განმარტება
ახალგაზრდული სივრცეები	17	Youth Centre	ახალგაზრდული ცენტრი	სივრცე, სადაც ახალგაზრდებისთვისა და ახალგაზრდებთან მომუშავე ადამიანებისთვის სტრუქტურირებული არაფორმალური განათლებაზე დაფუძნებული სასწავლო ღონისძიებები ხორციელდება.
	18	Open Youth Centre	ღია ახალგაზრდული ცენტრი	ღია სივრცე ახალგაზრდებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფალი დრო გაატარონ მშვიდ, უსაფრთხო, სასიამოვნო და მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ გარემოში. ღია ახალგაზრდული ცენტრის კარი ახალგაზრდებისთვის ყოველთვის ღიაა, არ კეთდება დამსწრე ახალგაზრდების სიები (ჯგუფების დაკომპლექტებისა და ჯგუფის ზომების ლიმიტების დაწესების თავიდან აცილების მიზნით), რადგან ახალგაზრდას ცენტრში მისვლის შესაძლებლობა აქვს მაშინ როდესაც უნდა და როდესაც სჭირდება.
	19	Youth Space	ახალგაზრდული სივრცე	ადგილი, სადაც ახალგაზრდებს არაფორმალურ გარემოში ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლევათ. ეს არის მათდამი კეთილგანწყობილი გარემო, სადაც ისინი იკრიბებიან, ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობას, მონაწილეობას იღებენ კულტურულ-შემოქმედებით, საგანმანათლებლო, სპორტულ, გარემოსდაცვით და სხვა ხასიათის ღონისძიებებში, შესაძლებლობა აქვთ განივითარონ ძირითადი კომპეტენციები, გაცვალონ და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილებები და ცოდნა.
	20	Youth Hub	ახალგაზრდული ჰაბი	ახალგაზრდული ჰაბი არის სივრცე ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის, სივრცე სადაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ერთი მხრივ, აქვთ შესაძლებლობა წარმართონ თავიანთი ადმინისტრაციულ შინაარსობრივი საქმიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, განახორციელონ სხვადასხვა აქტივობა ახალგაზრდებისთვის.
	21	Youth Room	ახალგაზრდული ოთახი	არასტრუქტურირებული და არაორგანიზებული სივრცე ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდული ოთახი შეიძლება იყოს მარტივად ერთი პატარა სივრცე მუნიციპალიტეტის შენობაში, სადაც ახალგაზრდებს აქვთ სრული ავტონომია, დაკავდნენ ისეთი საქმიანობით, რაც მათ უნდათ, აინტერესებთ და სიამოვნებთ – აღნიშნული საქმიანობა აუცილებელია მიმდინარეობდეს ახალგაზრდული მუშაკის დაკვირვებითა და მხარდაჭერით.

კატეგორია	#	ინგლისური ტერმინი	ქართული შესატყვისი	განმარტება
სხვადასხვა ტერმინი	22	Non-formal Education	არაფორმალური განათლება	ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი, ნებაყოფლობითი პროგრამა, რომელიც არ არის ფორმალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ისახავს კომპეტენციების (ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების) განვითარებას.
	23	Informal Education	ინფორმალური განათლება	ნიშნავს მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე პროცესს, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდუალური პიროვნება იძენს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, უნარებსა და ცოდნას, საგანმანათლებლო რესურსებისა და ამ რესურსების გავლენის საშუალებით, საკუთარ გარემოში თუ ყოველდღიური გამოცდილებიდან (ოჯახში, თანატოლების გარემოცვაში, მეზობლების წრეში, ნაცნობებთან ურთიერთობისას, ბიბლიოთეკაში, მახემდიის საშუალებით, ხამუშაო ადგილზე, გართობისა და სპორტული შეჯიბრებების თავშეყრის ადგილზე და ა.შ.).
	24	NEET Youth - Young people who are not in Employment, Education or Training	NEET ახალგაზრდები	NEET ახალგაზრდები – დასაქმების, განათლებისა და ტრენინგის მიღმა მყოფ ახალგაზრდათა ჯგუფი. ახალგაზრდების NEET ჯგუფი არის სოციალური გარიყვის მაღალი რისკის ქვეშ.
	25	Competence	კომპეტენცია	კომპეტენცია წარმოადგენს თვისებების, შესაძლებლობებისა და შეხედულებების დინამიურ კომბინაციას. ეს რის რაღაცის წარმატებით ან ეფექტიანად გაკეთების შესაძლებლობა. ხშირად მას აკავშირებენ უნარებთან, თუმცა კომპეტენცია ორი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტით განსხვავდება უნარისგან და ქმნის უფრო მეტ კომპეტენციას. ის უფრო მეტია ვიდრე უნარი ან ცოდნა. კომპეტენცია გულისხმობს კომპლექსურ მოთხოვნებთან გამკლავების შესაძლებლობას, როგორც ფსიქოლოგიური და ემოციური, ასევე სოციალური რესურსების მობილიზებითა და გამოყენებით. ახალგაზრდულ საქმიანობაში ტერმინი "კომპეტენციები" აღნიშნავს ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარებისა და ცოდნის სისტემას. კომპეტენციები დინამიურია და მისი ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია.

კატეგორია	#	ინგლისური ტერმინი	ქართული შესატყვისი	განმარტება
სხვადასხვა ტერმინი	26	cognitive	კოგნიტური	კოგნიტური პროცესები წარმოადგენს უმაღლეს ფსიქიკურ პროცესებს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ობიექტური სინამდვილის ფსიქიკაში ასახვა, კერძოდ, ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, ცოდნად გარდაქმნა და გამოყენება. ეს პროცესებია: შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, ენა და მეტყველება, აზროვნება და პრობლემის გადაწყვეტა. ხშირად მათ შემეცნებით პროცესებსაც უწოდებენ. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ხშირად განასხვავებენ კოგნიტური პროცესების 2 დონეს: სენსორულ-პერცეპტული და საკუთრივ კოგნიტური. სენსორულ-პერცეპტულ დონეში ერთიანდება შეგრძნება, აღქმა და ყურადღება, ხოლო კოგნიტურში - მეხსიერება, მეტყველება და აზროვნება. თუმცა კოგნიტური პროცესების ამგვარი დაყოფა ძალიან ხელოვნურად მიიჩნევა, რადგან რეალურად ამ პროცესების ურთიერთმოქმედება ძალიან რთულ და მრავალფეროვან სქემას ექვემდებარება.
	27	Gender	გენდერი	გულისხმობს სოციალურად განსაზღვრულ როლებს, ნორმებს, ქცევებს, ფუნქციებს, აღქმებს, პიროვნულ ნიშან-თვისებებს, დამოკიდებულებებსა და იმ მოლოდინებს, რომლებიც ჩვენ, კაცებისა და ქალების, გოგონებისა და ბიჭების მიმართ გაგვაჩნია მოცემულ კულტურასა და საზოგადოებაში. გენდერი შეძენილი იდენტობაა, რომელსაც ადამიანები სწავლობენ. იგი დროთა განმავლობაში იცვლება და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებში განსხვავებულია.
	28	Sex	სქესი	ბიოლოგიური მახასიათებელი, რომლებიც ადამიანებს მდედრობით და მამრობით სქესად ჰყოფს.
	29	Gender Equality	გენდერული თანასწორობა	გულისხმობს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას. წარმოადგენს კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანს, როგორც ქალს, ისე კაცს, შეუძლია, საკუთარი შესაძლებლობები თავისი შეხედულებით განავითაროს და გააკეთოს არჩევანი ისე, რომ არ შეიზღუდოს არსებული სტერეოტიპებით, მკაცრად განსაზღვრული გენდერული როლებით და ა.შ. გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალისა და კაცის განსხვავებული ქცევების, მისწრაფებებისა და საჭიროებების თანასწორად აღიარებასა და შეფასებას, მათთვის თანაბარი უპირატესობის მინიჭებას.

კატეგორია	#	ინგლისური თერმინი	ქართული შესატყვისი	განმარტება
სხვადასხვა თერმინი	30	Youth Room	ახალგაზრდული ოთახი	პროცესი, როდესაც ვვითარდებით და ვსწავლობთ იმ კულტურულ გენდერულ როლებსა და ნორმებს, რომლებიც მოგვენიჭა ქალად ან კაცად დაბადებისას, ძირითად აქტორებთან (ოჯახი, სოციალური წრეები და საზოგადოება) ურთიერთობისას.
	31	Gender Mainstreaming	გენდერული მეინსტრიმინგი	სტრატეგია, რომლის მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევაა. ის უზრუნველყოფს, რომ ქალები და კაცები, გოგონები და ბიჭები იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილეები. აგრეთვე, ის აფასებს, რამდენად არის გათვალისწინებული ახალგაზრდების, ქალებისა თუ კაცების საჭიროებები პოლიტიკასა თუ პროგრამებში.
	32	Gender Analysis	გენდერული ანალიზი	ინსტრუმენტი, საშუალება, რომელიც გვეხმარება გოგონების, ბიჭების, ქალებისა და კაცების როლების, პასუხისმგებლობების, საჭიროებების, შესაძლებლობების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებაში, სიტუაციის ანალიზსა და ინტერპრეტირებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ბავშვის განვითარება. ლორა ბერკი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

<https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/bavshvis-ganvithareba-1.pdf>

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. თბილისი: საქართველოს პარლამენტი, 2020.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0>

COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. BRUSSELS: COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, 2009.

<https://www.salto-youth.net/downloads/4-17-2444/Investing%20and%20Empowering.pdf>

EUROPEAN COMMISSION. WORKING WITH YOUNG PEOPLE: THE VALUE OF YOUTH WORK IN THE EUROPEAN UNION. BRUSSELS: EUROPEAN COMMISSION, 2014.

https://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/study/youth-work-report_en.pdf

EUROPEAN COMMISSION. YOUTH WORK AND NON-FORMAL LEARNING IN EUROPE'S EDUCATION LANDSCAPE. LUXEMBOURG: PUBLICATIONS OFFICE OF THE EUROPEAN UNION, 2015

https://epale.ec.europa.eu/sites/default/files/youth_work_and_non-formal_learning_in_europes_education_landscape_and_the_call_for_a_shift_in_education.pdf

EUROPEAN COMMISSION. QUALITY YOUTH WORK. BRUSSELS, 2015.

https://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/reports/quality-youth-work_en.pdf
The Council of Europe. The Council of Europe youth work portfolio. Strasbourg: The Council of Europe, 2015.

<https://rm.coe.int/council-of-europe-youth-work-portfolio/16809eaa04>

THE COUNCIL OF EUROPE. DON BOSCO YOUTH-NET. A METHODOLOGY FOR INTERNATIONAL YOUTH WORK.

https://www.creativityandchange.ie/wp-content/uploads/2017/06/Jabbertalk_energizers-games.pdf?fbclid=IwAR0zt5WBgsq-CtDWj3eU3tgfdCoMmQ3AVaRIAbJo4ieBQKQD04SJ8u6Q5WI

YOUTH PARTNERSHIP. THE HISTORY OF YOUTH WORK IN EUROPE. RELEVANCE FOR TODAY'S YOUTH WORK POLICY. COUNCIL OF EUROPE PUBLISHING; STRASBOURG, 2012.

<https://www.youthcoop.pt/wp-content/uploads/2019/10/History-of-youth-work-Vol-3-compressed.pdf>

YOUTH PARTNERSHIP. ETHICAL STANDARDS IN YOUTH WORK AND HOW THEY SUPPORT EDUCATION AND CAREER PATHWAYS OF YOUTH WORKERS.

https://pjp-eu.coe.int/documents/42128013/47262613/06_SCRIB.pdf/41cea176-d7fa-3167-a716-11af717b1559



ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია

<https://www.britannica.com/biography/Saint-John-Bosco>

<https://www.ymca.int/george-williams/>

www.youthforum.org

<https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/history-of-youth-work>

<https://www.youthcoop.pt/wp-content/uploads/2019/10/History-of-youth-work-Vol-3-compressed.pdf>

ახალგაზრდული საქმიანობის მეთოდოლოგია და პრინციპები

https://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/reports/quality-youth-work_en.pdf

https://epale.ec.europa.eu/sites/default/files/youth_work_and_non-formal_learning_in_europes_education_landscape_and_the_call_for_a_shift_in_education.pdf

<https://www.coe.int/en/web/youth-portfolio/youth-work-essentials>

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხი

https://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/reports/quality-youth-work_en.pdf

ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკა

https://www.youthaction.org.au/2004_code_of_ethics_youth_action

<https://ethics.org.au/ethics-explainer-the-harm-principle/> - Ethics Explainer: The Harm Principle

https://pjp-eu.coe.int/documents/42128013/47262613/06_SCRIB.pdf/41cea176-d7fa-3167-a716-11af717b1559 - Ethical standards in youth work and how they support education and career pathways of youth workers

<https://pjp-eu.coe.int/web/coyote-magazine/how-do-you-learn-to-be-a-youth-worker-in-europe-How-do-you-learn-to-be-a-youth-worker-in-Europe?>

ახალგაზრდული საქმიანობისას გასათვალისწინებელი თეორიები და შერჩევის კრიტერიუმები

https://www.creativityandchange.ie/wp-content/uploads/2017/06/Jabbertalk_energizers-games.pdf?fbclid=IwAR0zt5WBgsq-CtDWj3eU3tgfdCoMmQ3AVaRIAbJo4ieBQQKD04SJ8u6Q5WI

<https://youthworkers.eu/toolkit/>

<https://www.unicef.org/georgia/media/1131/file>

<https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf>

